



ԹԱ



ՀՅՈՒՆԱԳԻՒԽՆԱԾՈ ՀՅԱՆԵԱՀՅ № 6 (65)
ՊԵՏԱԿԱՆ ՊԵՏԱԿԱՆ ՊԵՏԱԿԱՆ ՊԵՏԱԿԱՆ

2023



ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი
სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა წლების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი ლევან ანდონიშვილი), თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი თენგიზ მთვარელიშვილი) მხარდაჭერით.

დაიბეჭდა გამოცემლობა „მერიისავი“

გარეუანის პირველ გვერდზე ვანო გოცირიძის ნახატი

№6,(65), 2023



შიდაარსი

პრემია „საგურამო“

2. აკაკი დაუშვილი. საპრემიო სიტყვა

მხატვრული ლიტერატურა

3. ვარდა რაინა. კატერენები

22. ლანა მანველი. სად არის ბედნიერება.
რომანი

29. თინათინ თელაველი. ლექსები

31. ნინო ქაშუაშვილი. სტუმრად მანანა
ბაბოსთან. მოთხრობა.

33. ივება პავლიაშვილი. ორი მოთხრობა

37. არატ არატიშვილი. ლექსები

40. ზაირა მინდელი. თონის დღე, ანუ –
სოფლის იდილი... მინიატურა

42. ნათელა ქურციკე. ლექსები

ათი პოეტის თითო ლექსი

44. ნუნუ ქაშუაშვილი, თამარ

კოლელიშვილი, ანა მანოშვილი, ნათელა
ჩერციკიძე, თეა ყავრელიშვილი, ნოდარ
იაგორაშვილი, აკაკი გიძინაშვილი,
დარაჯან ჭავაცოტაძე, კახაპერ
პავლიაშვილი, გიული ჩიხილიშვილი

გავვეგის სამისამართის საკითხები

50. აკაკი დაუშვილი. მცირანა თოვლის
ბაბუა. მოთხრობა

გერელის ცერილი მოსხავლეებს

52. მაია გვიჩი. ცხოვრება ერთხელ
გეძლევათ და ის ტყუილად არ უნდა
გაფლანგოთ

თარგმანი

55. ფაზილ ისაკაძერი. უმაღური დამნაშავე.
მოთხრობა. თარგმნა გიზო ზარნაძემ

კრიტიკა-კუბლიცისტიკა

62. ნინო დარგაისალი სტრონი. ბიოგრაფია
ანუ მანძილი პოეტად დაბადებიდან – პოეტად
ქცევამდე

გერალთა ახალი თაობა

64. ნუნუ ქაშუაშვილი. მოდის მწერალთა
ახალი თაობა

1



ოლე, №6, 2023



პრემია „საგურამო“

8 ნოემბერს, ილია ჭავჭაძის დაბადების დღეს, საგურამოს სახელმწიფო მუზეუმში ჩატარდა პრემია „საგურამოს“ დაჯილდოების საზეიმო ცერემონია. აკაკი დაუშვილს ეს საპატიო ჯილდო მიენიჭა ნომინაციაში – საბავშვო მწერლობა. ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საგურამო“ დაარსდა 2003 წელს. გთავაზობთ აკაკი დაუშვილის საპრემიო სიტყვას.

2

იმადისა და მამული ვალობის ნავსაყუდელი

პრემია „საგურამო“, რომელიც ილია ჭავჭაძის დაბადების დღეს გადმომეცა, სიამაყით მავსებს და კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას მანიქებს მკითხველის წინაშე.

ილიას კარ-მიდამოს უამრავი გამოჩენილი ქართველი თუ უცხოელი სტუმრობდა და იმართებოდა გულახდილი, მძაფრი საუბრები ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, ამდენად, არ შეიძლება აქ ამოსულს პესიმისტური აზრები მოგეძალოს და საქართველოს მომავალს იმედით არ შეხედო. ილია ჭავჭაძის საგურამოს მამული იმედის და მამული შეილობის ნავსაყუდელია და ამიტომაც მოუხარია აქეთკენ ყველას – დიდსა თუ პატარას.

ზუსტად არ მახსოვე ილიას სამუშაო მაგიდა პირველად როდის ვნახე. ალბათ ათი წლის

ასაკში, როდესაც სკოლიდან ექსკურსიაზე წამოგვიყვანეს. მაგიდასთან ერთად ის ჯადოსნური გარემოც დამამახსოვრდა, რომელიც მოწინების გრძნობას გვიჩენდა. სკოლის დამთავრებამდე კიდევ რამდენჯერმე ვიყავით ილიას სავანეში. სხვა ადგილებში, მასნავლებლები ჩვენს დაწყნარებას ამაოდ ცდილობდნენ, საგურამოს მადლიან მინაზე კი ყველანი თავის-დაუნებურად მოკრძალებით ვიქცეოდით.

ადრეული ბავშვობის წლებში ილია ჭავჭაძა ჩვენს ცნობიერებაში ლექსი „გაზაფხულის“ საოცარი სტრიქონებით შემოვიდა: „ტყემ მოისხა ფოთოლი...“, მერე და მერე კი შესაშურიოსტატობით გამოძერნილ პერსონაჟებს გავეცანით, ბოლოს კი პუბლიცისტიკაც წავიკითხეთ. ასე თანდათან, ასაკის მატებასთან

ერთად, ილია ჭავჭაძა წარმოგვიდგა როგორც ჩინებული მწერალი, დიდი ეროვნული მოღვაწე და მთელი სისავსით გავაცნობიერეთ რა მასტების ავბედითი ტრაგედია დატრიალდა წინამურში, მოურჩენელი ჭრილობა რომ დაგვიტოვა თითოეულ ქართველს.

ილია ჭავჭაძის მამულს ერთი განსაკუთრებული თვისება აქვს, ყველას პატრიოტული გრძნობით აღავსებს. ილიას სავანეს დღესაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს საქართველოზე და ამ ზეგავლენის ერთი საუკეთესო გამოხატულება ყველასთვის სანატრელი და საპატიო „საგურამოს“ პრემიაა.

მადლობა პრემიის დამფუძნებლებსა და ორგანიზატორს, ბატონ ანდრო ბედუქაძეს. საპრემიო კომისიის წევრებს.

ვულოცავ ლაურეატებს დღევანდელ დღეს.

ილიას გზით სიარული ქვეყნის გადარჩენის და გამარჯვების გზაა.





საქართველოს...

ეჰე! –
ბევრს სურდა:
ეგ ხატი –
ფეხქვეშ გართხმული
ენახა, –
ეჯიჯგნა,
ეჭრა,
ეკუნა,
ენამა,
ეწვა,
ელახვრა...
სიავით –
სულის ლაჟვარდი,
მაინც, ვერავინ,
შელახა...
შენა ხარ:
ჩვენი ცრემლები...
და...
უკვდავებაც –
შენა ხარ!!!..

რაჭომ წესები?!

რაჭომ წესები, –
მზის ქვეშ,
ერიც და...
ბერიც?!..
მადლია –
ცოტა,
ბევრია –
ცოდვა...
ბოროტი არის –
ბევრზედაც;
ბევრი...
ხოლო, კეთილი –
ცოტაზეც,
ცოტა...
4. X. 2023

ვაგლახ, –
შეევ და...
სიყვარულო –
გაყიდულო!!!..



ათასერთო,
ჯომოლუნგმად აღიმართე, –
განა – მდაბლობ?!..
რა გიშველო, –
გაყიდულო –
აფხაზეთო?!..
რა გიშველო, –
გაყიდულო –
სამაჩაბლო?!..

P.S.

ვაგლახ, აზრო,
ვაგლახ, ჭკუავ, –
ყაყიტულო?!..
ვაგლახ, –
მზევ და...
სიყვარულო –
გაყიდულო?!..
15. XI. 2023

შენ, უნდა მოკლა –
სიკვდილი, –
თვითონ...
18. IX. 2023

მწერლობა –
მზეა!!!..

უსულ-უგულოდ,
ყოფნა არის –
სიცოცხლე:
მგლური...
ვამბობ:
მეასედ,
მეათასედ,
ეპოქის ქარო...
მწერლობა მზეა, –
ერის სული...
და... ერის –
გული, –

სათავე:
სიბრძნის,
სიყვარულის,
სიკეთის წყარო...

P.S.
მწერლობა მზეა,
არასოდეს –
უკუნის მტვერი,
მწერლობის მტერი
არის –
მზის და...
სიცოცხლის მტერი!!!..
21. VIII. 2023

ფული ქრეულა –

ჭახადა...

სამყარო მტრული –
გახდა, –
გამრავლებულა –
თული...
ფული ქრეულა –
ტახტად...
და... ყოფნა –
რთულზეც
რთული...
08. XI. 2023

P.S.

მწერლობა მზეა,
არასოდეს –
უკუნის მტვერი,
მწერლობის მტერი
არის –
მზის და...
სიცოცხლის მტერი!!!..
21. VIII. 2023

შენ, უნდა მოკლა – ქართველი...

სიკვდილი, –

თვითონ...

სიცოცხლე, – ზოგის –
ქარია,
მტვერი...
ფიქრებმა –
ნასელის,
რომ... ვერ რით –
გფლითონ,
ვერ უნდა მოგკლას –
სიკვდილმა, –
ვერ რით,

თუკი –
არ იცნობთ,
მე გაგაცნობთ –
ჭეშმარიტ
ქართველს, –
მზით,
სიყვარულით,
სილამაზით,
და... სიბრძნით –
მდიდრებს...
თავისას –
არვის,
არასოდეს,
არაფერს

ფიქრო... დარდო...
და... ტკივილო, –

ართმევს...
სირცხვილის
უფრო ეშინია,
სიკვდილის –
ვიდრე...
3. XI. 2023



რაფ არ იწიან?!..

გარეშე – სიბრძნის,
სიმართლემ –
იკლო, –
სიბრძლე ხოა:
სინათლის –
მტერი?..
რად არ იციან –
ჭუკომ და...
წიკომ?! —
მწერალი როა:
მოძღვარი, –
ერის...
21. XI. 2023

შარნა რაინა

მე, –
თავს არ მივცემ –
სიცოცხლის ნებას
19. XI. 2023

ავზევდები და...

გავდიადები!!!..

დავცემ... დავამსხვრევ:
დროის –
არტახებს, –
ავზევდები და...
გავდიადები...
დავწვავ... დაგნაცრავ –
ღამეს, –
გადავხევ:
ჩემი ლექსების –
განთადებით!!!..
10. VIII. 2023

სიცოცხლე,
რომ არ გექცეს –

იარად,
და... შენც,
არ იქცე –
ფოთლად,
ფათალოდ,
დრო –
ერთი დღით და...
ნუთით
კი არა,
ათასი წლობით
უნდა –
გათვალო...
27. X. 2023

დასაქამიდან...

დასაპამიდან,
რაც მოვდივართ, –
ავად; თუ –
კარგად,
ვინ – ეკალია, –
ნუთისოფლის...
და...
ვინ კი – ვარდი...

ვინ –
ღამით ქარგავს, –
დროის ფარდაგს, –
და... ვინ, მზით –
ქარგავს?!..
ზინ იყურება, –
ვინ –

ერთი დღით?!.
ვინ –
მილიარდით?!.
26. X. 2023

5



კატერინი...

სიმართლეს,
სიბრძნეს –
მზით ვყვები...
და... მარადიულ
რტოდ ივლის...
კატრენში ჩავსვი –
სიტყვები, –
მარგალიტებად
წყობილი...
15. IX. 2023

სიციაზდე და..

არარაობა...

უნდა გეტკინოს –
შენც,
თუ იტყვის –
ვინმე,
„ვაიმეს,“
ზე – მზედ ასწევენ
შენს ღირსებას, –
სიკეთის მძღოლო...
არარაობა

განა, უფრო,
არის –
„რაიმე“?!..
„მეთი“ ვინც ცოცხლობს,
თავის თავზე,
ვინც ფიქრობს, –
მხოლოდ...
25. X. 2023

ოლქ, №6, 2023





რაოდენ –

ვულფავთ?!.*

ტკივილით ვამბობ –

საყვედურს, –

მარტივს,

სან, –

რატომ ვიდებთ

კისერზე –

ცოდვას?!..

ნიჭს არ მივაგებთ –

გულსა და...

პატივს, –

რამდენჯერ ვცოდავთ?!..

რაოდენ –

ვცოდავთ?!..

16. XI. 2023

*აი, ეგზომ, სამწუხარო მაგალითი ადა-
მიანთა გულგრილობის, სიკეთისათ-
ვის – უმაღლერობის, სიდიდისათვის
– თვალების დაბრმავების, ყურების
დაყრუებისა და ენის დადუმბების, – სი-
ცოცხლეში – გენიოსების, მაგრამ... სიკ-
ვდილის შემდეგდა აღიარების: ამერიკელი
მწერლის – ედგარ ელან პოსი, ავსტრიე-
ლი მწერლის – ფრანც კაფკასი, ქართვე-
ლი მხატვრის – ნიკო ფრიდენსტადის, ფრან-
გი შხატვრის – პოლ ექენ. ანრი გოგენს,
ჰოლანდელი მხატვრის – ვისენტ ვან გო-
გისა და რუსი კომპოზიტორის – სერგეი
რახმანინოვის...

საქმე ის არის

ვიცი, ზეიმობ, –

ზოგჯერ,

ნიკეთი,

მტერია შენს წინ,

განა – ფერია?..

საქმე ის არის, –

სძლიო –

სიკეთით,

მტრობით, რომ სძლიო,

არაფერია... .

სიღირდე...

სიბრძნედ ნაკალმარს

მილეთი –

ლოცავს,

ნათელი ადგას, –

მიწის და...

ცა – მზის...

სიდიადეა, –

სიყვარულს, როცა –

წარუვალობის

ბეჭედი

აზის.

13. X. 2023

სიბრძნის,

სიკეთის –

ჩაუმქრალ მნათობს...

09. IX. 2023

ოელავი

ეს, – ოლიმპოა,

აქ, დრო –

არა ქრის...

მინდა, რომ სწამდეს –

ზემდეგს და...

ქემდეგს...

მინდა სახელი, –

ჩემი –

ქალაქის:

გაბრწყინდეს უფრო, –

მზის დარ და...

მზემდე...

P.S.

თელავი მიყვარს...

და... მიყვარს, –

ისე,

სულშიც და... გულშიც

მიღელავს –

ზლვისებრ...

29. VIII. 2023

მარჯებს..

საოცარია –

სიცოცხლეც და...

წუთისოფელიც, –

უხსოვარ დროდან,

ზოგი, დღესაც –

მზისებრ,

გიზგიზებს...

ვინ –

წყვდიადია სულით,

ვინ კი –

შუქის მომფენი,

ზოგისა –

სიბრძნე მაოცებს და...

ზოგის –

სიგიუე...

18. XI. 2023



წელიწიერება, –

უფრო...

ცხოვრება, მუდამ, –

ფიქრს ფიქრზე

მაშლის,

დამემონმება –

სულორიც*,

სხალთაც...**

ვარ ბედნიერი, –

მე, უფრო,

მაშინ,

სიკეთე ძალმიძს,

როდესაც, –

სხვათა...

29. IX. 2023

*მდინარე ვანის რაიონში, –
რიონის მარცხენა შენაკადი.

**მდინარე ხულოს რაიონში,
– აჭარის წყლის მარცხენა
შენაკადი.

თავისუფალი

ჟაქაროველო...

დამცემია გულზე

დარდის –

ლოდი,

ველარ მოვრჩი ნატვრის გზებზე
ჩანჩალს...

გელოდები, –

მოდი მალე,

მოდი,

მოლოდინის

დასასრული

არ ჩანს...

20. 08. 2023

ნოტალგია...

დედამიწაზე –

ნუთუ,

შუღლი გამეფდა, –

ირგვლივ?!

წარსულს ჩაბარდა –

ნუთუ, აზრი...

და... სიბრძნით

ჭვრეტა?!

XXI საუკუნეს
რომ ვადგამთ –
გვირგვინს,
სად დაიკარგა:
ლირსება და...

სინდისი, –
ნეტავ?!

P.S.

ნუთუ, –
სატანა, სამყაროზე,
ზეიმით –
დადის?!

ასე, რომ ღელავს –
ოკეანე, –
ფიქრის და...
დარღის?!

10. 11. 2023

არჩევანი...

რამდენის სულში –
სატანა
დახტის?!

ვინ –
მგლობს და...
მელობს?!

ტურობს და...
დათვობს?!

სჯობია: დათმო –
სიცოცხლეც,
ტახტიც,
ვიდრე –
ღმერთი და...
სინდისი
დათმო...

13. 09. 2023

ნეტავ ჟაფამდე?!

ნეტავ, როდემდე?!

კვლავ, ვიმეორებ:
ათჯერ,
ათასჯერ,
მოთმენის
ყველა ძაფი –
ილია...
ჩემი ხმა
რისხვით სწვდება –

ცათა ჭერს:
რამდენჯერ
უნდა მოვკლათ –
ილია?!

P.S.

კვარცმული მიწა
სანამ გოდებდეს?! –
ნეტავ, სადამდე?!

ნეტავ, როდემდე?!

12. 08. 2023

სიტყვა –

ენაზე სკუპდება,

როგორ...

სიტყვა, –
ენაზე სკუპდება,
როცა –
მზის ელვარებით
ალავს არაკებს...
ღექსები –
ლამაზ სიცოცხლეს
ლოცავს...
და... სიყვარულზე
ალაპარაკებს...
18. 08. 2023

ვიზოვის?..

მინდა სამყაროს
მწედ, რომ –
უუმეკვლო, –
ვინ, თქემით –
ღელავს,
ხოლო,
ვინ – გვალვით...
ზოგისთვის თუ, ვარ –
ვარდი, –
უეკლო,
ზოგისთვის –
მეხი,
ელვა,
გრიგალი...
16. 11. 2023





შური...

**ვერლიბრი და
ჰიპერმეტრია**

შური – სიავის,
სულმდაბლობის,
შური – სიძნელის
ნიშანია... ამბობენ და...
ალპათ, ასეა...
ასე ჩათვალეთ,
იგი, ჩემში –
მაინც, იბნევა...
და... შურით სავსე, –
გატეხილი,
ვდგავარ თასივით...

P.S.1.
არა, არა მშურს, –
არასოდეს,
ვფიცავ, საერთოდ,
სიმდიდრე – სხვისი,
ცოდნა – სხვისი,
და... სილამაზე...

P.S.2.
არა, არა მშურს, –
არასოდეს,
ვფიცავ, საერთოდ,
ზევსობა – სხვისი,
პყრობა – ტახტის,
და... სიზვიადე...

P.S.3.
მაგრამ... მშურს, ხოლმე,
თუ, სხვა არის:
ჩემზე უბრალო,
ალალი, – უფრო,
ნრფელი, – უფრო,
უფრო-კეთილი...

ზოგჭერი...

შემომეჯანლა გული, –
ფიქრებით,
რა სტკივა –
ამ გზას?!..
ამ ბარს?!..
ან, ამ მთებს?..
ხან, თუ, –
ტკივილით,
ჩუმად –

მივქრები,
ზოგჯერ, – ტკივილით –
ვიწვი,
ვანათებ...
07. 10. 2023

რა ფირფირი...

რა დიადია, –
მზით, რომ...
ივსება –
გული... და...
იმედს არ კარგავ, –
ხვალის...
შენი –
სიკეთეც,
შენი –
ღირსებაც,
შენვე, რომ გაძლევს –
სიცოცხლის
ხალისა...
02. 10. 2023

ზოგჭერი...

ჯოჯოხეთია –
წლები, როცა,
და... უნდოც, ბევრი,
ბეწვის ხიდებზე
უწევთ გავლა
ამ მიწის
მკვიდრებს...
ხომ, არის, ზოგვერ,
დრო –
მრისხანეც,
დაუნდობელიც,
მშვიდობის –
უფრო ეშინიათ,
ომისა –
ვიდრე...
17. 11. 2023

სიკვდილზეს

მეტად...

უსულო ქვასაც
აღმოხდება სიტყვა:
„ვაიმე“...
სულის მზეს ვინმე,
როცა –
იშრობს,
იქრობს და
ივნებს...
სიკვდილზეც, უფრო,
მეტად შემძრავს –
თუკი,
რაიმე,
ღირსებას
ფულზე ახურდავებს,
როდესაც,
ვინმე...
09. 10. 2023

გულით, თვალებით...

ფიქრში... განცდებში, –
სიყვარულის,
წლებს –
წლები მიჰყვა...
და... დღეს,
ფინიშთან, –

P.S.
ხან, –
კოცნით მოდის –
ჯალალედინი...
ყოფნა-არყოფნის
დგას – ჯვარედინი...
10. 11. 2023



სიცოცხლისა,
ფეხს უკან –
ვითრევ...
გულით, თვალებით
საუბარი
უფრორე მიყვარს,
ვრცელი,
ლამაზი
და... ბრჭყვალა
სიტყვებით, –
ვიდრე...
19. 08. 2023

უთქმელად –
ნათქვამი

თითქოს, გვეახლა –
სიზმარი, –
უხნო...
და... გაგვიფრინდა –
წამსვე, –
უთმენი...
სიტყვა არ გვითქვამს,
ვიყავით –
უხმოდ,
არაფერი კი დაგვრჩა –
უთქმელი...

მიყვარს...
ცა მიყვარს –
მზით და...
მთვარითა,
სხივების –
თესვა, – უბნებად...
მიყვარს, როდესაც –
თვალი-თვალს,
გული-გულს
ესაუბრება...
04. 10. 2023

ჟურვილი...

სიცოცხლეს მივცემ
ავ-კარგის
გამრჩევს,
ნეტავ, –
სიბრძნის მზე

ყველას
კმაროდეს...
სხვას –
ბოროტების ვალში
დავრჩები,
სიკეთის ვალში –
არგის,
აროდეს...
20. 07. 2023

ზოგტერ...

რა ვთქვა, –
ეპოქის,
და... დროის –
ცოცხლ,
ფიქრის და... განცდის
ალმურის –
დებით?!..
მე, ზოგჯერ,
სხვისი სიცოცხლით
ვცოცხლობ...
მე, ზოგჯერ,
სხვისი სიკვდილით
ვევდები...
15. 10. 2023

მიყვარს...

მიყვარს... ფა...

მიყვარს...

მიყვარს –
სიტყვას, რომ
სიბრძნე
ცის ერთვის...
მიყვარს –
სახელს რომ
მზესაქმე
ლოცავს...
მიყვარს სიცოცხლე, –
აი,
ისეთი,
ვერაფერს აკლებს –
სიკვდილი,
როცა...
21. 08. 2023

შეფინირება

ბედნიერებას,
სიდიადეს,
ვინ, რით –
ვიმკვიდრებთ?..
დასაბამიდან, –
ვინ – უკუნით,
ვინ – მზით
ივსება?..
ბედნიერება –
ზოგს ჰერინია:
ხვეჭა,
სიმდიდრე,
ბედნიერება, –
თუ, რამ, არის,
არის –
ღირსება...
12. 11. 2023

ნარმავალი ფა...

ნარყვალი...

დასაბამიდან, –
ჯვარცმულ ბედზე
რამდენი –
ჩივის?!..
რამდენის ყოფნაც
და.. სიცოცხლეც –
ამაოდ
გაცვდა...
ნარმავალია:
განძიც,
ტახტიც,
წოდებაც,
ჩინიც...
ნარუვალია –
სიყვარულის:
გრძნობაც და...
განცდაც...
30. 10. 2023

სიყვარული

მზესიყვარულით –
სულიც,
გულიც
მზისებრ ივსებისა...
მოჩვენებითი ანთეპს:
ტკივილს,





შესრულებით !!!.

ცხოვრება ხოა:
შრომა,
გარჯა,
ფიქრიც და...
ოფლიც?
და... დედამიწაც, –
ყველას, თუმცა,
თანაბრად –
სუფრობს,
მეცოდებიან: დატაკები –
თავისი
ყოფნით...
ხოლო, მდიდრები –
უფრო, მეტად,
ათასჯერ...
უფრო...
08. 11. 2023

მე ვენაზვალე...

მე ვენაცვალე,
ვინაც,
მხოლოდ,
სიკეთეს ლამობს,
არარაობის –
ვინც არ არის:
უპრალო წინვი...
ვინც, უნებლიე –
შეცდომის და...
არცოდნის გამო,
სინაწულის და...
ფიქრ-ტკივილის
ალმურით იწვის...
16. 08. 2023

როგორ
იესოს ტკივილით
ვძლოოთავ...

ჯვარს აცვამს, როცა, –
სულს და გულს –
წყენა,
როცა –
იესოს ტკივილით
ვძლოოთავ,
სათქმელს, რომ...
ვეღარ ერევა –
ენაც,
მოვუხმო მინდა –
სიბრძნის მზეს, –
შოთას...

P.S.
„ჭირსა შიგან გამაგრება,
ასრე უნდა –
ვით ქვითკირსა“...
07. 10. 2023

ძნელზეფარ,
უფრო –
ძნელი...

ეს, –
ხალხის სიბრძნე –
ძველზეც
ძველია,
გულზე მომდები, –
ვისთვის –
ალების?..
გონის სიბრმავე –
უფრო,
ძნელია,
ასჯერ ძნელია,
ვიდრე –
თვალების...
15. 09. 2023

ნეტავ...

ნეტავ, – სიბრძნის
ცაზე –
ამსება...
მიყვარს სიბრძნით

ნათესავი...
ვანაცვალებ –
წუთს და...
ნამსაც, –
გულს გავუშლი –
მათესავით...
21. 09. 2023

მიყვარს...

მიყვარს, –
აზრი, რომ –
გვირგვინს იკეთებს,
კუხმობ:
სიცოცხლის
ციდან – აისებს...
მიყვარს მზეგული,
მიყვარს სიკეთე,
მიყვარს სიბრძნე და...
სიდარბაისლე...
29. 10. 2023

გენია –
სტაციონის...

გადაუარა სამყაროს, –
ალივით,
სიცრუემ უგნურთა,
ბრიყვთა და...
რეგვენთა...
და... მაინც,
შემორჩია გენია, –
სტალინის,
შემორჩია –
მითად და...
შემორჩია –
ლეგენდად...

P.S.
პლანეტას
სხივ-სიბრძნე
ვეღარ რით
უვლის – მზის, –
რადგანაც,
მას მართავს:
ძალა და...
ფულიზმი
05. 10. 2023



სირქსნეა ფილი...

და... ფილზე -

ფილი...

გონებას, რაც -
ვწვრთნიდით და...

ვზრდიდით,
ხომ, ვიცით, -

სიტყვაც -
ზოგჯერ, ჰგავა:
ატომს...

სიბრძნეა დიდი...

და... დიდზეც -
დიდი, -

რაი თქვა?!..

ვისთან?!..

როდის?!..

და...

რატომ?!..

06. 11. 2023

დანჭე...

კოცონზე
უნდა დაეწვათ -
დანჭე, -

სიყვარული, რომ...

მიწით და...

ცით ჰყვის...

ებრძოდა რადგან -

სიკედილის

დამთესთ, -

უფალი:

სიბრძნის,

სიკეთის,

სიტყვის...

31. 10. 2023

ვინ?!... რაჭომ?!..

გულებს, რომ...
ცეცხლის ისრად -
მიესო,

ნეტავ, ამ კითხვამ,
სანამ -

იბოლოს?!..

ვინ?!.. რატომ -

აცვა ჯვარზე

იესო?! -

ჭეშმარიტების

მზე და...
სიმბოლო?!

P.S.

სხივს მოფენს, -
ალბათ,
მშობელი ერი,
ვინ იყო -
სიპრძნის,
სიცოცხლის მტერი?!

02. 11. 2023

ვიწ...

მაყვალა გონაშვილს

სიცოცხლეს -
უფლის თვალებით
უმზერ...
რამდენჯერ, -
სევდაც
გბანდა იარას?!..
ვიცი, მაგ, სათნო,
ბულბულის
გულზე,
რამდენმა ზვავმა
გადაგიარა?!..

ქალი...
დასაბამიდან,
ვინაც -
მზით და...
სიცოცხლით
გვავსებს...

და... გულიც -
სრული სიყვარულის,
რომ იწვის, -
ალით,
მე ვფიქრობ -
ასე,
მე მწამს -
ასე,
და... მჯერა -
ასე:
ბედნიერების გვირგვინია -
ზეარსით,
ქალი...
03. 08. 2023

ნეტავ, შემეძლოს!!!..

ჩემი სიცოცხლის -
წუთიც,
ნამიც
შენით კისკასობს, -
მზესიყვარულმა
შარავანდის მწვერვალზე
ამსვა...
ნეტავ, შემეძლოს, -
შენ მოგცემდი,
ჩემო ძვირფასო,
ჩემი სიცოცხლის -
ნლებს,
დღეებს და...
უმცირეს
ნამსაც!!!
06. 08. 2023

შეგონერა

სულის მზითა და...
გულის მზითაც
თუ, გსურს -
დარდობდე,
უბრალოებას
თავმდაბლობას
თუ, სიბრძნით
ცდილობ,
იყავ დიადი, -
თავმდაბლობით,
მაგრამ...
აროდეს:
ფეხის საწმენდად
დაგდებული -
ჩვარი და...
ტილო...
02. 11. 2023

როდის, ნეტავ?!..

როდის მოვესწრებით -
სიბრძნის მზეს და...
დღეებს -
ნეტარს?!..
მიწისქვეშა მტრები
რომ ჩავთვალოთ -
ბოლო მტრებად...
როდის მოელება
ბოროტებას -
ბოლო, -
ნეტავ,

იავარდებით
მზედ შეფუთულ
ბოროტებას?!..
29. 07. 2023

იქოწელა, მხოლოდ, —
კუჭადა...

12



ვინც მზეზე —
თვალებს
ხუჭავდა,
ვერც შენ გხედავდა,
მამაო...*
იცოცხლა, მხოლოდ, —
კუჭადა**,
კუჭვად,
ხვეჭად და...
ამაოდ...
24. 10. 2023

*იგულისხმება — მამალმერთი.
**(კახ.კ.) მომუჭვად, — იგივე —
მოხვეჭად.

ხომ, გახსოვთ?..

ხომ, გახსოვთ? —
ის დრო, —
დოლი კვაჭეთა?..
ნუთუ,
კვლავ, მოვა?!.
თუმცა, —
ნავიდა...
ვინაც —
არ ჭამდა,
არც სხვას —
აჭმევდა,
რომ... იშორებდნენ, —
ყველას,
თავიდან...

P.S.
მსურს, როცა —
ჩემთვის,
ფიქრებით
ვმდიდრობ,
მოუსავლეთში წავიდეს —
ის დრო...
22. 10. 2023

ინტუიცია

ინტუიცია,
ინტუიცია,
ათასწლეულის —
ინტუიცია —
ჩემში, რომ იშვი,
ჩემში, რომ ზეობ,
ჩემში, რომ მზეობ,
ის, თუ, იციან?!

ვინ,
რაღა,
უნდა ურჩიოს,
ძამა?! —
ღმერთიდან გამდგარ,
ერიდან გამდგარ,
ხალხიდან გამდგარ,
ქვეყნიდან გამდგარ,
ფულის წურბელა —
შიზოფრენიკებს?!..

P.S.

მზით ვებრძვი —
შავებს, —
სიავის დამთესთ,
თუ, არ მომკვეთეს,
ვითარცა — დანტე?!.
14. 10. 2023

კახელი...

თესავს:
სიკეთეს...
და...
სიყვარულს, —
თვალს, რაიც —
ახელს...
სული როდი აქვს
ღამით სავსე,
და... ან —
მევახშის?..
თუკი, არ იცნობთ,
მე გაგაცნობთ —
ბაჯალლო
კახელს, —
ის კვდება,
მხოლოდ,
ბრძოლის ველზე,
ანდა —
ვენახში..
25. 08. 2023

იმერელი

ფულის წყრბელა —
შიზოფრენიკებს...
როცა, —
ერთობის...
და... წინსვლის
წამალს —
თხა პარტია და...
თითოც ვერ იგებს,

ლაუვარდია, — უსხივესი —
არსით,
სულით,
იმერულმა მასპინძლობამ —
მზით ათასა...
მე, რომ ვაქო,
ქება, მაინც,
ვერ ვთქვა, —
სრული...



სიტყვით,
სუფრით,
გულს გაგიშლის –
ფიანდაზად...
12. 10. 2023

ერთ სიტყვას,
მხოლოდ, –
ერთ სიტყვას,
სიცოცხლედ ველი, –
აქამდე...
05. 10. 2023

ფულების,
ვის, –
უფულობა –
გვაწუხებს...
13. 10. 2023

ზოშეზი...

ცეცხლივით ცეკვავენ,
სიმღერად –
დნებიან, –
სულლალი,
გულლალი,
თავლალი –
ბოშები...
მზედ ასხივებენ –

სიყვარულს, –
ვნებიანს...
და... გაჰყავთ –
დუხშირი ცხოვრების
დრო, – შვებით...
08. 10. 2023

სიყვარულის

ფასტერქორი...

სულის სიბრძნემ, –
სიდიადემ,
სიძულვილის
დასტა – ქარი...
ცით გვიგზავნის
მზის ხმიადებს –
სიყვარულის
დასტაქარი...
16. 10. 2023

ჭრფიალი –

თვალებით,
გულით ფა...

გონიერი...

13



ხევსური...

ფიქრს ფუჭად
როდი –
ინისლაგს?..
მუდამ, –
მამულის
ხეს უვლის...
გული აქვს –
ჯურლათ
რეინისა,
დათვს
ხელით ახრჩობს –
ხეგსური
11. 10. 2023

მიყვარს: გულიდან,
დარდი –
აყრილი,
ნეტავ, აროდეს,
არრით იბოლოს...
მიყვარს 14 სუნთქვა –
აპრილის, –
მზის,
სიყვარულის –
სვე და...
სიმბოლო...
21. 09. 2023

წხოვრება, ვისთვის –

სათაგურია?!

მხოლოდ, –

ერთ სიტყვას...

მინდა, რომ...
სიტყვა –
მზედ ითქვას,
ნლები, თუმც,
დაღმა
დაქანდნენ...

გვაქვს საფიქრალი, –

ულევი...

გვაქვს საფიქრალი, –
ულევი,
ცხოვრება გვიჭერს –
მარწუხებს...
ვის, –
პირამიდა –

ვინ –

აზრით, საქმით,

ცათა მდგმურია, –

სულით,

სიკეთით,

სიბრძნით,

გაგებით...

ხოლო, ვისთვის კი –

სათაგურია...

და... ებტებიან,

როგორც –

თაგვები?!

30. 09. 2023

ოლქ. №6, 2023





ჭოკოხეთი

ასული როა –
ზოგი, – სახით,
გზისებრ... ლამაზი,
სულის და გულის
ფიანდაზით –
ჯოჯო მეტია...
ლოყები – ვარდის,
მკერდი – ბროლის,
ენით – ალმასი,
სიცოცხლე მასთან,
ყოფნა მასთან –
ჯოჯოხეთია...
26. 09. 2023

სიწოზხლე – თუ, გსურს?...

სამოთხის ყვავილს
ხელი, ავად,
არ უნდა –
ახლო,
სულიც და...
გულიც
უნდა მისცე –
სიკეთის
კანდელს...
სიცოცხლე –
თუ, გსურს,
ყოფნა –
თუ, გსურს, –
უფალთან
ახლო,
ბოლმა,
შური და...
ბოროტება
არ უნდა –
გპლავდეს...
22. 08. 2023

რევოლუცია, – სპექტაკლი...

ვინ, რა, იცოდა?!..
და... მზაკვრობა –
სალხის
სვე დაკლის...
რომ... სათავისოდ,

ბჭობდა, თურმე –
ორი ციკანი...

რევოლუცია, –
იყო, თურმე,
ვარდის –
სპექტაკლი,
რეჟისორი კი –
ლანჩხუთელი, –
პოლიტიკანი...

24. 09. 2023

პირად – მზევ, შველისჭანა...

თვალებით, რომ მცემ –
ელდასა, –
პირად – მზევ,
შველისჭანაო,
თუნდ,
ერთი ჰყავდეს
დედასა, –
და... ჰყავდეს –
შენისთანაო...
9. 10. 2023

რა დიარდია –

სიწოზხლე, –

მაშინ...

სხივს, –
სიყვარულის,
მზე, როცა –
გაძლის,
წუთიც, წამიც კი, –
ნეტარი,
იქ დის...

რა დიადია –

სიცოცხლე, –
მაშინ,
დაავიწყდები, როდესაც –
სიკვდილს...
22. 08. 2023

ჭკური –

ეცლი...

ვაწყდებით ზოგჯერ, –
ჭკუით ბრმას,
ეულს,
ვისა გონება
და... აზრიც –
ქუფრობს...
და... იბანს,
მხოლოდ,
ქუჭყიან
სხეულს,
ქუჭყი აქვს სულში,
როდესაც, –
უფრო...

2. 08. 2023

არ ესმის –

რამდენი?!

ვიმოწმებ ტკივილს
და... ღვიძლ –
ცხინვალს,
სოხუმს, თუ,
გაგრას,
მოყვარედ ვხედავთ:
ხან, ორგულს და...
სისხლ – ცრემლის
დამდენს...
გვესაუბრება დრო, –
ვით, ბრძენი,
სუყველას,
მაგრამ...
სიტყვები დროის, –
სიკეთისთვის,
არ ესმის –
რამდენი?!

4. 08. 2023

მე ვარ დაჭრილი –

კალმიოთა...

მაქვს გულზე –
დარდი
დახლილი,
ტკივილს ვატარებ –



მალვითა...
ვინ –
ტყვიით,
ვინ კი –
მახვილით,
მე ვარ დაჭრილი –
კალმითა...
07. 07. 2023

მგლებსა და...
დათვებს?!..
არ ვიცი,
ნეტავ, რაისთვის –
უკვირთ?!..
მას იმქას: ყველა, –
ვინ, რასაც –
დათესს...
12. 08. 2023

თუ, –
გადარჩენა გვინდა,
ვიტყვი:
სიმართლეს, –
მისხლით,
ვზეობდეთ უნდა:
სიყვარულით...
და... არა –
სისხლით...
24. 08. 2023

ვსკამ –
შექანდორთანს...

ზოგს ნებაეს:
ჭკუას გადეკრას –
ბინდი,
შეუნთოს ცეცხლი
ზეცის –
ქვე, ყანას...
ესვამ –
შესანდობარს, –
ვინც... ფულზე
ჰყიდის:
მზეს,
ქართველობას,
ხალხს და...
ქვეყანას...
04. 11. 2023

აზრი და...
სიტყვა...

რამდენი, სათქმელს, –
მტვერს და...
ნაცარს –
ლამაზად ფუფნის,
აზრსა და სიტყვას
მე ვაყოლებ:
ამ გულის –
ამ წვას...
აზრიც და სიტყვაც
მე მწამს –
პრძნული, –
ვითარცა, უფლის,
ფუჭი სიტყვა და...
ლაი-ლაი –
არ მიყვარს,
არ მწამს...
22. 08. 2023

ოპოზიცია...

ოპოზიცია
უნდა იყოს, –
იქნება –
თუკი,
ხალხ – ქვეყნისათვის:
მზე, – სიკეთის,
და... არა –
თული...
ოპოზიციის, – ზოგის,
საქმე,
ეშმასაც –
უკვირს,
მებრძოლის, მხოლოდ,
ტახტის,
საქმის,
ნურბელად, –
ფულის...
09. 08. 2023

რამდენჯერ?!

შემორჩა გულებს –
ხსოვნის იარა...
და... რაც ვთქვა,
ახლა,
დე, იყოს –
მკაცრი...
რამდენჯერ ვნახეთ:
ტყვიით კი არა,
ჭიქით და...
ყანწით მოკლული, –
კაცი?!.
05. 11. 2023

ნურავინ მიწყენს...

გვეყო გულებზე
მკველი დარდის
ტყვიების –
დახლა,
სიცოცხლის შვებას
ნინაპართა სულებიც
გვთხოვენ...
ნურავინ მიწყენს,
რასაც ვამბობ, –
ტკივილით,
ახლა,
ქვეყნის მმართველად
ნუღარ დავსვამთ –
ორფეხა
ცხოველს...

P.S.

ლმერთიც და...
საჭანარ...

აუტანელის გვინევს,
ზოგჯერ –
ომენცკ,
ატანაც,
სხვა სულად ვხედავთ, –
რამდენს,
თურმე,
ხოლო,
სხვა ტანად?!..
ადამიანში არის –
ლმერთიც,
არის –
სატანაც,
ხამს ვემსახუროთ –
ზენაარს და....
არ რით –
სატანას...
17. 08. 2023

რაისთვის უკვირთ?!

თქვით, –
ვის ეყოლოს –
კრავი და...
ნუკრი?!.
მელიებს?!..
ტურებს?!..





მოსმენა...*

ვინ იქნევს ენას, –
ადლიანს?!..
და... ცეკვებს ჰყრის:
გვისმენს –
ვის, ვინო?!.
თუ, ვინმე გისმენს, –
მადლია,
ნეტავი, ყველამ –
მისმინოს!!!..

14. 08. 2023

*პრესის ფურცლებიდან და
ტელეეკრანიდან, ხშირად,
მოისმენთ გაცეცხლებულ,
კრიტიკას, – მოისმენებზე...

გარენარია –
ათასკურ,
უფრო...

რამდენმა –
ცოდვის კალო
გალენა, –
საჭესაც ხალხის
სიმზაკვრით
თუ, ფლობს...
იცოდეთ, –
იცავს, ვინაც –
გარენარს,
გარენარია –
ათასჯერ,
უფრო...
08. 08. 2023

ნიჭი, თუ, არი –
აი, –
ეს არი...

ხომ, ვიცით,
ზოგჯერ –
ფიქრის,
განცდის
გულში თარეში?!.
სურთ, რომ შეგვიცნონ, –
ზეიმით, თუ –

დარდით მკვნესარი...
ვინც წაიკითხავს –
ადამიანს, –
სიტვის გარეშეც,
ნიჭი, თუ, არი,
მე, რომ მეითხონ,
აი, – ეს არი...
21. 08. 2023

მზეს და...
გიტირებენ –
მკვდარს...
3. 10. 2023

ჩანს –

ვინ ვიყავით?!..

როდიდან?!..

რანი?!..

ჩვენს კულტურას და...
ისტორიას
ხედავენ –
ბრმანიც, –
დრო –
იმ, წარსულის,
სიდიადეს
ხსოვნიდან ვერ ფხვრის...
ამ პლანეტაზე –
ვინ ვიყავით?!..
როდიდან?!..
რანი?!.
ჩანს ჩვენი:
სიბრძნეც, –
სიდიადეც, –
ტყაოსნით ვეფხის...
25. 07. 2023

„მე“ და...

„ჩვენ“ ...

მეტი აქვს, –
ზოგს და...
ისევ უნდა...
ათასჯერ მეტი...
მიზნის ჭურჭელი
აქვს უძირო
და... ვერ –
ივსება...
მხოლოდ, –
„მე“ არის, –

უმთავრესი:
გონებით ცეტის...
„ჩვენ“ არის აზრის:
სიდიადეც,
მზეც... და...
ღირსებაც....
31. 07. 2023

უერთმანეოთ, –

სიურცხლე –
არ გვამს...

მასონთა უზნეობით
გადაგვარებულთა პასუხად...

ეს არის: ჯვარზე –
გაკვრა, თუ,
აცმა?!.
თქვით, –
ვითარ დაგვწვას –
სატანის
ალმა?!.
ვითარ იმზეოს
უქალოდ –
კაცმა?!.
ვითარ იმზეოს
უკაცოდ –
ქალმა?!.
P.S.

წყალობით უფლის,
ვხსნით, რაიც –
წამნამს,
უერთმანეოთოდ, –
სიცოცხლე –
არ გვამს...
30. 07. 2023

ვიწი...

„ცოცხალს გატირებენ
მკვდარს – გიტირებენ!!!!“

აკაკი

შეაჩვენებს, ვიცი, –
ზესთა:
ქაჯთა ქაჯურ –
დარს...
დაგმარხავე
ცოცხალ –

წალკა კი არა,
ვამბობ: უნდა –
წალკოჭი
ერქვას...*

ამ სილამაზით,
საოცრებით, –
ქართული მიწის,
დავლოცავ ქართველს
და... გავლებულ –
ერქვანს...
აქ, მზე კისკისებს –
სიყვარულით
და... დამე იწვის,
წალკა კი არა,
ვამბობ: უნდა –
წალკოტი
ერქვას...
15. 09. 2023

*14 სექტემბერს ვუყურე გია
ჯაჯანიძის სატელევიზიო
გადაცემას – „სხვა რაკურსით“
და... რა საოცარი ბუნება და...
სილამაზე ვიხილე ქართული
მიწის, – მადლობა უფალს,
რომ... ,ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა“...

ფაფეგნა, ოოფის,
ჟიმპოლის –
ერა?!

სიკეთის მზემ, რომ
კოცნოს –
ქვე, ყანა,
დადგება, როდის,
სიმართლის –
ერა?...
თქვით, ზოგმა,
ვითარ მართოს –
ქვეყანა?! –
ვერ მართავს, როცა –
თავსაც კი, –
ვერა?!

P.S.
ნატრობენ:
სავლე,
სანდრო,

სოფიო, –
თუ, ეშველება:
ქვეყნებს?!..
მსოფლიოს?!.

5. 08. 2023

ჭერილი...

გული –
ახლა, რომ...
ასე ინთება,
დღო მოვა –
მასზეც,
მწვანის ამოსვლის...
და...
ლექსთა, ჩემთა,
აზენიტებას,
შევხვდები, –
მიწის –
ტანისამოსით...

ვერ ვიჭან

ქვეყნის –

ორფეხა ღორებს...

შევები –
დარღის
და... ფიქრის მორევს,
მზესულში დამჭრეს
და... სისხლიც
იქ დის...
ვერ ვიჭან
ქვეყნის –
ორფეხა ღორებს, –
ვითარცა –
ჭირს და...
ვითარცა –
სიკვდილს...
22. 07. 2023

არ უნდა იყოს:

აოოფეს...

მზე და...
ცოდნა, რომ –
კმაროდეს,
სიმართლე აღარ –

იურვის...
არ უნდა იყოს,
აროდეს:
ბრმა,
ყრუ და...
ჩლუნგი –
ჟიური...
12. 09. 2023

თავზე, ოომ –

ფაფისვით...

პატივი, რომ დავდეთ...
და... თავზე –
ფავისვით,
მთელი სამყარო
ეგონა –
თავისი...
ჩვენ
ნატერად გვიქცია –
სიცოცხლის
ხალისი...
და... მისით, –
რამდენი –
გესლი და...
შეამი ესვით?!..
14. 09. 2023

უნდა იფოდეს, –

ყველამ...

ხალხს და ქვეყანას,
როცა –
მართავს: ორფეხა, –
ვირი,
ცხოვრებაც,
ყოფნაც,
და...
დროც –
ხდება:
ძნელი და...
ძვირი...

P.S.
ლაშამ,
ლუკამ, თუ –
ლელამ,
უნდა იცოდეს, –
ყველამ...
04. 09. 2011





იტყვიან, ნეტავ?!...

ილიას ვითარ, –
გამიკრთა ძილი,
ეპოქას შევხვდი –
მდუღარს და...
მძვინვარს...
ვასხივე სიბრძნის –
მზე, –
ჩემი წილი...
იტყვიან, ნეტავ?!-
ვინ მოველ?..
ვინ ვარ?..
10. 09. 2023

რაჭომ ვწუხვარ?..

დრო –
ადამის:
აკვანს, რომ შლის,
რაჭომ ვწუხვარ?..
რა მგონია?!..
თითქოს, –
მთლიან,
სამყაროში,
არის –
აზრის:
აგონია...
08. 09. 2023

რაჭომ?!..

რაჭომ?!..

და...

რაჭომ?!..

ორჰან ფამუქს

ვითარ ეგების –
სიტყვით,
შოლტვა მზის?!..
ეს, –
ქართველი სწვავს
ღამეს,
– ალივით...
მაჩვენე, მზის ქვეშ,
დარი –
შოთასი,
მაჩვენეთ მზის ქვეშ,
დარი –

სტალინის...
P.S

ვითარ ეგების –
ნათლის
აუგი?!..
რატომ განსჯიდე ჭკუით –
მაუგლის?!..
ხომ, ვხედავთ –
ყველა, –
ფხიზლად,
მძინარიც,
დედამიწაზე –
ვინაც,
ვინ არი?!..
10. 10. 2023

სიტრძნე და...

ლარი-ლარი...
სიტყვაში, როცა –
გულის:
ალია,
მაში მოვაქცევთ –
მზესა და...
მზის ძნებს...
ვის –
ლაი-ლაი უყვარს, –
ძალიან,
ლაი-ლაიში
როდია –
სიბრძნე?!..
07. 09. 2023

მახსოვკა

მე მახსოვეს:
ნიჭავსე,
მზენორჩი –
მგოსნები,
გალაქტიონს, რომ...
ბაძავდნენ –
დალევით?!..
ზეცას რომ წვდებოდნენ –
ფიქრით და...
ოცნებით,
გაბუუტდნენ...
და... ჩაქრნენ,
ვით, მთვარის –
ნალევი?!..
05. 09. 2023

სიტრძნე

წლები სიცოცხლის –
წავლენ, – სწრაფები...
სიბრძნეა:
სულის, გულის –
მკურნალი...
სიბრძნის მზეს,
ისე –
დავენაფები,
ვით, უდაბნოში –
წყაროს, –
მწყურვალი...
11. 09. 2023

ნამიუ გექნუვა –

იარად...

სიბრძნეა: დროის
მეგუთნის, –
ყოფნაში, განა –
ყრია რა?!..
თავი, თუ,
შენ არ –
გეჟუთვნის,
წამიც გექცევა –
იარად...
26. 08. 2023



მიყვარს და...

მძღოს...

მიყვარს სიკეთე,
თუ, ღირსების –
ნადავლი არი, –
მზესიყვარულის
სულმი... გულში,
როდესაც –
უფლობს...
როლს, რომ თამაშობს:
მგელი,
ღორი –
ადამიანის,
მძულს... მეზიზლება, –
ასჯერ მეტად,
სიკვდილზე
უფრო...
27. 08. 2023

რამდენი ჩაქრა –

ფუჭრდ,

აჩაოდ?!

სულ სხვაა –
ზოგჯერ,
რაც ჩანს და...
რაც არს,
ჩვენი ყოფნის და...
აზრის –
მამაო...
თურმე, –
რემდენი ქექავდა –
ნაცარს?!..
რამდენი ჩაქრა –
ფუჭრდ,
აჩაოდ?!

26. 08. 2023

ახე მგონია...

ვიცით, – სიბძეში
უფლის გონია,
ხატვაში – ხელი, –
ვინჩის*, კრანახის**...

და... მე, რასაც ვწერ,
ასე მგონია:

მხოლოდ,
უპრძნესი
უფლის კარნახით...
27. 08. 2023

*ლეონარდო და ვინჩი, –
გენიალური იტალიელი მხატვარი
(1452-1519)
** კრანახი ლუკას უფროსი, –
გენიალური გემანელი მხატვარი
(1472-1553)

ყოველ წამს –

ვფიქრობ...

სიმართლეს
სიბძნე –
ამზევებს და...
არ დევნის,
არ მტრობს...
სულს და გულს მივცემ –
ქვეყნის,
ხალხის
ტკივილის გამგებს...
როდესაც ვრჩები –
ფიქრებთან და...
ჩემ თავთან, –
მარტო,
ყოველ წამს ვფიქრობ:
ვის რა მზე და...
სიკეთე ვარგე?..
19. 09. 2023

რასთაველს ვფიქროვ...

მზედ ვამშვენებთო
ლექსის –
ელიტას?!..
დრო განსჯის –
ტლუ და...
ცანცარ – ბრექიებს...
რასთაველს ვფიქროვ, –
ბუქით
ვერ ვიტან –
ცრუპოეზის
ნაცარქექიებს...
17. 09. 2023

არვის შერჩევა!!!..

ცოტაა –
მზესაც...
გულში დანას,
რომ...
არ ასობდეს...
ბევრი მართავდა –
ქვეყნის საჭეს, –
გიუს ხალათით...
არასოდეს და...
არასოდეს...
და...
არასოდეს,
არვის შერჩება:
ქვეყნისა და...
ხალხის ღალატი!!!..
20. 09. 2023

ჰარტიული –

ფართონერი...

ეგონა, ვისაც,
რომ ჩრდილავდა
ზეობით –
ამ მზეს,
ქცეულა ნაცრად –
ყოფნა მათი...
და... ახლაც
ინვის...
ხომ, იყო –
ზოგი, – პარტმუშაკი, –
შემხტარი –
სკამზე?!.
თავს გვაჩვენებდა –
ფარაონად, –
ცისა და...
მიწის?!.
P.S.

დროს მიჰყავს
ყველა, –
დრო – რბის,
დრო – ქრის:
ჯიქურ,
ღიად დის...
დროს შერჩა, მხოლოდ:
სიტყვით,
საქმით,
სულით –
დიადი...
18. 09. 2023





შენით...

ზეცაში, ლექსად,
შენით –
ავიჭურ...
და... არ გავქრები,
როგორც –
ეული...
მე –
სიდიადის განცდას
მანიჭებს:
შენი –
სულიც და...
შენი –
სხეულიც...
16. 09. 2023

ვითარ ვუგზავნოთ – ლოკვა?!..

ვითარ ვუგზავნოთ –
ლოცვა, –
უბედურების
სარკეს?! –
ხალხი ცალკეა,
როცა,
ხელსუფლება –
ცალკე?!..
15. 05. 2012

ტკივილიანი ფიქრი...

მზედ, თუ,
ვერ ვხედავ –
ხვალეს,
დრო, უაღვიროდ,
მიჰქრის...
გულზე მიკიდებს
ალებს –
ტკივილიანი
ფიქრი...
17. 09. 2023

ვაჭერლოოო...*

ციურ კანონებს
ვინაც არღვევეს,
დასჯის უფალი, –
ძალმომრეობით,
მტრობით,
ვწეპით –
გართულ აღიას**
სიყვარული და
სიკეთეა –
თავისუფალი...
ვინც –
ბონაპარტობს,
ვატერლოოც
გარდუვალია...
25. 05. 2012

*1815 წლის 18 ივნისს,
ბელგიაში, ბრიუსელის
სამხრეთით, სოფელ
ვატერლოოსთან, პრუსიისა და
ინგლისის ჯარებმა მტვრად
აქციეს ნაპოლეონის არმიის
უძლეველობის მითი.

ეს იყო – ვატერლოოსთან,
არა მარტო, ნაპოლეონის
„სიდიადის“ მზის ჩასვენება და
მისი იმპერიის კატასტროფა,
აგრეთვე – უსამართლიბისა და
ძალმომრეობის გარდაუვალი,
უმტკიცესი, ლოგიკური
დასასრული...
**განყენებული სახელი,
როგორც – „ალია და მუსია,“
ანუ – უცხო...
2. 09. 2023

ვით გაზრდის – შვილებს?!..

რამდენი –
ჯავრს და...
დარდს ვეღარ
ილევს?
ჯვარს ეცვა –
მწარე დღეების
თვლითო...
მითხარით ერთი, –
ვით გაზრდის
შვილებს?!
გასაზრდელია, როდესაც –
თვითონ?!..
04. 09. 2023

ნეტავი!!!..

ნეტავი, –
სულ გაქრეს:
ვში და...
ვალალი,
ნეტავი, დამიწდეს –
სიცოცხლის
მკვნეტავი...
ნეტავი, მაჩვენა
ლიმილი –
ალალის, –
სიცილი,
კისკისი მაჩვენა, –
ნეტავი!!!!..

P.S.

ნეტავი, სულ,
სიყვარული ენთოს –
კელაპტრებად, –
ლიმილი,
სიცილი და...
კისკისი –
მენატრება...
2. 09. 2023

მსოფლიოს

მერვე საოქრება...

გაზეთში წაკითხული
კორუფციის წინააღმდეგ
ბრძოლის შთაბეჭდილებები...

რამდენჯერ, დავკარგეთ:
ეშმათა საწყალით –
ლმერთს,
ჩვენთვის,
სიკეთე
რაიც კი მოუცია...
არ გჯერათ?! –
იხილეთ:
ნამდვილი სასწაული, –
კორუმპირებულნი
ებრძვიან
კორუფციას?!..
18. 10. 2001

ახალი სამყარო...

ვის, რა მიზნები
ახლავს?!
და... თვლა აღარ აქვს



ნავსებს?!..
სამყარო გახდა, –
ახლა,
ვირეშმაკებით
სავსე...
26. 10. 2023

ველარ მელიორა...

და... იყო:
სიჭაბუკე, –
ცეპვა,
სიმღერა
და... სმა,
სიყვარულის და...
ლექსის –
ოცნების ტახტზე
დასმა...
მამულზე ფიქრის
განცდით –
დამიპყრო
დარდის
დასმა...
ველარ მელიორა
ვერ რით,
ცეცხლის –
წერტილის
დასმა...
17. 10. 2004 –
19. 10. 2023

ყვავი –

ზუღაბული?!

ყვავია იგი...
და... ყვავზეც –
ყვავი...
ბულბული ვარო,
ვგალობო, –
აპ?!..
მზედ ამონთებულ, –
ფერიას,

ყვავილს,
ფერად-ფერადი
სიტყვებით –
აპამს?!..
13. 10. 2023

სიკვდილი და...

სიჯოჯხლე...

რამდენს შეხვდებით –
სულ გულით
ქვიანს,
რამდენს –
დღიადს და...
ზესაქმით
მზისებრს...
სიცოცხლეს, ზოგის,
სიკვდილი
ჰქევა,
ზოგის სიკვდილს კი-
სიცოცხლე,-
ისევ...
10. 08. 2023

ხომ, ვიწით?!

ხან, –
თავზე ვიდგამთ
ცრუ აზრს, –
რქებადა,
ჭეშმარიტების
ვკარგავთ –
გაგებას...
ხან, –
რწყილის ვიცით:
ხოტბა,
ქება და...
არწივის:
კილვა,
კიცხვა,
ძაგება....
27. 10. 2023

მოგვივა –

რაი?!

და... რაი –

გველის?!

მზადა აქვთ, ჩვენთვის, –
ბნელეთის –
ხარო...
და...
გვესხმის,
გვებრძვის ზნეობა –
გველის...
სატანა –
ბრალს გვდებს:
სატანა
ხარო...
მოგვივა –
რაი?..
და... რაი –
გველის?..
25. 01. 2021

ფლეს, –

უფრო, მეტად!!!!.

დრო –
ჯოჯოხეთის
რისხვად, რომ დინდა...
და... მზე, –
ქართული –
აქცია ბინდად...
დღეს, –
უფრო, მეტად –
დავითი გვინდა,
თამარი გვინდა,
ილია გვინდა!!!..
25. 06. 2023





ლანა განველი

მარტინ მარტინი

მელიანიშ შეილის გრულიშვილი, – ახლავე დავტრუნდებით, – და ისის ემირს მისწყდა. სასტუმრო ოთახის კართან შეჩერებულისა სმენა დაძაბა.
– ვიწო, მცმიდა, რომ ჩემის გოგოებს ზრდის. ველოდეფინი, ჟურ კიდევ... პრ, მაგრამ ეს თავისი სარწმუნობითაუ არ წეოვნობს და შე რა მოვთხოვთ.
ემირის პასტურებიდან, მელიანი მიხვდა, რომ ისინი მაცხელაპარაკონდნენ. როგორჯ ყოველთვის, ჰენდრის აინტერესებდა გახდა თუ არა მათი „გიაური“ რძალი მუსულმანი.
მელიანიშ კარი შეხსნა და ემირს ნინ დაუჭიგვა. მან უხერხული გრაილის და საუჩრის თემა შეეფალა. ლილის უურულდა ნაწყენი სახით, ის კი ვითომერ არაფერი, იუნიდა და წოლს თვალს არიდერდა.

ლ. მანველი

Il est où le bonheur

სად არის ბედნიერება

(რომანი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ №4, 5, 2021 წელი; „ოლე“ №1, 2, 3, 4, 5, 6, 2022 წელი; „ოლე“ №1, №2, №3, №4, №5, 2023 წელი.

ჰარის გადანის გარი

საღამო ხანი იყო. იმ იშვიათ შემთხვევათა-განი, როდესაც მელანი და ემირი, საღამოს ერთად ატარებდნენ. ისინი დივანზე გვერდიგვერდისხდნენ და აიას ნახატების თვალიერებით ტკბებოდნენ. მელანი ღიმილით შლიდა სახატავი რვეულის თითოეულ ფურცელს, რომლებზეც ფერად-ფერადი პონები იყო დახატული.

ჰატარა აია, პრინცესა ელზას ცისფერ კაბაში გამოწყობილი, იქვე, მათ ფეხებთან ჩამჯდარიყონ და სათამაშო პონებით თამაშობდა.

– ეს Twilight Sparkle-ია, ეს Applejack-ი, ეს Rainbow Dash-ი. დღეს მე Rarit-ი ვარ.

მას შემდეგ, რაც აიას, ოთხი წლის იუბილეზე, მშობლებმა პირველი სათამაშო პონი აჩუქეს, გოგონა უზომოდ გაიტაცა პონებმა. უყურებდა მათზე გადალებულ სერიალს და აგროვებდა ყველაფერს, რაზეც კი პონი იქნებოდა გამოსახული. მას ასევე ძალიან მოსწონდა, როდესაც პონების სახელებს ირქმევდა. მაგალითად, ერთ დღეს Pinkie Pie-ი იყო, მეორე დღეს – Fluttershy.

აიას ცისარტყელას ხატვაც ძალიან უყვარდა. მის ყველა ნახატს, ფონად ცისარტყელა გასდევდა.

ემირი ყოველი ახალი ნამუშევრის ნახვის შემდეგ, შვილს აქებდა და ახალი პონის ყიდვას პირდებოდა. გახარებული აია, მშობლებს სულ ბოლოს ნაყიდი სათამაშოს გამოყოლილ, მცირე

ზომის კატალოგში თავისთვის სასურველ პონის აჩვენებდა და თან მის შესახებ უყვებოდა.

მათი ოჯახური მყუდროება, ემირის მობილური ტელეფონის ზარმა დაარღვია. მელანიმ ეკრანისკენ თვალი გააპარა: – ჰანდანი რეკავდა ანკარადან.

ემირმა შემომავალი ზარი მაღალ ხმაზე ჩართო და ნახატების თვალიერება ისე განაგრძო. მელანი და აია გაჩუმდნენ. ემირმა მამიდა მოიკითხა. ჰანდანმა უცნაურად გაიცინა და, – მერა მიშავსო უპასუხა. იქვე იკითხა, მარტო იყო თუ არა. ემირმა ნახატები მელანის მიაწოდა, ტელეფონის ხმა ჩვეულებრივ რეჟიმში გადაიყვანა. მელანი კიდევ უფრო დაიძაბა. აია თამაშს აგრძელებდა. ემირი მალევე წამოდგა და ოთახიდან გავიდა. ბავშვმა თამაში შეწყვიტა და მამას თვალი გააყოლა. მერე დედას შეხედა და უთხრა:

– Maman, naxe, Spike-ი რა საყვარელია.

მელანიმ შვილს გაულიმა, – ახლავე დავბრუნდებიო, – და ისიც ემირს მიჰყვა. სასტუმრო ოთახის კართან შეჩერებულმა სმენა დაძაბა.

– ვიცი, მამიდა, რომ ჩემს გოგოებს ზრდის. ველოდები, ჯერ კიდევ... პო, მაგრამ ეს თავისი სარწმუნებითაც არ ცხოვრობს და მე რა მოვთხოვო....

ემირის პასუხებიდან, მელანი მიხვდა, რომ ისინი მასზე ლაპარაკობდნენ. როგორც ყოველთვის, ჰანდანს აინტერესებდა გახდა თუ არა მათი „გიაური“ რძალი მუსულმანი.

მელანიმ კარი შეხსნა და ემირს ნინ დაუდგა. მან უხერხულად გაიღიმა და საუბრის თემა შეცვალა. დიდხანს უყურებდა ნაწყენი სახით, ის

კი ვითომდც არაფერი, იცინოდა და ცოლს თვალს არიდებდა.

საუბრის დასრულებისთანავე სწრაფად მოემზადა და ჰოჯასთან შეხვედრის მომიზეზებით სახლოდან გავიდა.



ლანა მანველი

მელანი ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახში შევიდა და კომპიუტერი ჩართო. მონიტორის განათებით უცაბედად ნატკენი თვალები ხელისგულებით დაიფარა და ქრომის საძიებო სისტემაში, ორი სიტყვა – Elias Mizrahi ჩაწერა. ეკრანზე უამრავი ინფორმაცია გამოჩნდა. ბევრი მათგანი მელანისთვის უკვე კარგად ნაცნობი, თითქმის დაზეპირებული, მაგრამ მაინც საინტერესო და ძვირფასი იყო:

- ელიას მიზრაჟი - ცნობილი მხატვარი (საფრანგეთი).
- კულტურის სიახლეები - მხატვარი ელიას მიზრაჟი.
- სახვითი ხელოვნების უურნალი „მენორა“ და ინტერვიუ ელიას მიზრაჟთან.
- Vernissages en galeries d'art à Paris - Art Sacré: Elias Mizrahi.
- Elias Mizrahi : An Artist's Transformation – ჰიუსტონის სახვითი ხელოვნების მუზეუმი...

ბოლო დროს, დაძინებამდე, ჩვეულებად ექცა ელიასთან „შეხვედრა“. საუბარი იმ შავთეთ ფოტოსთან, რომელიც გამორჩეულად უყვარდა. ვიდრე მის ძველ თუ ახალ ნამუშევრებს დაათვალიერებდა, ჯერ აუცილებლად ამ ფოტოს მოძებნიდა, უყურებდა დიდხანს და გული უტიროდა.

გამხდარი, წვერმოშვებული, შავ სვიტრში გამოწყობილი ელიასი გვერდულად იდგა და ობიექტივს შუბლშეჭმუნული, ტკივილიანი მზერით, მელანის მსგავსად ცალყბად, უნდობლად უღიმოდა.

მან ეკრანს თითები მიუახლოვა, ელიასის გამოსახულებას მიეფერა და ძალიან ჩუმად ამოთქვა:

„Comment est ta peine ? La mienne est comme ça...“*

დაძაბულობისგან ხან აცხუნებდა, ხან აციებდა. თან ყოველ წუთს კარისკენ იყურებოდა, რათა სალოცავად დამდგარი ქმარი თავს არ

* „შენ როგორ გტკვა? მე ასე...“ – ფრაზა, ცნობილი ფრანგი მომღერლის ბენუამენ ბიოლეს სიმღერიდა.

წამოსდგომოდა.

ელიასის

ნახატებს

წიგნებივით კითხულობდა. თითქოს გრძნობდა თუ რას განიცდიდა, როგორი სულიერი მდგომარეობა ჰქონდა წლების მანძილზე. ზოგ ნახატში, ძირითადი თემისგან გამოყოფილად, ელიასს, თავისი თავიც დაეხატა, – იდგა ეული, სევდიანი, მაგრამ იმავდროულად მტკიცებად ძლიერი გამომეტყველებით. ამ დროს მელანის უზომოდ სურდა მასთან საუბარი. დარწმუნებული იყო, რომ ის მის ყველა ტკივილს ერთიანად უშველიდა. ამას მთელი გულით გრძნობდა.

ერთ-ერთ სოციალურ ქსელში ელიასის სახელით გახსნილი რამდენიმე პროფილი აღმოაჩინა. დარწმუნებული არ იყო, რომ მიეწერა, მისი შეტყობინება ნამდვილად მივიღოდა თუ არა ადრესატამდე. ამ საღამოსაც, რამდენჯერმე აკრიფა და ნაშალა ტექსტი. ხან რა დაწერა, ხან რა. ბოლოს, ბევრი ყოყმანის შემდეგ, ყველგან ერთი და იგივე წინადადება გაგზავნა:

– Bonjour! შენ ისევ ისეთი ელიასი ხარ, მე რომ ბავშვობიდან მახსოვს?

ქვეშ თავისი ნამდვილი სახელი არ მიუწერია. არც თავისი ფოტო ედო სადმე. სჯეროდა, რომ ელიასი მას ისედაც იცნობდა.

უკვე თენდებოდა. ემირის მაღვიძარამ დარწევა. გაფითრებულმა მელანიმ უმალ დახურა აპლიკაცია, ძებნის ისტორია ნაშალა და კომპიუტერი გამორთო.

დღეები სწრაფად გადიოდა, ელიასისგან კი კვლავ არაფერი ისმოდა. ყოველ ღამით, კომპიუტერთან მჯდომი, მის შავ-თეთრ ფოტოს ჯიუტად მიჩრებული მელანი, გულდანყვეტით ჩურჩულებდა: – ელიას, დამივიწყე?..

ასოციაცია „არის აქ ვინევა?“

– „Allahu ekber... Allahu ekber... Eşhedü enne la ilahé illallah...

სულ მალე, მის ლოცვას ახლომახლო მეჩეთების მოლებიც აყვნებ: „Allahu ekber... Allahu ekber... ve eşhedü enne Muhammedden abduhü ve resuluh...“

ემირი ეზანის ხმამ გამოაღვიძა. გაუკვირდა, ყოველთვის უფრო ადრე ეღვიძებოდა, იქამდე ვიდრე მრევლს მოლა ლოცვისთვის მოუხმობდა. მელანის გადახედა. მას ზურგშექცევით ეძინა,





თავთან ონორე დე ბალზაკის „გამქრალი ოცნებანი“ ედო.

ვიდრე სალოცავად გასუფთავდებოდა, აივანზე გავიდა და ეზანს ბოლომდე მოუსმინა. მეზობელი სახლების ფანჯრებში, ერთიმეორის მიყოლებით ინთებოდა სინათლეები.

თენების იდუმალი ხიბლი უყვარდა. თვლიდა, რომ დილით ადრე ადგომსა და ლოცვას, მისთვის სხვანაირი მადლი მოჰქონდა.

ილოცა, მოეზადა, ერთი კოვზი თაფლი შეჭამა და სახლიდან გავიდა.

იმხანად, თავის თანამოძმებთან ერთად, მორიგი საქველმოქმედო ნამოწყებით იყო დაკავებული. პროექტის მიხედვით, მოძრაობა „პიზმეტის“ კუთვნილ სატელევიზიო არხზე, სულ მალე ყოველკვირეული პროგრამა: „არის აქ ვინმე?“ უნდა გასულიყო.

„არის აქ ვინმე?“ – ეს იყო ძახილი, რომელიც ხშირად გაისმოდა 1999 წლის 17 აგვისტოს თურქეთში მომხდარი მიწისძვრის შემდგომ პერიოდში. მაშინ, როდესაც სულ მცირედი ხმაც კი იმედის მომცემი იყო როგორც ნანგრევების ქვეშ მოყოლილთათვის, ასევე მათი გადარჩენის მსურველთათვისაც.

ამ სატელევიზიო არხის გუნდის წარმომადგენებს და მოხალისებს, რომლებიც დასახმარებლად უმაღ გაიქცნენ მიწისძვრის ეპიცენტრისკენ, არც დაბრუნების შემდეგ შეუნიკვეტიათ საქველმოქმედო საქმიანობა. იმ ტკივილიანი დღეების, ორივე მხარისთვის იმედის მომცემი და გადარჩენის ტოლფასი შეკითხვა გამოყენეს და მიზნად, კვლავ გაჭირვებული ადამიანების დახმარება დაისახეს. ახლა ტელევიზიის ეკრანიდან უნდა მოეხმოთ ორივე მხარეს მდგომი ადამიანები: – უპოვარნიც და მათი დახმარების მსურველებიც.

ემირი ახალ კავშირებს ეძებდა. ხვდებოდა სამშენებლო, ტექნიკის და პროდუქტის მაღაზიების მეპატრონეებს. ასევე, ადგენდა გაჭირვებული ოჯახების სიებს, ინიშნავდა მათ პრობლემებს და საჭიროებებს.

სულ მალე მელანიც დაინტერესდა ახალი პროექტით და დახმარების სურვილი გამოთქვა. საერთო მიზანმა დროებით ისევ გააერთიანა ცოლ-ქმარი. მელანიმ ყველა თავის ნაცნობს დაურეკა და პროექტი გააცნო. მათგან ზოგმა ფულადი შემონირულობა, ზოგმა ახალი სამოსი, ზოგმაც პროდუქტი გაიღო. გახარებულმა მელანიმ, ყველაფერი უკლებლივ ემირს ჩააბარა.

შვილის მოლოდინი

ისე გავიდა გაზაფხული, მელანიმ, წესი-ერად ვერც კი შეიგრძნო. ის არ შეხებია ბალახს, ყვავილს, ფოთოლს. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ცხოვრება მისი გვერდის ავლით მიედინებოდა. სხვებისთვის თენდებოდა და სხვებისთვის ლამდებოდა. მისი საყვარელი ცაც კი აღარ სწყალობდა. ღამით, როდესაც თავის გულს და სიჩუმეს უსმენდა, ზევით ახედვის ეშინოდა, რადგან აქა-იქ, კუნტად აკიაფებულ ვარსკვლავს მიღმა, მხოლოდ უსასრულოდ ბნელ სიცარიელეს შეიგრძნობდა.

ემირი, სალამოებს მურადის ოჯახში ატ-არებდა. ხანდახან მელანის წინააღმდეგობის მიუხედავად, აიაც თან მიჰყავდა. ჰანდანი ახლა უკვე მურადის სახლში ჩამოდიოდა სტუმრად. ემირს იქ მელანის წაყვანაც სურდა, მაგრამ მას ეს არ უნდოდა. მათი ერთობა და თავისი გარიყულობა იმდენად მძაფრად მოქმედებდა მასზე, რომ მერე, დიდხანს ვეღარ ახერხებდა ხოლმე დაკარგული ენერგიის მოკრებას.

ზაფხულის დადგომამ შედარებით გაახალისა. ცოტაც და არდადეგები დაიწყებოდა. მელანი მთელი გულით ელოდა ჩალლას ლონდონიდან ჩამოსვლას, ზამთრის არდადეგების შემდეგ არ ენახა შვილი. მიუხედავად იმისა, რომ ემირი ხშირად ჩადიოდა ლონდონში, ცოლი თან იშვიათად მიჰყავდა. სასიამოვნო მოლოდინით აღსავსე მელანი, არაჩვეულებრივი განწყობით, ვინ მოთვლის უკვე მერამდენედ აწესრიგებდა ჩალლას ოთახს. თავიდან განმინდა ავეჯი, ხალიჩა გასარეცხად გააგზავნა. ფარდები სურნელოვან სითხეში გაავლო. სანოლს პრინცესა ბარბის ნახატიანი, ვარდისფერი თეთრეული გადაარა. მსოფლიო კლასიკური შედევრების ტომეულს მტვერი გადანმინდა და თაროებზე ახლებურად დააწყო. კიდევ ერთხელ შეამონება ტანსაცმლის კარადა, გამოხსნა ყველა უჯრა, ჩალლას ყელ-საბამები, სამაჯურები ამოაწყო და თავიდან ჩალაგა. ყველაფერი ღიმილით აკეთებდა. ის იყო ბედნიერების განცდით სიმღერა წამოინყო, რომ კარზე ზარი გაისმა. სათვალთვალოში გაიხედა, – კარს მიღმა, ზედა სართულის მეზობლის თხუთმეტიოდე წლის ბიჭი იდგა: – დედაჩემს თავი სტკივა და თუ შეიძლება, სიმღერა შეწყვიტეთო, – უთხრა და მაშინვე გაბრუნდა. უხერხულად გაღმიებულმა მელანიმ, ბოდიში გზაში დააწია. უცბადვე გაუქრა ყველანაირი სიხარულის გრძნობა, უცხოდ მოეჩვენა სადარბაზო, კიბეები, სახლი, ჰაერიც კი. ერთი სული ჰქონდა სწრაფად გასცლოდა იქაურობას. საჩ-



ქაროდ გამოიცვალა ტანსაცმელი და სახლიდან გავიდა. ვიდრე ეზოდან გავიდოდა, შეჩერდა და ზედა სართულის აივანს ახედა. ის დღე გაახ-სენდა, ბავშვობაში, სტრასბურგში, თავიანთი ყოფილი ბინის აივნიდან ახალი მეპატრონეების უზრდელმა ბიჭმა რომ ენა გამოუყო.

აიას ბალიდან გამოყენამდე, ჯერ კიდევ დიდი დრო იყო. ავტობუსში ჩაჯდა და ბეიოლ-ლუს რაიონისკენ წავიდა. მგზავრობის დროს შე-დარებით დამშვიდდა.

წმინდა ბენედიქტეს სახელობის ლიცეუმთან ჩამოვიდა. როგორ უნდოდა, რომ ჩალლას აქ მიელო ფრანგული განათლება. ემირს კი შვილთან დაკავშირებით, სულ სხვა გეგმები ჰქონდა.

მელანი დიდხანს იჯდა ლიცეუმის გარეთ მდებარე ბაღში. ირგვლივ არავინ იყო. სიამოვნებდა შენობის ძველი ქვის კედლების და მაღალი პალმების ცქერა. რაღაც დოზით საფრანგეთში, მონატრებულ სამშობლოში გრძნობდა თავს. ისევ დედაზე გაბრაზდა, რომელიც ნებით თუ უნებლიერ მუდამ უხშობდა შინ დასაბრუნებელ გზას.

იქიდან წამოსულმა, ჯერ აია სოფიას ტაძარში ილოცა, მერე სულთან აპმედის ცის-ფერ მეჩეთში. ორივეგან მოსახვევი მოხვია და ისე.

მიწისქვეშა წყალსაცავთან უამრავი ტურისტი ირეოდა. ისტიკლალის გამზირზე წითელმა ტრამვაიმ გაიარა. თვალი გააყოლა. წითელი ფერი ყოველთვის უყვარდა. თურქული ყავის დასალევად იქვე, ბუკინისტური მაღაზიის გვერდით მდებარე კაფეში ჩამოჯდა. ირგვლივ სუვენირებით სავსე დახლები იყო მიმოფენილი. მელანის უყვარდა აქ ჯდომა და წერა. მიუხედავად იმისა, რომ ირგვლივ ხმაური იყო და უამრავი ადამიანიც ირეოდა, ის აქ თავს მშვიდად გრძნობდა.

კაფედან გამოსულმა, ჩალლას ოთახისთვის, როკოკოს და ნეოკლასიკური პერიოდის ფრანგი მხატვარი ქალის, ელისაბედ ვიგი ლე ბრუნის ნახატის „ავტოპორტრეტი ქალიშვილთან ერთად“ ილუსტრირებული ვარიანტი შეიძინა და *Yesilçam*-ის ქუჩაზე ავიდა. აქ ოდესალაც კინო ინდუსტრია ყვაოდა. ახლა კი სანახევროდ დანგრეული და გადამწვარი კინოსტუდიები, კედლებზე შემორჩენილი ძველი აფიშები და კინოვარსკვლავების გადახუნებული პლაკატები, მნახველს ასევდიანებდა. მელანის უყვარდა ეს სევდა.

საბავშვო ბალისკენ მიმავალ გზაზე, ავტო-

ბუსში მჯდომმა, იმ დღეს, კაფეში დაწერილი სტრიქონები გადაიკითხა:

ცარიელია სული, დასაბამიდან თითქოს,
სადღაც არსებობს გრძნობა, გრძნობა
რომელიც ვერ გთმობს.
გადატეხილი ფრთები, მხოლოდ
გახსენებს ძველ დროს,
ბუნდოვანება კვდომის, უმტკივნეულოდ
გიპურობს...

განგაში

ჩალლას თვითმფრინავი სამი საათისთვის უნდა ჩამოფრენილიყო. დასთან შეხვედრის მოლოდინით გახარებული აია, იმ დღეს ბაღში არ წაიყვანეს. აეროპორტში ერთი საათით ადრე მივიდნენ. მანქანა მოშორებით, ავტოსადგომზე გააჩერეს. აიას ერთი ხელი დედისთვის, მეორე კი მამისთვის ჩაეკიდა, რომლებიც მის ყოველ მოთხოვნაზე, ერთდროულად სწევდნენ ჰაერში და გარკვეულ მანძილზე ახტუნებდნენ. თავის დროზე ეს თამაში ჩალლასაც უყვარდა. აია ბეჭნიერი იცინოდა. მათაც უხაროდათ და შვილს ესიყვარულებოდნენ. ასე ხტუნვა-ხტუნვით მივიდნენ შენობასთან, სადაც სულ სხვა სიტუაცია



მხატვარი სოფიო ჭელიძე





დახვდათ.

შესასვლელთან უამრავი აღელვებული ადა-
მიანი ტრიალებდა. პოლიციას აეროპორტის შეს-
ასვლელი დროებით გადაეკეტა და შიგნით არა-
ვის არ უშვებდა.

მიზეზი მალევე შეიტყვეს. განგაში, გარე
ფრენების განყოფილებაში, მე-9 დერეფნის წინ
აღმოჩენილი საეჭვო პაკეტის გამო გამოეცხადე-
ბინათ. დაცვას, უსაფრთხოების ზომების გათ-
ვალისწინებით, ხალხი ტერიტორიიდან გაყავ-
დათ და ჩამოწრენილ მგზავრებსაც, დროებით
თვითმფრინავის დატოვების უფლებას არ აძლე-
ვდნენ.

მელანის ერთიანად წაერთვა ძალა. აიაშ
სიცილი შეწყვიტა და ხელში აყვანა სთხოვა.
მელანი დაიხარა, მაგრამ ბავშვის დაჭრა ვერ
შეძლო. აია ახლა მამას შემოეხვია. ემირმა ის
ხელში აიყვანა და იქაურობას გაარიდა.

მელანი იქვე დარჩა. შეშფოთებულ ადამი-
ანებს შორის იდგა და ემოციებს ვერ უმკლავდე-
ბოდა. ემირმა, რომელიც თავს კარგად აკონ-
ტროლებდა, რამდენჯერმე დაუძახა. ის შვილს
ცოტა მოშორებით, ტროტუარის შემაღლებულ
ბეტონის ზღუდეზე წინ და უკან ატარებდა.
მელანის მათკენ არ წავიდა. შესასვლელთან
სიახლოვით, ეგონა ჩაღლას მოსალოდნელი სა-
ფრთხისგან დაიფარავდა.

ცოტა ხანში, თავზე მეტალის ჩაფეუტებით,
ხაკისფერ და ცისფერ სპეციალური გა-
მოწყობილი, ბომბის გამნაღმველთა სპეციალუ-
რი ჯგუფი გამოჩნდა. მათ დანახვაზე მელანის
თვალთ დაუბნელდა...

გონს რომ მოეგო, იგრძნო, რომ პირდაპირ
ძირს, ასფალტზე იწვა. მის წინ აეროპორტის
ექიმი ჩამუხლულიყო და წნევას უზომავდა. ვი-
ლაცები ხელ-ფეხს უზელდნენ. ვიღაც ბოთლით
წყალს აწვდიდა. ემირი თავს უჭერდა. შეშინებუ-
ლი აია მამას ეკვროდა. ირგვლივ ხალვათობა
იგრძნობოდა. უსაფრთხოების ზომები უკვე მო-
ეხსნათ. ემირისგან გაიგო, რომ საეჭვო ჩანთაში,
რომელიც ვიღაცას შემთხვევით დარჩენდა, მხ-
ოლოდ ტანსაცმელი აღმოეჩინათ. აეროპორტში
მუშაობა განეახლებინათ. ხალხი ჩვეულებრივ
მიდი-მოდიოდა. მელანიმ შვებით ამოისუნთქა.
წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. თავბრუ-
ებეოდა და გაბუშებული ხელ-ფეხის მოძრაო-
ბაც უჭირდა. მისთვის ეტლი მოიტანეს.

აეროპორტში, ლონდონი-სტამბოლის რეი-
სის ჩამოფრენა გამოცხადდა. ემირმა, მელანის
ეტლი მოშორებით კუთხეში გააჩერა და აიასთან
ერთად წინ წავიდა. ჩამოფრენილებმა გამოსვლა

რომ დაიწყეს. დამხვდურები ყველა მათგანს მხ-
იარული შეძახილით და ტაშით ხვდებოდნენ.

მელანი მისუსტებული მზერით ეძებდა
შვილს. რამდენჯერმე თითქოს დალანდა კიდეც-
ლელისგან ისევ წნევა ეცემოდა, თვალები
უჭრელდებოდა. ღრმად სუნთქვა დაიწყო. უც-
ბად მკლავზე შეხება იგრძნო, თავი ასწია, – მის
წინ, მომღიმარი ემირი, დამორცხვებული აია
და მუსულმანური წესით თავმოხვეული ჩაღლა
დაინახა.

გზარი

„გული ყველაფერს ველარ დაიტევს...“

მოშიებულ ემირს და გოგონებს რესტორან-
ში სადილობა სურდათ. მელანის კი დამღლელი,
სტრესით და ემოციებით სავსე დღის შემდეგ,
სახლში დაბრუნების მეტი, სხვა არაფერი უნ-
დოდა. ამის გამო ჩაღლა გაიბუტა. მელანის მისი
ქცევა აოცებდა, მაგრამ არაფერს ამბობდა. აია,
მანქანაში თითებით დედის სავარძლის ზურგს
ეჭიდებოდა, ხანდახან ხელს თავზე მზრუნველად
ადებდა და ახლა კარგად ხარო? – ეკითხებოდა.

ცოტა ხანში, ტრანსპორტით გადატვირთულ
იავუზ სულთან, სელიმის ხიდზე, მოძრაობა შეუ-
ძლებელი გახდა. საცობში გაჭედილები, დიდხ-
ანს ისხდნენ გაჩერებულ მანქანაში და ჩაღლას
ლონდონურ ამბებს ისმენდნენ. თუმცა ის დე-
დას ისე აჩვენებდა, რომ თითქოს ყველაფერს
მხოლოდ მამის გასაგებად ყვებოდა. ემირი აღ-
ფრთვანებული უსმენდა შვილს და შიგადაშიგ
შეკითხვებს უსვამდა. მელანი მათკენ არ იხედე-
ბოდა, ლოყაზე ჯერ კიდევ გრძნობდა სამშობ-
ლოში დაბრუნებული შვილის ცივ კოცნას....

ბოლოს როგორც იქნა, გზა გაიხსნა. ხიდი
გადაიარეს და სტამბოლის აზიურ ნაწილში გა-
დავიდნენ. სახლში მისვლამდე ემირმა, რესტო-
რან „Genç Kebap“-ში დონერი, ყველიანი ფიდე,
ლაპმაჯუნი და სალათა გაამზადებინა. ჩაღლა
ისევ აბუზღუნდა.

– Kizim, annen hasta evde yeriz!* – ისეთი
უცნაური ტონით უთხრა შვილს ემირმა, რომ
მელანი ვერ მიხვდა, ქმარი თანაუგრძნობდა თუ
ისიც ჩაღლასავით უპრაზდებოდა.

სალამოს, როდესაც ემირი შეკრებაზე იყო
წასული, ხოლო აია, როგორც ყოველთვის,
პონებით თამაშობდა, მელანი ჩაღლასთან საუ-
ბარს შეეცადა. მან კი თავისი ოთახის მონეს-
რიგება მოიმიზეზა და კარი ცხვირწინ მოუხუ-

* შვილ, დედა ცუდადაა, სახლში შევჭამთ! — (თარგმანი თურ-
ქულიდან).



რა. მელანი შეცბა, აიამ თამაში შეაჩერა და დას სახელი დაუსახა.

— შენ კიდევ, ჩალლა კი არა, Abla* უნდა დამიძახო, — უმალ მოისმა მიხურულ კარს მიღ- მა...

რამდენიმე ხნის შემდეგ, სასტუმრო ოთახში გამოსულმა ჩალლამ, მელანის მიერ სპეციალუ- რად მისთვის მოქარგული და მერე ჩარჩოებში ჩასმული ზღაპრის გმირების ნაქარგი ფიგურები, სულ ახალთახალ საჩუქართან, ელისაბედ ვიგი ლე ბრუნის „ავტოპორტრეტი ქალიშვილთან ერ- თად“ დედას ნინ დაუწყო და მშრალი ხმით უთხ- რა:

— ჩემი რელიგია გამოსახულებებს მიკრძალა- ვს.

— Chaghla, ma fille, tu étudies à Londres ou à Téhéran?**

— ჰო, როგორც არის! — მიუგო ჩალლამ და თავზე მოსახვევი ჰანდანივით შეისწორა.

მელანის სიმწრით გაელიმა. სწრაფად გავ- იდა აივანზე, ძირს დაგებულ ფარდაგზე მუხ- ლებმოკეცილი ჩაჯდა, მყლავები სხეულზე შემოიჭდო და ნერვიულად აღმოხდა:

— ღმერთო! ხშირად რა ფერდაკარგული ხდება სამყარო... რისთვის ვარ ამ ქვეყნად? ვისთვის?..

მელანი დარდობდა, ჭრიჭინები უდარდელად ჭრიჭინებდნენ; მეზობლის ბინიდან ჭურჭლის წკარუნი მოისმოდა; ჩალლა აღფრთოვანებული აფრიალებდა აბრეშუმის ფერად-ფერად თავ- საფრებს; აიას, ლე ბრუნის ნახატი კედელზე მიეყუდებინა და იქვე, იატაკზე ჩამჯდარი, მის გადახატვას ცდილობდა.

ზაფხულის თბილ ლამეში ქრებოდა კიდევ ერთი დღე, — ვისთვის როგორი....

ლოცვა სიკვდილამდე

ელიასი, მთელი ზაფხულის განმავლობაში წმინდა ადგილების სერიაზე მუშაობდა. ბოლო დროს, ძილშიც კი იერუსალიმი ელანდებო- და. და თუმცა, მას რეალურად არც არასდროს ენახა წმინდა ქალაქი, ის მის ფიქრებში მუდამ დომინირებდა. ამოჩემებულივით, ხშირად ეს- იზმრებოდა ერთი და იგივე სიზმარი: ის იდგა გოდების კედელთან, უამრავ ადამიანთა შო- რის და ლოცულობდა. სხვები მოდიოდნენ და მიდიოდნენ. იცვლებოდა წელიწადის დროები.

* უფროსი და; ასევე იხმარება ასაკით უფროსი ქალის მიმართაც. — (თარგმანი თურქულიდან).

** ჩალლა, ჩემი გოგო, შენ ლონდონში სწავლობ თუ თეირანში? — (თარგმანი ფრანგულიდან).

ის კი ისევ ჯიუტად განაგრძობდა იქ დგომას. შორეული მზერით ერთიმეორის მიყოლებით აშენებულ თაღოვან გასასვლელებში იკარგებო- და, ნაცრისფერ-მოვარდისფრო ლაბირინთებში ფრენდა და იმ ერთადერთს ექებდა, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში არც ცხადში ჩანდა და არც სიზმარში. სულ ბოლოს, წლების წინ, სტრასბურგში გამოფენაზე რომ მოჰკრა თვალი, მიხვდა, რომ მან თავისი არჩევანი გააკეთა, მა- გრამ ელიასითვის ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა. მისთვის მელანი ულამაზესი ზმანება იყო. სამუ- დამო ბინადარი მისი სულის და გულის. მისი გაიგივება, შედარებაც არ შეეძლო იმ ქალებთან ვისთანაც კი ოდესმე რაიმე ურთიერთობა ჰქონ- და.

უკვე ბინდდებოდა, სულ ბოლო ნახატი — „ქუჩის კუთხე იერუსალიმში“ რომ დაასრულა. დაღლილი ხმით — „შმა ისრაელ“ (ისმინე, ისრა- ელ) ჩაიჩურჩულა და ნამუშევრებს შორის ჩაჯ- და. გული არითმიულად უცემდა. მისმა სულმა შვება ვერ იგრძნო. ისევ ის, ნაცნობი სევდა შე- მოაწვა. ძლიერ სულიერ ტკივილს გრძნობდა. იმ ტკივილს, რომელიც ხან ამნარებდა და ხან ატკბობდა. ის ხომ მთელი სიცოცხლის განმავ- ლობაში ამ ტკივილის ვიზუალიზაციას ცდილობ- და თავის შემოქმედებაში, ყველა დეტალსა თუ მონახაზში.

ეს იყო უკიდეგანო სიყვარული ტკივილამდე და გაუსაძლისი ტკივილი — სიკვდილამდე...

სახლში ჩამობნელდა. ლეა სტრასბურგში, თავის დასთან იყო სტუმრად ნასული.

ელიასი გაჭირვებით წამოდგა. მტკივანი ფეხი გაბუჟებოდა. ფეხზე მუშტი მიირტყა და ხელის ზურგით გაიზილა. არგუსი, მისი გერმან- ული ნაგაზი, რომელიც მანამდე მის ფეხებთან იწვა და თვლემდა, წამოხტა და მზრუნველად აულოკა მუხლი. ელიასი მოშავო-მოყავისფრო თავზე მოეფერა და ოთახში სინათლე აანთო. ნაჭრის აპაურს აქა-იქ საღებავები მოსცხებო- და.

არგუსი, ისააკის გარდაცვალების შემდეგ მოიყვანა ლეამ სახლში. ლამით ხან შემოსასვ- ლელში, ხან მის ოთახში ეძინა. ახლაც თა- ვისი ოთახის კარი მისთვის სანახვროდ ლია დაეტოვებინა. არგუსმა მყისვე ბოლომდე შეხსნა და შეირბინა, ელიასიც შეცყვა. საკმაოდ დიდი დრო გასულიყო მას შემდეგ რაც მშობლების ოთახი აღარ ენახა. ლეა ყოველთვის სამზარეუ- ლოში ტრიალებდა ან აიგანზე იჯდა და ქსოვდა. ოთახიც და ავეჯიც, რომელიც მამის ძმის, ასევე ან უკვე გარდაცვლილი ბიძია ალენის გაკეთებუ-





ლი იყო, თითქოს და დაპატარავებულიყო. ტანსაცმლის კარადის სარკეში თეთრ ნაჭერგა-დაკრული საწოლის თავი მოჩანდა. მის გვერ-დით, პატარა მაგიდაზე ასევე თეთრ ნაჭერზე, მომცრო ზომის ლურჯი კობალტის მოოქროვილ ლამბაქზე, შუშის სასანთლე იდგა, რომელზეც ექვსქიმიანი ვარსკვლავი დაეხატათ, ქვეშ კი – En mémoire მიენერათ. მის ზევით, კედელზე შავ-თეთრი ფოტო ეკიდა, – ახალგაზრდა ლეას თმა შუბლთან შუაზე გაეყო და კისერთან შეეკრა. თხელი, ყვავილებიანი საზაფხულო კაბა ეცვა. ყელზე სქელი ოქროს ყელსაბამი ეკეთა. ოდნავ ილიმებოდა, ნიკაპზე ღრმული საყვარლად მოუ-ჩანდა. კალთაში მოკლე, თხელ კულულებიანი პატარა ელიასი ეჯდა. დიდი წყლიანი თვალებით და ოდნავ შეშინებული გამომეტყველებით ეკვ-როდა დედას. თხელი, გრძელსახელოებიანი, ღილებიანი პერანგი ეცვა, ყელზე გამობანტული თეთრი ლენტით. ერთი ხელი ყურთან მიეტანა, მეორე დედის მუხლზე ედო. მემკვიდრეობით მიღებული ღრმული, მასაც მოუჩანდა ნიკაპზე.

ელიასმა გაშლილი ხელისგული მიუახლო-ვა ფოტოს, მერე ეს ხელი გულთან მიიტანა და გაიღიმა...

ძილის წინ არგუსი ჰაერზე გაასეირნა. შორს არ წასულან, ძალიც მიჩვეული იყო მის ნელ ნაბიჯებს. სახლში მობრუნებულმა, ფინჯანში ყავა დაისხა და სამი თვის შემდეგ, პირველად ჩართო კომპიუტერი.

პასუხი

მთელი ზაფხულის განმავლობაში ჩალლა დედასთან საუბარს გაურბოდა. თუ შემთხვევით სახლში დარჩენა მოუნევდა, მაშინაც ეუხეშე-ბოდა და გულს სტკენდა. მელანი ვერ ხვდებოდა, რამ შეცვალა მისი ერთ დროს, თბილი და მზრუნველი გოგონა. ჩალლას მასთან ერთად

ყოფნას, მურადის სახლში სტუმრობა ერჩია. მელანის სძულდა იქიდან დაბრუნებული შვი-ლის, თითქოსდა მის ჯიბრზე, კმაყოფილი და შეპარვით ნიშნისმომგებიანი სახის დანახვა. თა-ვისი ოთახი სალოცავი ხალიჩებით, თავსაფრე-ბით და რელიგიური წიგნებით გაავსო. მელანის არაფრის დალაგების უფლება არ ჰქონდა. ჩალ-ლას არც კი უნდოდა, რომ დედა მის ოთახში შესულიყო. მელანი დარდისგან გახევდა. არც კი იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. ცდილობდა ამ ყველაფერს გამკლავებოდა. მთელ ყურადღე-ბას აიას უთმობდა. უზომო მზრუნველობით ექ-ცეოდა. მასთან ერთად თამაშობდა, ხატავდა, სეირნობდა. მაგრამ ჩალლას გულგრილ გამომე-ტყველებაზე გული უკვნესოდა. მას რამდენადაც ცუდი ურთიერთობა ჰქონდა დედასთან, იმდე-ნად კარგად გრძნობდა თავს მამასთან და მის ნათესავებთან.

ბოლოს ისე გაფრინდა ლონდონში, რომ ჩალლამ, დედას, ერთი ნაძალადევი კოცნის მეტი სხვა თბილი მოგონება არაფერი არ დაუტოვა.

აეროპორტიდან დაბრუნების შემდეგ, ემირ-მა აია და მურადის შვილი, ასია გასართობად ატრაქციონებზე წაიყვანა. მერე დარეკა და აც-ნობა, რომ ის და აია ჩაის დასალევად მურადთან დარჩებოდნენ.

მარტოდ დარჩენილი მელანი, ერთხანს აივანზე იჯდა. ვარსკვლავებით მოჭედილ ცას გაჰყურებდა და მის უსასრულობაში ჩაკარგვას ნატრობდა. უცბად მისმა სულმა სიმშვიდე შეი-გრძნო. რეალობის აღქმა დაკარგა. ვერც კი მიხვდა სასტუმრო ოთახში როგორ აღმოჩნდა. კომპიუტერთან მივიდა, სკამი გამოსწია, მშვი-დად დაჯდა და ჩართო. მესინჯერში ორი წერ-ილი დახვდა. ერთი უურნალის რედაქტორის, ხოლო მეორე... ელიასის!

გაგრძელება იქნება



თინათინ
თელაველი

წ ლ ი ა რ ე ბ ი თ დ ა გ ვ ი ს მ ი ნ ე ,
ლ მ ე რ თ ო , ნ ა ტ ე რ ა ა გ ვ ი ხ დ ი ნ ე ,
რ ა ც დ ა რ დ ი გ ვ ა ქ ს , წ ა რ გ ვ ი ხ ო ც ე ,
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო დ ა გ ვ ი ლ ო ც ე ! ..
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ზ ი ა ნ ო ბ ა ,
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა ,
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ვ ი ა ნ ო ბ ა –
გ ვ ა ლ ი რ ს ე დ ა დ ა გ ვ ი ლ ო ც ე ,
დ ა გ ვ ი ლ ო ც ე , დ ა გ ვ ი ლ ო ც ე ! ..

ა ნ გ ვ ე ლ ი ს თ ა მ ლ ე რ ა მ ე ს მ ი ა ,
მ დ რ ი ს ა ძ ლ ე ფ ა შ ე ნ გ რ ჩ ი ზ ე ფ ა მ ი ა ,
შ ე უ რ ს – შ ა რ ჩ ა თ ი შ ე ნ ი შ ე ვ ს ფ ა ,
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო , ა რ მ ნ ა მ ი ს მ ე , ს ხ ვ ა ...

თ. თელაველი

29



თინათინ
თელაველი

დ ა გ ვ ი ლ ი ნ ე , დ ა გ ვ ი ლ ი ნ ე ! ..

გ ე ა ვ ე ბ ი თ დ ა გ ვ ი ს მ ი ნ ე ,
ლ მ ე რ თ ო , ნ ა ტ ე რ ა ა გ ვ ი ხ დ ი ნ ე ,
რ ა ც დ ა რ დ ი გ ვ ა ქ ს , წ ა რ გ ვ ი ხ ო ც ე ,
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ნ ე , დ ა გ ვ ი ლ ი ნ ე ! ..
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ნ ე , მ ზ ი ა ნ ო ბ ა ,
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ნ ე , მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა ,
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ნ ე , ს ვ ი ა ნ ო ბ ა –
გ ვ ა ლ ი რ ს ე დ ა დ ა გ ვ ი ლ ი ნ ე ,
დ ა გ ვ ი ლ ი ნ ე , დ ა გ ვ ი ლ ი ნ ე ! ..

თელაველი!

წ ლ ე ბ ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ მ ო ვ ლ ე ნ ა ვ ,
თ უ მ ც , – მ ა ხ ე ლ ე ბ ე ნ ნ ი ს ლ ე ბ ი ,
მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ , გ ლ ი ც ა ვ , – ყ მ ვ ე ლ წ ა მ ს ,
შ ე ნ ი მ ზ ი თ ვ ხ ა რ ი ბ , ვ ი ვ ს ე ბ ი ! ..

P.S.

ლ ე ქ ს ი თ გ ა დ ა ვ წ ვ ა ბ ი ნ დ ე ბ ი ,
ა მ გ უ ლ ს ზ ვ ა რ ა კ ა დ გ პ ი რ დ ე ბ ი ! ..

ს ა მ უ რ ე ბ ა თ ა ს ა მ უ რ ე ბ ა ! ..

ს ა მ უ რ ე ბ ა თ ა ს ა მ უ რ ე ბ ა , – მ თ ე ბ ი კ ა ვ კ ა ს ი ს ,
ს ხ ი ვ ი თ ნ ა ქ ა რ გ ი , ს ა მ ი ს ე ლ ი თ – მ წ ვ ა ნ ე ა ტ ლ ა ს ი ს ,
ქ ე ბ ა : ს ი ტ უ რ ფ ი ს , ს ი ლ ა მ ა ზ ი ს , თ ქ მ უ ლ ა – ა ქ , ა ს ი ...
ა ლ ა ზ ი ნ ი ს ვ ე ლ ი თ , – მ ჭ ვ რ ე ტ ი წ ე ლ თ ა , – მ რ ა ვ ა ლ ა თ ა ს ი ს ! ..

ო ლ ე , № 6 , 2023





თეორი ფიფქით იქარგება!..

ფიფქი ცვივა, არე-მარე,
თეორი ფიფქით იქარგება,
ფიფქებს უხმობს გარე-გარე,
ფიქრში ფიფქი იკარგება.
თეორი ფიფქი ცვივა, ცვივა,
ფანტელები სივრცეს რთავენ,
თუმცა, გარეთ – ცივა, ცივა,
ეგ, თვალები მწვავენ! მწვავენ!..

ლექსო, მზით შემტკროო ვაზიანო!

ლექსებს, მე, ვადარებ – ლამაზ ბავშვებს,
ირგვლივ, სიცოცხლედ რომ ბრწყინდებიან...
ველტვი სიყვარულით სავსე ჰანგებს, –
სივრცეში ლალად რომ იღვრებიან...
მე, როცა ლექსასა ვწერ, მსურს მკითხველი,
ამ ლექსს გულით, სულით ვაზიარო,
ოცნებას მზეს ვანდობ და... მზით გელი,
ლექსო, მზით შემტკროო ვაზიანო!..

მე სიყვარული უჟაზლვოო...

ამინდი, თუმცა, ცივია, ვიცი, გამათბობს შენი მზე,
მე სიყვარული – უსაზღვრო, შენი გულის მზით შევიცნე,
შენ, ყველა ფიქრს რომ წინ უსწრებ, სხივდები ჩემს მზედ, ხატებად,
ეს სიყვარული, – მარადი, გულს მუდამ, სვედ მეხატება...

სიყვარულია უმთავრესი...

სიყვარულია: უმთავრესი, უნეტარესი,
სიყვარულია: სიცოცხლისთვის, უმწვერვალესი,
მწველია, ეგზომ, ტკბობით სავსე, – მზეობს ამად, ის...
მზე სიყვარულის, – უკვდავია, მუდამ მარადის!



ნინო ძამუქაშვილი

ასე და ამრიგოდ, ახლა უფრო ვიწრო და შინაურულოდ ქვაფენილიან ქუჩაზე ანა შზად არის ხელი გაუძვეს და კუნტრუშით გაყვეს ბაზოს, თუ დააწეის. გორიჭვარში ხომ კარგი იყო, მაგრამ მანანა შემოსთან სტუმრობაზ არაა ნა-კლები. თანაც უკუ მეორე საუზმის ჭრობ ახლოვდება და სახლი სადაც მიდიან, იქს, იმედს ამ გაუსაუმეს – ყვე-ლოფრით გემრილი სახლია. ეს სახლი გორიჭვარზე კიღვე უფრო წოფა მაღლა დგას და იქიდან მთელი ქალაქი ჩას, ალაზნის თვალუნველები ველი და კიღვე კაცვასიონის მთერი...

6. ძამუქაშვილი

31



სტუმრად მანანა ბაბოსთან

წელიწადში ორჯერ მაინც, ტასო ბაბო ხელს ჩაჰკიდებს პატარა ანას და გორიჭვრის ეკლესია-ში მიჰყავს დღესასწაულზე. სანამ ხელს ჩაჰკიდებენ, ანა, საგანგებოდ გამოწყობილი სკამზე ზის და მოთმინებით და ფეხების ქანაბით ელოდება, როგორც თვითონ ეჩვენება, ძალიან დიდხანს, ბაბოს გამოწყობას. მაგრამ ეს ამად ლირს. როგორც ზღაპრებშია, თითქოს ჯადოსნური ჯოხი შეახესო, ბაბო სრულიად გარდაქმნილი გამოდის თავისი ოთახიდან. ანა ხედავს როგორ გამოპრანჭულა საგარეოდ ბაბო; „გაპინჯინებულს“ თავზე ჩიხტიკოპი დაუდგამს, რომელსაც შუაში ბრნყინვალე თვალი ამშვენებს. მოხუცი ქალები სულ ასე თავდახურული დადიან. ტასო ბაბო ერთი ხელით ჯოხს ეყრდნობა, მეორეში კი ანას ხელი აქვს ჩაბლუჯული. სახლიდან გორიჭვრამდე სამასიოდე მეტრია, მაგრამ დიდხანს უნდებიან. მოხუცებული რაკილა გარეთ იშვიათად გამოდის, ვინც კი გზად შეხვდება, ყველასთან ჩერდება და მოიკითხავს. ისინიც ყველა უკლებლივ: „გრიგოლასია? გავს. სულ თქვენსკენ არის. იი, რა კარგი გოგოა... გაგებარდოთ... და ასე შემდეგ.

გორიჭვრის ეკლესის ეზოში ბავშვიც ბევრი ირევა. თითქოს ვხედავ კიდეც: უცნობებს ნარბ-შეკრული უყურებს ანა (ალბათ ეშინია, რამე არ ჰქითხონ და რომ ვერ გააგებინოს?); ნაცნობებს რომ დაინახავს, მთლად ღიმილად იქცევა ხოლმე. ერთი სული აქვს ეზოს ყველა კუთხე-კუნჭული მოიაროს. აქ უამრავი სახალისო რამ იყიდება. მრგვალ, პრიალა ლამაზ ყუთში ჩალაგებული კონფეტები, ათასფერი „მამალოები“ და კიდევ მრავალი ნუგპარი და ტკბილეული. დადიან ნელა, ათვალიერებენ ყველაფერს. თუ ბაბო სადმე ჩამოჯდა, ანაც გვერდით ჰყავს მიკრული. კმაყოფილია რომ გორიჭვარი მოილოცა და ბევრი ახლობელიც ნახა. ტასო თავსაბურავს კიდევ ერთხელ მოირგებს და საყდრის უკანა გასასვლელიდან თავის დედულეთისკენ გადადის. ანა-

მაც იცის, რომ გორიჭვარში წასვლა უტკბილეს და უსათნოეს მანანა ბებოსთან სტუმრობასაც ნიშნავს.

ასე და ამრიგად, ახლა უფრო ვიწრო და შინაურულად ქვაფენილიან ქუჩაზე ანა მზად არის ხელი გაუშვას და კუნტრუშით გაყვეს ბაბოს, თუ დააცდის. გორიჭვარში ხომ კარგი იყო, მაგრამ მანანა ბებოსთან სტუმრობაც არაა ნაკლები. თანაც უკვე მეორე საუზმის დროც ახლოვდება და სახლი სადაც მიდიან, იცის, იმედს არ გაუცრუებს – ყველაფრით გემრიელი სახლია. ეს სახლი გორიჭვარზე კიდევ უფრო ცოტა მაღლა



მხატვარი სოფიო ჭელიძე

ოლქ. №6, 2023





დგას და იქიდან მთელი ქალაქი ჩანს, ალაზნის თვალუწვდენელი ველიც და კიდევ კავკასიონის მთები...

მანანა ბაბო ტასო ბაბოს ძმის ცოლია. შვილი არასოდეს ჰყოლია. ახლა დაქვრივებული, მთლად მარტო ცხოვრობს. აქვს ორი მზით სავსე ოთახი, სადაც რამდენიმე იშვიათი, ლამაზი ნივთია. ანა სათითაოდ ჩერდება იმათ წინ და აკვირდება, რამე ხომ არ მოსვლიათ წინა სტუმრობის შემდეგ. ყოველ ჯერზე, ბამბუკის დიდი „ეტაჟერკის“ შემდეგ უცებ ვეება სარკის წინ რომ აღმოჩნდება, ცოტათი შეხტება ხოლმე. მერე, დარწმუნებული, რომ არავინ უყურებს თავის თავს აკვირდება, ერთსაც გაუღიმებს, ისე როგორც მხოლოდ თავიანთ თავს უღიმიან ბავშვები და აგრძელებს თვალიერებას.

მოხუცები ტკბილად საუბრობენ. სადაც სხედან, ის ოთახი მოზრდილ აივანზე გადის. სწორედ იქიდან ჩანს ის მაღალი მთები. მანანა ბაბო, მოხუცია, მაგრამ ანას ეჩვენება რომ ტასო ბაბოზე ახალგაზრდაა. თავად აკეთებს ყველაფერს, ჯოხსაც არ ხმარობს შინ და შეიძლება იმიტომ. საუზმის სუფრა უცებ იშლება. ყველი და ჟური აუცილებლად და დანარჩენი სეზონის მიხედვით. მასპინძელი შემდეგ ზედმეტ რამებს მოარიდებს, სუფრას საგანგებოდ გაკეთებული რბილი ჯაგრისით გადმოწმენდავს. ზუსტად ასეთი შინაც აქვთ და ახლა ჩაის გააწყობს. ეს აუცილებელი ნაწილია. ჩაი ყოველთვის გემრიელია და საამო სურნელოვანი. ტანწერება სამურაბები შეგიძლია ფრთხილად აიღო და ლამაზი კოვზებით იმდენი მურაბა გადმოთვალო ნელა, რამდენიც გსურს. ყოველ მისვლაზე სამნაირი მურაბა მაინც იწონებს თავს თეთრ გახამებულ, პანია ყვავილებით მოქარეულ სუფრაზე. ყველაფერი იმდენად ნაცნობია, რომ მანანა ბაბოსთან ხადახან თავი შინ ჰერონია. ასეთი სუფრა ხომ ჩვენც გვაქვს, ასეთი შაქრის ასაღებიც, ასეთი ვერცხლის კოვზებიც, დაუსრულებლად ჩამოთვლის ანა გონებაში. სიფრიფანა ანამ, რამდენი ტკბილიც არ უნდა შეჭამოს, არ ეტყობა. დედის გაფრთხილება ახსოვს და მურაბას ცოტას გადაიღებს, მაგრამ აუცილებლად ყველას გასინჯავს. ტკბილი კაკლის მურაბის შემდეგ, ალუბალი ან მაყვალი მისწრებაა, როგორც ტასო ბაბო ამბობს. მანანა ბაბოს არც შვილი ჰყავს და არც შვილიშვილი და სწორედაც რომ საოცარია, ყველა სურვილს ასე როგორ ხვდება ეს ტკბილი მასპინძელი? ანაც ისე კარგად გრძნობს იქ თავს, რომ მეტი არ შეიძლება. მთელი ცხოვრე-



ნინო ქამუკაშვილი

ბა თბილად იგონებდა ხოლმე იქ ვიზიტებს და აუცილებლად ასე დაამთავრებდა, ყველას ძალიან გვიყვარდა, ღმერთმა გაანათლოს მანანა ბაბო.

აქ როცა მოდის, ორმაგად ბედნიერია ანა; ნაზოსაც ნახულობს და კიდევ ახლომახლო მცხოვრებ სხვა კლასელებსაც... „ახლომახლო, ჩიტმა გნახოს...“ მერე როგორ არის? მეტისმეტად მჭიდროდ დასახლებულ გორაზე შეფენილ უბანში თითქოს სახლიდან სახლს გადასძახებენ: ანა მანანა ბაბოსთან მოსულაო! ნაზ-

ოც მალევე იქ გაჩნდება. ისიც იქვე ცხოვრობს; ხელი რომ დაუქნიოს აივნიდან, იქნებ დაინახოს კიდეც. ჯერ მართლა პატარები არიან და ის დროც მალე დადგება, როცა თორმეტ-ცამეტი წლის ყმანვილქალობაში შესული გოგოები ანა, ნაზო, მერი, ზაირა, დიანა, ელიკო, მედიკო, ორიც – ეთერი, იქვე, ნაზოს სახლის წინ ყადორის გორაზე დასხდებიან და იქიდან დაუწყებენ მზერას ალაზნის ველს. ხშირად თითქოს ვეღარც ამჩნევენ ამ საოცარ ხედს, რადგან მათი ახალი სამყაროც ისე საოცარია და ისე სწრაფად იცვლება, რომ ალარ უკვირთ ეს ცადაზიდული მთები. თან ეს პატარა მყუდრო ბალი თითქოსდა მთლად იმ მთების სიმაღლეზეა, ასე ეჩვენებათ ხანდახან. ჰორი... ისე არიან თავიანთი ამბებით მთლად გარემოცულნი, ბუნებაც ზედმეტად ეჩვენებათ ზოგჯერ. როცა აქ არიან მათზე ორი თუ სამი წლით უმცროს ციალას – ნაზოს დას აკრძალული აქვს მათთან მიახლოება. უჳ, როგორ დაიფრენენ ხოლმე! ახალი საიდუმლოებებით სავსებს, პირზე უმეტესად ვაჟთა სკოლის ამბები აკერიათ და ვაჟთა უცხო სახელებს ახსენებენ, რომლებიც არც მათი ძმების და არც მათი ნათესავების სახელებია... თვალცრემლიანი ციალა უკან ხეებში დგას და ვერ გაუგია, რატომ არ უნდათ, რომ ძველებურად ისიც მათთან ერთად იყოს... რამდენჯერაც მიუახლოვდება, წიოკობითა და ქოთქოთით იშორებენ. ხელში ყველას პატარა, მუშაბბის ყდიანი ბლოკოტი უჭირავს. ხანდახან იქ იხედებიან და ერთმანეთს რაღაცებს უკითხავენ... აკი ერთხელ ციალამაც როგორც იქნა, მოიხელთა, ჩაიხედა და ბევრი ვერაფერი გაიგო რა. გაუგებარი წინადადებებია ამონერილი რაც შეიძლება გულმოდგინე და ლამაზი ხელით გამოყვნილი, და ქვეშ მთლად უცხო და გაუგონარი გვარ-სახელები აქვს მიწერილი. მანამდე, კი სანამ ყადორის გორა გახდება მათი უმანკო საუბრების მოწმე, გოგოები მანანა ბაბოს მურაბებს აგემოვნებენ და მეტი არც არაფერი უნდათ.



ივეტა პავლიაშვილი

თბალის წლის სახლის კანზე ვილაუზმ ორჟურ დაცუკუნა. ლექსო ძის რა გამოიქმნებოდა? მომრიძნდო-ოთ, გასძინა და კარისკენ გაემართა... კართა მათხოვარი იდგა და მონუმენტს თხოვდა. ლექსო ძის უკან გულს შემოყარა, კინალმ კარის მიუხურა, გუნებაში შეუურთხა კიფეს – ამ უქონლომა რა მარტია უნდა შემომიტანს, მაგრამ უძალ გადაიფიქრა. მათხოვარი უთხოა: მანდ, კარ-თან, დაჩხებილი შეძა რომ ანუკა, ამა და შემოფიო. ასე რომ, გამოსაფალი მანჯ იპოვა. შემოცდინა შეძა, ისევარ გახურებულ ლუმელს კიდევ შეუწო, დასდა შეწირებული გლახა, გათორ და მერე მეულლეს დაუძინა – სადა სარ, ფეხაკარ, მეულე მოგვიჩრდება, გამოგვედრეო.

ი. პავლიაშვილი

33



რაზა ნაქერალადან იწყება

მარიამობის თვე ინურებოდა, მაგრამ მაინც ძალიან ცხელოდა. ცეცხლოვანი მზე დილი-დანვე ზენიტში ასულიყო და იქიდან დასცექრო-და ცოდვითდაცემულ დედამინას. რაჭაში მი-ვემგზავრებოდით. თბილისიდან გამოყოლილმა სიცემ ძალიან მოგვთენთა, მაგრამ როგორც კი ტყიბულს გავცდით და ნაქერალას აღმართს შევუდებით, ცხრაჯვარიდან ნამოსულმა სიგ-რილემ მთელ სხეულში სასიამოვნოდ დაგვიარა და დაღლილობა სულ დაგვავინყა. წყაროსთან შევისვენეთ და უცაბედად ისე ნამოწვიმა, თითქოს ზეციდან აიაზმა აპკურესო. ცოტა კიდევ ავივა-კეთ და შაორიც გამოჩნდა, თავისი ულამაზესი შემოგარენით. შაორიდან ნამოსული ნოტიო სიო სალბუნად ედებოდა სიცხისაგან დახეთქილ მინას და შრიალ-შრიალით გადარბოდა ნაირფერებით მოქარგულ მინდორზე. მიწისქვეშა წყაროების წყალობით კი გადახუნებულ ბალაბში ალაგ-ალაგ სიმწვანე გარეულიყო, ყელმოლერებით იმზირე-ბოდა აყრორნილი გვირილები თუ იმ ადგილისათვის დამახასიათებელი სხვა ველური ყვავილები. ბექბძე დაშვებული სიცოცხლესავით მიმზიდვე-ლი წყაროს ლიკლიკი და ფრინველთა საოცარი ხებით დატყვევებული არემარე – კაცს ნამდ-ვილად აამდერებდა. ფერთა ჰანგებით გაუღენთი-ლი სამყარო ქალაქში გაზრდილი ადამიანისთვის ნამდვილად საოცრება იყო. ჯერ იყო და ნაქერ-ალას დასაწყისში აყვავებულმა დიდი თაიგულის მსგავსმა მაგნოლიის ხემ მომაჯადოვა თავისი მოყავისფრო-მოწითალო ყვავილებით, თუმცა ორი თვის წინ ის თეთრი ყვავილებით მორთუ-ლი ვიხილე. მაშინაც აღტაცება ვეღარ დავმალე და მანქანა შევაჩერებინე, ჯერ ახლოდან დავტები მისი ყურებით, მერე კი აღმართს რომ შევუდე-ქით ნაქერალასკენ, ზევიდან გადმოვხედე მის ბუთქუნა კოკებს, თეთრი კელაპტრებივით რომ ანათებდა მწვანე ფოთლებში. ასეთი მაღალი და მოხდენილი მაგნოლიის ხე მანამდე არსად მე-

ნახა. თვალები დავხუჭე და ლრმად ჩავისუნთქე, ეს ყველაფერი უფრო უკეთესად რომ აღმექვა და გამეაზრებინა.

ბუთქის საოცარი ფერები ნაქერალადან დაიწყო. ზოგან ველები, მინდვრები და ჭალე-ბი გვხვდებოდა, ზოგან კი მთიდან დაშვებული თქაფუნით მოსტუნავე რაკრაკა ნაკადულები. მზე კეკლუცად იხედებოდა მდინარის სარკეში, თვალისმომჭრებლად ლაპლაპებდა მზის მაგიური ძალით დაისრული შაორი, ხოლო იქ სადაც ჩრდი-ლი გადაწოლილყო, მოლურჯო ნაცრისფერი გადაჰკრავდა ჭალებსა და მინდვრებს. საიდან-ლაც შემოხეტებულ შემოდგომას საოცარი ფერ-ებით აელვარებინა ტყის მასივები. ცათამბჯენი მთების კალთებზე კი თოვლის ნარჩენები თეთრი ფოლაქებივით გაბნეულიყო და ამ ყველაფერს ჰარმონიულად ერწყმოდა. ადგილს ვერ ვპოუ-ლობდი, არ ვიცოდი, როგორ გამომეხატა განც-დები. ხან კრიალა ცას შევყურებდი, ხან ლურჯ შაორს და თვალუწვდენელ ტყეს; ხანაც ნისლით თავისაკრულ ქარიშხალივით ამაყ მთებს, გოლი-ათებივით რომ დაჰკურებდნენ შაორის შემოგა-რენს და ისეთ გამბედაობას გძენდნენ, უძლეველ მტერსაც რომ დაუპირისიპირდებოდი.

მზე თვალს გვჭრიდა და უცებ ნისლში მოვექეცით. მერე თანდათან ნისლიც გაქრა და ისეთი ნათება დაიწყო, გეგონებოდათ, ცა გაიხსნა-ო. ეს ყველაფერი ისეთი შთამბეჭდავი იყო, ველ-არ გავმიჯნე, რეალობა იყო, თუ ზღაპარი. ეს იყო ცოცხალი მშვენიერება, ცოცხალი ხელოვნება, მაგრამ არა ტილოზე ასახული, ან ქვაში გამოკო-დილი.

ნაქერალას წვერიდან დავეშვით და ერთი პა-ტარა ხიდის გავლის შემდეგ, ხარისთვალის ხიდს მივადექით, საიდანაც შაორის ყველაზე ლამაზი ხედი ჩანს. მარჯვნივ ნაძვნარში ჩასმული მოხ-ვარეულის მხარეა, მარცხნივ კი ცენტრალური გზის ნაპირი. ხიდიდან კარგად მოჩანს შაორის





შუაგულში აღმართული სათვალთვალო კოშკი, საიდანაც გამბედავი მოცურავეები წყალში ხტებიან. სანაპიროზე ნისლი დაჩიქილიყო, მაგრამ მაინც მრავლად იყვნენ მეთევზები. ზოგიერთებს გამართლებოდათ და ჯერ კიდევ მოფართხალე კობრა თევზები ხიდზე გასაყიდად გამოეტანათ.

ცოტაც გავიარეთ და მალე სოფელიც გამოჩნდა, მისი სანახებით, საცხოვრებელი სახლებით, ხილით აფერადებული ბაღებით და მასში მარგალიტივით ჩაქსოვილი XI საუკუნეში აშენებული ეროვნული ხუროთმოძღვრების შედევრით – ნიკორწმინდის ტაძრით, ეზოში აღმართული სამსართულიანი სამრეკლოთი, სამყაროს შემოქმედს განსაკუთრებული ღვთიური მადლით რომ შეუმოსია და მასში ღვთის უშრეტი, უხილავი სული შთაუბერავს, რომელიც მაგნიტივით იზიდავს მომლოცველებს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და არამარტო საქართველოდან.

სოფელ ნიკორწმინდის ცენტრში, ორსართულიან კულტურის სახლის შენობასთან შევჩერდით, რომლის ფასაზეც დიდი ასოებით აწერია: „ბრნყინავს საქართველოს ქებად ნიკორწმინდა“. შენობის მოპირდაპირე მხარეს მარჯვნივ შევუხვიეთ და ზუსტად იმ დროს ვენვიეთ ტაძარს, ნირვა რომ იწყებოდა. ზარი სამრეკლოდან სალოცავად უხმიბდა მრევლს. ტაძარში ჭეშმარიტი რწმენა აღევლინებოდა. მზის სხივი დასთამაშებდა მარადისობას შეჭიდულ ტაძრის გუმბათს. ცისა და მინის შუამავალი სიო კი სამრეკლოს ესათუთებოდა და ზარის ხმასთან ერთად უფლის ხმაც მიჰქონდა ადამიანების გულამდე: – „გიყვარდეთ ყველა და გაუწოდეთ ხელი ერთმანეთს“. მზე სამზეოში ბრუნდებოდა, ეზოს ჭიშკარი რომ შევალეთ. შთაბეჭდილებებით გაუღლენთილი ჩემი გონება მოსვენებას არ მაძლევდა და უჩემოდ დაპეროდა ბუნების ნიაღში.

ოცნებასავით ამეცვიატა ფიქრი, რომ იმ სილამაზეს, მგზავრობისას შორიდან რომ მატყვევებდა, ხელით შევხებოდი, ნინვარის ქვეშ დამესვენა, დავგმტკარიყავი მათი სურნელით და ისე ღრმად ჩამესუნთქა ცისა და მინის სუფთა პერი, მთელი ცხოვრება რომ მყოფნოდა. მისი ნიწვებით გადამევარცხნა აცელებული სიოთი აწენილი თმა, შემეგროვებინა თვალუწვდენელი ფიჭვებიდან დაცვენილი დიდი გირჩები და მათგან სუვენირები გამეკეთებინა სახსოვრად.

ჩანაფიქრის განსახორციელებლად, რამდენიმე დღის შემდეგ, დილით ადრე, მე და ჩემი მეგობრები სათიბში მიმავალ ახლობლებს დავუმგზავრეთ. საგზალთან ერთად წყალი, დიდი



ივებთა პავლიაშვილი

ქოლგა და მიწაზე დასაფენი პლედიც გავიყოლეთ. ფეხით სიარულს მიჩვეული არ ვიყავი და ჩემს მგზავრებს ყოველთვის ჩამოვრჩებოდი ხოლმე, მერე კი გულამომჯდარი სვენებ-სვენებით დავენებოდი და ვსაყვედურობდი – ცოტა ნელა იარეთ მეთქი. მინდოდა მთელი გული სამყაროთი ამევსო. აისის სუნთქვა ანათებდა და მეც ყველაფერი მახალისებდა: ხან მაყვლის ეკლიან ტოტს ვიწვდიდი, ხან მაჟალოს, ხან ჩემთვის არნახულ მინდვრის ფერად ყვავილებს ვკრეფდი და ხანაც ულამაზეს პეპლებს და კალიებს ფოტოს ვულებდი მობილური ტელეფონით. არც ღელეები დამრჩენია შეუმჩნეველი. განა ბურუშვილების მოჩუხჩუხე წყაროდან წარმოქმნილმა ღელეს ლიკლიკმა არ მათქმევინა?!

ზამთარი მუდად ჩუმად მაშინებს, თუმცა გაზაფხულს მოველი ისევ, ვერ შემაძრნუნებს ყინვა და სუსხი, ვიდრე ამ ღელის სიმღერას ვისმენ!

ვიარეთ სოფლიდან დაახლოებით შვიდი კილომეტრი განი გზის (ასე ეძახიან გლეხები) მხარეს და „ძველახოში“ ულამაზესი ნაძვნარის წინ აღმოვჩნდით. ტყის დასაწყისში, გზაზე განმარტოებით მდგარი ერთი ვეებერთელა მსხლის ხე შევნიმენთ, რომლის ქვედა ტოტებზე ალაგ-ალაგ ბაწრით ეკიდა აბგები. ძალიან გამიკვირდა. მის საჩრდილობელში ორი გლეხი მოკალათებულიყო პატარა სუფრასთან, ცელებიც იქვე ხეზე პერნდათ მიუუდებული. ეტყობოდა, დილით ადრე მოეთიბათ თავიანთი კუთვნილი მინდვრები და შინბრუნდებოდნენ. ერთ მათგანს მათარა პერნდა ტუჩებთან მიბჯენილი, მეორე კი ლორს სთლიდა ჯაყვით. ჩვენს დანახვაზე გაიკვირვეს, ალბათ იფიქრეს ტურისტები არიან. მიგვიპატიუეს, ჩვენც ჩვენი სანოვავე ამოვალაგეთ ჩანთიდან და ძველი ნაცნობებივით გავაპით საუბარი. ისინიც ჩვენს ცნობისმოყვარებით გაუღენთილ კითხვებს ამომწურავად პასუხობდნენ. – აი, რა გვიამბეს: ამ მსხლის ხეს რომ გასცდებით წყარო შეგხვდებათ, კლდოვანი მთებიდან მორბის, ხის ღარიდან რაკრაკით მოედინება და მინდორს მიუყვება. მერე სად იკარგება, არავინ იცის. ნაკურთხი წყალივითაა დალოცვილი. წყაროს იქეთ, ის ვაკე ნაძვნარია, თევენ რომ გაინტერესებთ, იმ ტყის იქეთ კი სოფლის სათიბებია. სათიბავად წასული, ან იქედან დაბრუნებული გლეხი ყოველთვის ამ მსხლის ძირში ისვენებს, ნაიხემსებს, ერთორ ჭიქასაც დაყოლებს, მერე რაც საგზლიდან მორჩებათ ხის მაღალ ტოტზე დაკიდებენ აბგით, ნახირისათვის რომ მიუწვდომელი იყოს. ზოგჯერ, დაღლილ მოშიებულ კაცსაც წამოუსვენებია მის





საჩრდილობელში, ჩამოუხსნია ხეზე დაკიდებული აბგა, უფიქრია ალბათ ღმერთმა გამომიგზავნაო, ერთი-ორი ჭიქა არაყიც გადაუკრავს მათარი-დან, დაულოცავს მისი დამტოვებელი და გზა გა-უგრძელებია. ვისმენდი მათ ნაამბობს და კიდევ ერთხელ მივხვდი, რა არის ერთად აღებული სიყ-ვარული და ქართველობა.

შესვენების შემდეგ ჩვენც იგივე გავიმეორეთ. დარჩენილი საგზალი ზურგჩანთაში ჩავდეთ, კაუ-ჭიანი ჯოხით ხეზე ჩამოვყიდეთ და გზა გავაგრ-ძელეთ ზღაპრულ სამყაროში.

ორდინანი შესვენების შემდეგ უდაბნოში წასვლა გადაცნებიტეთ. არა, არ გაგიკირდეთ, სხვა ქვეყანაში კი არა, აქ არის ჩვენთან რაჭაში. დილით ადრე გავილვიძეთ, მსუბუქად წავიხემსეთ და რადგანაც არცერთი ჩვენგანი უდაბნოში წამყ-ოფი არ იყო, მეგზურად მოხუცი მამიდა გავიყო-ლეთ. მამიდამ გაგვაფრთხილა რომ უდაბნოში ფეხ-ით წასვლა იოლი არ იქნებოდა. რა უნდა გვექნა? ჩავსვით მამიდა „ნივაში“ და უდაბნოს სანახავად გავწიეთ. ტყე-ტყე მიმავალი გზით ვიარეთ, მერე ერთ ციცაბო დამტართზე დავეშვით, შეგვეშინდა – გვეგონა სადღაც უფსკრულში გადავცვივდე-ბოდით, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ულამაზეს ვაკე ადგილზე გავწერდით, ლმერთმანი, ნამდვილ წალკოტში ალმოვჩნდით. ღმერთო, დიდება შენ-და! – ჩემდა უნებურად აღმომბდა გაოცებულს და მადლიერების ნიშნად პირჯვარი გადავისახე. მდინარე ცივწყალაზე გადებულ საცალფეხო ხიდ-ზე გადავედით. წინ ხელჯოხზე დაყრდნობილი მა-მიდა გიდივით მიგვიძლოდა და თან გვიხსნიდა: აი, აქ, ამ ადგილზე, ჩემს ბავშვობაში ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. შვილები კი ჰყავდათ, მაგრამ ისინი სოფელში ცხოვრობდნენ. აქ სულ ფუტკრის სკები იდგა, უამრავი ფუტკარი ჰყო-ლიათ. ერთხელ დედას წამოვყევით წისქვილში მე და ჩემი უფროსი ძმა და მახსოვს თაფლით რომ გაგვიმასპინძლდნენ. მერე ისევ იმ ციცაბოსკენ გაიხედა და მოყოლა განაგრძო: ის ციცაბო გზა, მანქანითაც რომ ძლივს ჩამოვედით, ადრე ვიწრო საცალფეხო გზა იყო, ახლა რა უჭირს? – გააფარ-თოვეს. კიდევ უფრო მეტად დამრეცი იყო, სულ ქვა-ლორლი ეყარა და ფეხით სიარული ძალიან გვიჭირდა. აქ, ამ უდაბნოში, წყლის წისქვილი იყო. მახსოვს, ხალთაში ჩაგვიყრილენ 4-5 კგ სი-მინდს, მოგვკიდებდნენ ბავშვებს ზურგზე და აბა ჰე, როგორია ახლა იმ ციცაბოზე ფეხით სიარუ-ლი. ბევრჯერ გზაზეც დაგვლამებია, წისქვილშიც გაგვითვეთ საფეხვავის მოლლინში.

მოკლედ, ხიდი გავიარეთ თუ არა, თავი ზღაპარში ამოვყავით. წარმოდგენა არ მაქვს, ასეთ წალკოტს უდაბნო რატომ ჰქვა. ყველაფერი შთამბეჭდავი იყო, მაგრამ ჩემი უურადლება მაინც ცადაზიდულმა ბზის ხეებმა და ბზის ბუჩქების სიმრავლემ მიიქცია. ეს იყო ულამაზესი ადგილი – ტყით შემოსილი მთებით, მწვანე ველით, ღარ-

სავსე და ცივი მდინარით. მინდორი ისეთი ხასხა-სა და სუფთა იყო, შიშველი ფეხით მოგინდებოდა სიარული. ამ იდუმალ სინენარეს მდინარის დუ-დუნი უფრო მეტ საოცრებას სძენდა. ცოტა კიდევ გავიარეთ და ტაძარიც გამოჩნდა – ჭელიშის წმინდა მარიამ ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი. დრო-უამის მძიმე ხუნდები დასტყობოდა ტაძარს. ქვიტკირით ნაშენები მისი ჩამონაშალი კედლები მეტყველებდა, რომ საუკუნეებისთვის გაეძლო და მიწისძვრებს იყო გადარჩენილი. სახ-ლიდან წალებული სანთლები მის კედლებთან და-ვანთეთ და შესაწირიც დავტოვეთ. ღია ცის ქვეშ მიწაზე დამხობილი ვესაუბრებოდი ღმერთს – რწ-მენის საბუდარს ნუ დამიბერებ ღმერთო! – ჩურ-ჩულით ვევედრებოდი და ვეგიქრობდი, კიდევ ვისი ნატყრა მქონდა ღმერთთან მისატანი.

ტაძრის გვერდით პატარა სამლოცველო დგას, ზეალმართული სამრეკლოთი, რომელიც დაკეტილი დაგხვდა და შიგ შესვლა ვერ შევ-ძლილი. ტაძარს გვერდით მდინარე ჩაუდის. მისი სანაპირო მთლად მწვანე საფარშია ჩაფლული. კრიალა და ლაუგარდოვანი ზეციდან მზე დე-დასავით ესალბუნება არემარეს, მზის ბაჯალ-ლოში ილვრება ბუნება. ოქროსფრად გაფერილი ზეცა და თვალუნვდენებილი ტყით დაფარული მთე-ბი ერთგული მცველებივით ამაყად გადასცქერის ამ მშვენიერებას და მნახველს ანდამატივით იზიდავს. შევხარი ამ საოცრებას და ვხვდები, რომ ღმერთის ხელი ურევია ბუნების ამ საოცრებას.

მშვიდი ხასიათის მდინარე ცივწყალა დინჯად, დუდუნით მიუყვებოდა კალაპოტს, მისი კამიამა ნაპირი, ისეთივე სუფთა და კრიალა იყო, რო-გორც სიკეთით სავსე ადამიანის თვალები. ღრმა არ ჩანდა და ჩვენც გაგტედეთ მუხლებამდე შესვ-ლა. წყალი ყინულივით ცივი იყო. აქა-იქ წითელ-წინწკლიანი კალმახებიც შევნიშნეთ. ნაპირიდან ერთ-ორ მეტრში ვეგბერთელა ქვები ელაგა, ალ-ბათ მთიდან იყო მეწყერისას ჩამოტანილი, თორემ ადამიანის ხელი მას ნამდვილად ვერ ზიდავდა. იმ დიდ ქვებზე ჩვენი თანამგზავრი ყმანვილები ჩა-მოსხდნენ და ფოტოები გადაიღეს სამახსოვროდ. უზომოდ ბედინერი ვიყავი, წამოსვლა ალარ მინდ-ოდა. უკეთეს სანახაობას რას ინატრებდა ადამი-ანი?! გმადლობ უფალო, სულიერი სიმშვიდე რომ მაპოვნინე, ღირსმყავ, მეხილა შენმიერ შექმნილ სამყაროში, შენგანვე ბოძებულ კურთხეულ მი-ნა-წყალზე მშვენიერების კიდევ ერთი შედევრი. ჩემს ნათქვამს კიდევ მეტი დამაჯერელობა რომ მიყცე, ნიკოლოზ ბარათაშვილს დავესესხები:

„ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდ-გარი;

მუნ ენთო მარად უქრობელი წმინდა ლამპა-რი.

ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი, და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!“



მეკვლე

სოფელში ცხოვრება ჩვეულებრივად გრძელდებოდა... სულ რაღაც ერთ კვირაში ახალი წელიც შემოაღებდა კარს და სიკეთე დაგბეჭდებოდეთო, იტყოდა.

უცნაური კაცი იყო ლექსო ძია, კეთილი, პატიოსანი. ძველი ტრადიციების დამცველ კაცს ყველაფერი თადარიგიანი უყვარდა. საშუალება სულ რომ არ ჰქონოდა, მაინც რაღაცას გამონახავდა და არც ერთ საუფლო დღესასწაულს არ გამოტოვდა. ლექსო ძია პირველ იანვარს იყო დაბადებული და ახალი წლის მოსვლა ბავშვივთ უხაროდა. ზოგიერთ საკითხზე კი მას თავისი შეხედულება ჰქონდა.

მეკვლედ აუცილებლად ვანო პაპა უნდა ყოფილიყო, სხვას არავის შეუშვებდა ოჯახში პირველს. ვანო პაპა გზის მოპირდაპირე მხარეს ცხოვრობდა. მოხუცი ხელჯოხითაც ძლივს დადიოდა, მაგრამ ლექსოს ხარს ვერ უტეხავდა. რომ არავის დაესწრო, ალიონზე დახვდებოდა ხოლმე ვანო პაპას ჭიშკრის წინ, დიდი პატივით გაულებდა სახლის კარს და მერე თავად მიჰყვებოდა უკან, სადაც საახალწლო სუფრა იყო განყობილი. მეკვლეს საპატიო ადგილზე დააბრძანებდნენ და სუფრის დალოცვის შემდეგ იწყებოდა საახალწლო დღესასწაული.

აი, წელს კი ლექსო ძიას დიდი საფიქრებელი გაუჩნდა ახალი წლის მოახლოებამ. ვანო პაპა ზაფხულში გარდაიცვალა და მის შემცვლელად ვერავის მოიაზრებდა, რადგან მისი აზრით, ვანო პაპასნაირი კეთილი გულის და კარგი ფეხის ადამიანი იშვიათად მოიძებნებოდა. ბოლოს გადაწყვიტა, ვინც პირველი შემოგვიღებს კარს, მეკვლეცი იქნებაო და ბედს დაემორჩილა.

ახალი წლის ღამეს საათის ისრები მიუახლოვდა თუ არა თორმეტს, თოფების სროლაც დაიწყო. სოფელი მხიარული შეძახილებით, ზარ-ზეიმით, ბათქი-ბუთქით ხედებოდა ახალი წლის მობრძანებას. ლექსო ძიამაც გამოიტანა კარგად დაზეთილი სანადირო თოფი, რომელსაც მხოლოდ ახალი წლის ღამეს გამოიღებდა ხოლმე კარადიდან, გაშლიდა, ააწყობდა, კარგად გააპრიალებდა ხავერდის ნაჭრით, მერე ლულას გახედავდა, ღია ფანჯრიდან ცისკენ ასწევდა და სამჯერ ზედიზედ ესროდა თუთის ხის კენწეროს. მართალია, 12 საათზე უფროს შევილიშვილთან ერთად ტკბილეულით ხელდამშვენებული შეაღებდა ხოლმე სახლის კარს, მაგრამ თავის თავს მეკვლედ არ თვლიდა – მეკვლე გზიდან შემოსული პიროვნება უნდა ყოფილიყო და არა ოჯახის წევრი.

ახალი წლის დილას სახლის კარზე ვიღაცამ ირჯერ დააკაკუნა. ლექსო ძიას რა გამოეპარებოდა? მობრძანდითო, გასძახა და კარისკენ გაემართა... კართან მათხოვარი იდგა და მოწყალებას ითხოვდა. ლექსო ძიას ჯერ გულს შემოეყარა, კინალამ კარიც მიუხურა, გუნებაში შეუკურთხა



მხატვარი სოფიო ჭელიძე

კიდეც – ამ უქონელმა რა ბარაქა უნდა შემომიტანოს, მაგრამ უმალ გადაიფიქრა. მათხოვარს უთხრა: მანდ, კართან, დაჩეხილი შეშა რომ აწყვია, აიღე და შემოდიო. ასე რომ, გამოსავალი მაინც იპოვა. შემოატანინა შეშა, ისედაც გახურებულ ღუმელს კიდევ შეუწოო, დასვა შეციებული გლახა, გაათბო და მერე მეუღლეს დაუძახა – სადა ხარ, დედაკაცო, მეკვლე მოგვიბრძანდა, გამოგვხედეო. გწყალობდეთ ღმერთი, ლულლულით მიმართა დაბნეულ-დარცხულენილმა უცნობმა გაოგნებულ დიასახლისს და თან ქურთუკზე შემოცვეთილ-ჩამოძენდილი ჯიბეები ხელით დაიფარა.

თავადაც დაბნეულმა ლექსომ პატარა შვილიშვილი აფრინა ძმის ოჯახში – პაპამ დაგიბარათ, სულ ყველანი ჩემთან გადმოდითო. ცოტა ხანში სუფრას მეზობელ-მეგობრებიც შემოუერთდნენ. ლექსოს ტანსაცმელში გამოწყობილი მეკვლე თავს უცხოდ აღარ გრძნობდა და შეზარხოშებულ სუფრის წევრებს ლამაზ ბანსაც აძლევდა. გვიან ღამემდე გუგუნებდა ლექსო ძიას ოჯახში მრავალუამიერი.

ის წელი ოჯახისთვის ფეხბედნიერი გამოდგა. მას შემდეგ ლექსო ძიაც დარწმუნდა, რომ ადამიანის მომავალი ცხოვრება მეკვლეს ფეხზე არანაირად არ არის დამოკიდებული, რომ ეს მისი აკვიატება, ცრურწმენა იყო და მეტი არაფერი.



პოეტ პოეტიშვილი

ლ ე ბ უ ბ ლ ი ს მ ი ნ ი კ ი ს მ ი ნ ი კ ი ს მ ი ნ ი კ ი ს

წეს შეიდ ფერიას ვაგნერ ზოლერნი,
მრგვლოვან ტიცერებით მგლოვიარობენ.
წვიმის ქიხარტყლის ანგელოზები,
ქალწულ თვალებით მშობიარობენ.

ის თვალებით ლაუ-ვარდოვანი,
წრემლია გულის ნამწვი, მარიამ.
რომ ყრმა გვირილა, ლაუვარდოვანი,
ფეხა გვირილით ნაწვიმარია.

3. პოეტიშვილი

37



ლ ე ბ უ ბ ლ ი ს მ ი ნ ი კ ი ს მ ი ნ ი კ ი ს მ ი ნ ი კ ი ს მ ი ნ ი კ ი ს

აძირეცი

მახსოვს ალუბლის კიდე, ალური,
დღეს ერთად ჰყვავის ია, საკურა
და სიყვარულმა იდეალური
უასაკობა იასაკურა.

ცის ალუბლები ქალს უბნევია,
ყურზე ორყურად, ყელზე სამყურად.
ქარს მწიფე ბლები განუბნევია,
ჯვარცმული მტევნის ხელზე საპკურად.

ფრთები შევასხი სიტყვებს, ალუბლურს,
ცად ამურული საუბრებია,
გეტრფი ციურ ბალს, გეტყვი - ქ ლიონი,
სულს მიყვავილებ ალუბლებიანს.

ვხედავ ყრმა ქრისტეს ალუბლით ხელში,
დაფარულ მკერდქვეშ, უბით, წოვებით,
სიტყვა დამნიფდა უფლის სახელში,
ქალწულ ალუბლის უბინოებით.

ვენერას ცამდე აღმამფრენია,
ალუბლის ფრთებით ამორ-ელია.
მაისის ფრთებით მაღლა ფრენიას,
აჸყავს ცის ბალთან ამორელია.

მიზიდავ, ვარდის კვარცი სულია...
არაკვს ვუალი არ-კის ებურა.
სხვათა გალობა ნარცისულია,
თავს რომ ირეულავს სარკისებურად.

გიკითხავ ნადიმს, ხანაც მე ფედროს,
თქვან: „სულის ეტლში ამ ორს ელიან“,
ჩვენ ვირჩევთ მაისს - ტრფობის მეფე დროს
და პარიზს, სადაც ამორელია.

ბლისგან სასწაულს არ მოელიან,
ღვთიური არფა მიჸყავს სულის ხემს,

ღმერთმა გაკურთხოს ამორელია,
სამყაროს გულში სიყვარულის ხედ.

მოალუბლეა გული სიობლით....
„ალუბლის ბალში“ ბალუ – ბელია,
ჰყვავის სიობში სულის სიო ბლით,
ლურჯ ქარს ტოტები დაუბელია.

ალუბლის ხეზე ბულბულებია,
სადაც ხმოვანი კადრით გალობენ,
კალმად გედის ფრთის ბუმბულებია,
ქაფის მელნით რომ მადრიგალობენ.

ვეტრფი ხევანს საკურ-ბლიანებს,
გიმასპინძლდებით უფლის პირმშო, ბლით.
უბლო პლანეტას აკურკიანებს,
„მზის ალუბლებით“ სული ღვთისმშობლის.

მშვენიერებით მსჯის ნურიგელი,
გატერილია ორზე იღბალი.
მარადიული მიჯნური გელი,
ზღვა სიყვარულის თორმეტი ბალით.

წვიმის ანგელოზები

ცის შვიდ ფერიას ვაგნებ ზოლებით,
მრგვლოვან ტიცრებით მგლოვიარობენ.
წვიმის ცისარტყლის ანგელოზები,
ქალწულ თვალებით მშობიარობენ.

ის თვალებით ლაუ-ვარდოვანი,
ცრემლია გულის ნამწვი, მარიამ.
რომ ყრმა გვირილა, ლაუვარდოვანი,
დედა გვირილით ნაწვიმარია.

ცეცხლოვან წვიმით დასაბამია

ლიკა, №6, 2023





პოეტ პოეტიშვილი

სული, რომლითაც გადავიწვი „მე“,
ბათუმი წარღვნის დასაბამის,
წვიმები თუ ვერ გადავიწვიმე.

წვიმა ლაპადის დასალამბადა,
ვიტანჯებოდი, ადრე, ვნებიდან.
თოვს მოცეკვავე დასად ლამბადა,
ცის მოფანტანე შადრევნებიდან.

წვიმით ივსებენ მუცელს ღრუ ბლების
ჩემს ჭკვიან თავზე გასულ ელდებით.
ტვინებს იმლიან უცეპ, ღრუბლები,
თუ გიურ წვიმით გაცულელდები.

მსდევს სევდიანი დასი ნოტივით,
მოადგა ცრემლი გამცრელ ლიანდაგს.
წვიმის სონატით და სინოტივით
სულის ლირიკა აცრემლიანდა.

აინთო სანთლის ალმა, ცერულად,
შვა ანგელოზი – გადაიბირა.
ქარში კი წვიმამ ალმაცერულად
მზე ირიბულად გადაიბი რა.

გველივით ელავ, წამ-წვით, კლაკვნებით...
ითქმის ცრემლების გამო მეტი რომ,
ანგელოზები წამწმის აკვნებით,
ჩვილ ბავშვებივით გამომეტირონ.

ბათუმი

ბათუმი მნათლავს წვიმის ემბაზით,
ჩამქრალი არის ლამის მზე ბრაზე.
ვდგავარ, შუქს მინთებს ვიღაც, ზებრაზე
და გზას არ მითმოს პოეტს ზე ბრაზით.
გავშალე ლურჯი კალმის ანკესი,

ამ თეთრ ფურცლების და ბადე ბულვარ.
ბათუმს ვერ ახრჩობს, ცის ანანკესი,
რომ თეთრ დელფინად დავბადებულვარ.
ხედავთ დააჯდა ჩრდილად ორბი ნავს,
ცათამბჯენების ნეაპოლი სად?
აშენებს ტყუპად დილა ორ ბინას
და ბათუმს აქცევს მეგაპოლისად.
მზე შავოსნების წუხილს იცვამდა,
თოვჭა დაბადა მან წუხელი ძე.
ადლიის ბაზას ქუჩით იცავდა,
გმირი გორგი ანწუხელიძე.

მე, შენ და ბათუმი

სულ ერთად ვსეირნობთ: მე, შენ და ბათუმი,
მტრედები მოფრინდნენ, აფრინდა ბუ რვალის.
წვიმების ქალაქში ატირდა ბათუმი,
ამიტომ მარტო ვართ, მე, შენ და ბულვარი.

„იეთიმ გურჯა“ მადრი, დღეს „გურჯი ხათუმი“,
ჩაიში ვაზავებთ ლიმნის რგოლს და პიტნას.
შავი ზღვის მარინა – მზე, ლურჯი ბათუმით,
ძველ გემში დამხატავ ხმელეთის კაპიტნად.

ცისკრის ჟამს რაღაც სხვა განწყობა გვექმნება,
ერთმანეთს ასევებს წვიმა და ბათუმი.
ღვთის ხელით, სულ მალე ცასავით გვეხსნება
ანანკე, ილბალი, ბედი და ფატუმი.

ბათუმის თოვლი

ბათუმში ვხვდები წვიმების სეზონს,
აცვია ღრუბლის მანტია ერესს.
ცრემლებს ვუშრობდი სიმებით ეზოს,
წვალება რომ არ მაინტერესებს.

თანდათან ხდება მულტი ბათუმი,
ვისვრით მომწამვლელ ატომს ერო, შინ.
ცათამბჯენების ულტიმატუმით
უანგბადი კვდება ატმოსფეროში.

თუ გეზს უცვლიან ამ კურსს, ნალები,
გატეხილ მთვარის აბი ნავდება.
პოეტის გული სამკურნალები,
აქ უბინაოდ დაბინავდება.

თოვლი არ მოდის, აბა თუ მდები,
ცისკენ ითოვებს ქალა, ქებითა,
თოლიის გუნდი აბათუმდები,
ანგელოსების ქალაქებითა.



ზათუმის წვიმა

ღრუბლები წვიმას, ხო, ტბას ასხამენ,
წვიმამ სხეული მიმაწვი მაშინ.
ბათუმის წვიმას ხოტბას ასხამენ,
დგას და სველდება წვიმა წვიმაში.

ჩაიძირება ზლვაში მისტრალი,
თუკი გაიტანს ცრემლის ბმა თუ მისს.
ხომ არ ტირიან მთები მტირალის,
წარსულს, აწმყოს და მერმისს ბათუმის?!

ცის მშვილდოსანმა ნამა ისარი,
გულზე ცისარტყყლით აბა თუ მისოს,
რომ ვარდის წვიმამ ნამაისარი,
ეს სიყვარული აბათუმისოს.

საკუთარ თარით სიმად ვიწვი მე...
საკურას ფოტო გადავუდე, ბლად.
ჩვენ შორის ლურჯი წვიმა იწვიმებს,
უღრუბლო ციდან გადაულებლად.

ოდა ქარიაშვი

მზეს თოვლში გნათლავს სადაისე ცა,
თეთრ დაფნას რომ მფენ მადონას დასით.
გამეხსნა ლოცვის მადა ისედაც
და ადონაის ადონაისი.
სპეტაკ სპეტაკლმა ცრემლი მადინა,
შენც დამიტირებ პირსველ პიესად.
პოეტს მეწვევი მუზის მადონა,
ჯვარცმული ლექსის პირველპიეტად.
ლმერთმა რომ ხელი დამადო ნებით,
ვიგრძენ შეხებით უზადო სული.
მარიამებით და მადონებით,
ბევრჯერ იქნები მუზად მოსული.
მესმის მესის მესა ხნოვანი,
სული ფრან-გულმა მოდამ არია.
ექო მეძახის – ზესამხმოვანი
და ღვთაებრივი ოდა მარიამ!

შზის ანგელოზი


მზეა თბილისელი, წვიმა – ბათუმელი,
ზამთრის სიცივეა, გარეთ ივლი სელით,
უნდა გიმადლოდე შენით ცა თუ მელის,
რასაც მარტი თესაეს, იმკის ივლისელი.

მზე რომ გადაუხსნის წითლად დაისს ვენებს,
ცისფერ აისძერგასაც შავ ზლვად გადაალლვობს.
ჩემგან ერთი კვირით გიშვებ, დაისვენე,
დიდი სიყვარულით რომ არ გადაგლალო.

დღისით, შენთან ერთად, ცხადში მეზმანება
პეტრე იპერი და აგათანგელოსი.
ღმერთი მაპატიებს, მომცემს მე ზმა ნებას,
ჩემი რომ გინოდონ, მაგათ, ანგელოსი.

ქარაფქალნული მუზა

ქალწულ მუზაზე მწინდავს სტროფი მე,
ვეძებ შორეულ სავანს გოგენის,
რომ ვნახოთ არლში წმინდა ტროფიმე
და მზის ნატურა სავანგოვენი.
სულს სწერს ლვთიური ტემპერატურა,
როცა გიგალობ ანჩისხატმლერი.
სიტყვის გზას ლეპავს ტემპერა ტურად,
ლექსის სახედ გწერ მუზის ხატმწერი.
ლექსის ხატად გწერ მუზის ნატურას,
ლვთისმშობლის ხატად, დარად, სახებად.
ყრმა გვირილა ხარ თუ მზის ხატურა,
რომ ვერ გიმეტებ თვალშესახებად.
მუზის ხატად გწერ სიტყვის მხატვარი,
თავს არ მოგაწყენ თუ ნამეტარი.
მარტვილურ ფიქრით ითქმის მთავარი,
შენზე ვლოცულობ მუზა, ნეტარი.
ჯვარცმული სული სადღაც ალდგება,
ნერს ისტორიას ამური, კლიო
და თვალს აყოლებს ცადამალლებას
პარიზი, ლექსი და მურილიო.



ზაირა მინდელი

40



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ცენტრი

თამარ წერილის „თონის დღე“ ასე ეძხის ამ დღეს, საკუმანდო, სანშიშქაული, მაგრამ, სულ, ხალისიანი და მოფუსტულე თა-
მარა წერილი. ქმარ-შვილი უშლის თონეში პურის გამოწონას,
მაგრამ... ამის გარეშე, არ შეუძლოა, ეს ჭიდ სისტონების
ანუსებს, — რალავ, რიცხვლივით აქვს. იუკუ, სამეზომლოში,
თავის ასაკის ქალებს გასძახის ხოლმე, „გოგონებო,“ თუ,
ვინმეს ამობრიალებულზე თონეში პურის ჩაკვრა გონია,
მოქმედდეთ, დღეს პურის ვაწხობ. პურის ქონის რომ მორჩე-
ბოდა, ერთ, პატარის ამობრიალებულზენ, წოდა ფიჩხს კიჯევ
ჩაკვრიდნენ და... ერთი თონე პური კიჯევ წავუშოდა.

ზ. მინდელი

თონის დღე, ანუ – სოფლის იდილია...

გაზაფხულის მზიანი, ხალისიანი დღილა გათენდა. ნეტავი გენახათ რა საამური სანახავი იყო ბებიას და გიო პაპას ეზო-კარი. იქვე, ღობის ძირში, ქათამი თავის ახალგა-მოჩეკილ წინილებს დაღუღუნებს, ძალლმა ბათურამ ყეფით აიკლო იქაურობა. იქით, ცხენი და პატარა კვიცი ჭიხვინებენ. მდინარეზე, რომელიც სახლს ორივე მხრიდან ჩამოუდის, იხვები და ბატები დაცურავენ და ყიტყიტებენ. ეზოში უამრავი ქათმები, ინდაურები გნიასობენ. ძროხა ბლავილით მოსაწველად უხმობს პატრონს. ირგვლივ ხალისია.

თამარა ბებიამ, დილაუთენია, დაიწყო სამზადისი პურის გამოსაცხობად. „თონის დღე“ ასე ეძახის ამ დღეს, საკუმანდო, ხანშიშესული, მაგრამ, სულ, ხალისიანი და მოფუსტუს თამარა ბებია. ქმარ-შვილი უშლის თონეში პურის გამოცხობას, მაგრამ... ამის გარეშე, არ შეუძლია, ეს დიდ სიამოვნებას ანიჭებს, — რალაც, რიტუალივით აქვს. იქვე, სამეზობლოში, თავის ასაკის ქალებს გასძახის ხოლმე, „გოგონებო,“ თუ, ვინმეს ამობრიალებულზე თონეში პურის ჩაკვრა გინდათ, მოემზადეთ, დღეს პურს ვაცხობ. პურის ცხობას რომ მორჩებოდა, ერთ, პატარას ამოაბრიალებდნენ, ცოტა ფიჩხს კიდევ ჩაკვრიდნენ და... ერთი თონე პური კიდევ ცხვებოდა.

თამარა ბებია თავის ასაკის ქალებს „გოგონებოთი“ მიმართავდა. იცის, რომ... დიდი ხანია, გოგოები აღარ არიან, მაგრამ, რაღაცნაირად, გულს უხარია ასეთი მიმართვა. ისე კი, გული ისევ ისეთი აქეს, როგორც იმ, გოგონობის ასაკში. ჩვენი „გოგონები“

ოთხმოც წელს მიტანებულები არიან.

ამაგიანი ქალი იყო თამარა ბებია, ოთხი კარგი შვილის გამზრდელი დედა, მთელი სამეზობლოს დამხმარე და იმედი. მესუთე შვილიშვილი გაზარდა შვილივით — მშობლების ალერს მოკლებული პატარა თინია, რომელზეც მზე და მთვარე ამოსდიოდათ მას და მის მეუღლეს. შვილიშვილი ვერ გაიმეტეს დედინაცვლის და მამინაცვლის გვერდით. თუმცა, მის მშობლებს დიდად თავი არც გამოუდვიათ შვილი რომ წაეყვანათ თავისთან. პატარა თინია იშვიათად თუ გაახსენდებოდათ. ალბათ, ამას გრძნობ-



მხატვარი სოფიო ჭელიძე



და ბავშვიც და პაპა-ბებიაზე, ბიძაზე, მის მეულეზე, მათ შვილებზე იყო მთელი გულით შეყვარებული. ისინიც თავის შვილებისგან არ არჩევდნენ და საკუთარი შვილივით უყვარდათ.

ჩვენი „გოგონები“ დღედა-ლამ შრომაში არიან, დასაჯ-დომად და სალაპარაკოდაც კი ვერ იცლიან, მაგრამ „ორნის დღეს“ ცოტას თუ მოილხენდნენ ხოლმე. იყო ერთი შეძახ-ილები. ცურის ცხობას რომ მორჩებოდნენ, პატარა სუფრას შლიდნენ თონეზე, ცხელ პურთან ერთად. „გოგონებო“, ახლავე მოვალ, უონუოლს შევანელებ, ერთი პატარა, ხოკერა გოგრაც დამრჩა და... ბარემ, თონეში, ნაკვერჩხალში შევახვევ, – იძახის ნინა ბებია. იქით, ელომ გასძახათ: ახლავე, კარგი თუშური ყველი მაქვს და მოვიტანო. კატო თავის კომბოსტოს მწნილს აქებს. თამარა ბებია წიწაკის მწნილით და პატარა ხელადა ღვინით მოდის.

გაიწყო სუფრა... პირველად, უფლის სადიდებელს ამბობენ, თავიანთ ოჯახებს ლოცვავენ. არ ავიწყდებათ – ხუთი წლის წინ, თონეში ჩავარდნილი და დაღუპული ტასოს შესანდობარი. იქნებ, მარტო რომ არ ყოფილიყო თონესთან, გადარჩენილიყო. ღმერთმა სასუფეველი დაუმკიდროს. მოხუცები თვალებზე მომდგარ ცრემლს იმშრალებენ.

– მას შემდეგ, გიო მარტო არ მტოვებს თონესთან, – ტირილით ამბობს თამარა ბებია.

– ყურადღებიანია შენი გიო, თამარა, ძალიან უყვარხარ და პატივს გცემს, სულ თავზე დაგტრიალებს.

– ეყვარება ქალო, აბა, არა, სულ, ბალ-დები იყვნენ, ჯვარი რომ დაიწერეს. გიო ჩვიდმეტის, თამარა თოთხმეტი წლის იყო.

– აბა, ერთი ის ამბავი გაიხსენე, ძალო,



ზაირა მინდელი

შენს წამოსაყვანად რომ უნდა მოსულიყვნენ და აგვიანებდნენ.

– ხო, მე, უჭყუოს სადა მქონდა ჭკუა?.. ან, ჩემი მშობლები რას ფიქრობდნენ?.. ასე, პატარას რომ მათხოვებდნენ?!. აგვიანებდნენ და... მე და ჩემი უბნის ბალლები ავედით მაღალ ხეზე, დავინახეთ, რომ მოდიან ფაიტონით, პირველმა მე დავიწყე ყვირილი: მოდიან, მოდიან-მეტქი. სწრაფად ჩამოვედი ხიდან.

გამოკრული მქონდა, უკვე, პატარა ბოლჩა და... წამიყვანეს. ორი, პატარა ხის თოჯინა მქონდა... გიო რომ სამუშაოზე წავიდოდა, მე იმ თოჯინებით ვთამაშობდი.

გახალისდნენ „გოგონები“, თვითონაც ბევრი რამ გაიხსენეს.

– ელო, აბა, ახლა, შვილების სადღეგრძელო ვთქვათ. უფალმა სულ ჯანმრთელები და გახარებულები გვიმყოფოს. შენ, ძალიან პატარა შეეჭიდე ცხოვრებას. ქმარი იმში დაკარგე. დარჩი სულ მარტო სამ შვილთან ერთად. დაზარდე, ასწავლე, დააბინავე და... ახლა, მათით ხარობ. გაიხარონ ჩვენმა შვილებმა, შვილიშვილებმა, შვილთაშვილებმა.


ჩვენი მოხუცები სიმღერით ამთავრებენ „თონის დღეს“... თამარა ბებიამ დაიწყო სიმღერა და აჟყვნენ დანარჩენებიც.

„შორი გზიდან სატრფოს ველი,

სხვა მოდი და ის კი არა...“

მოსალამოვდა, ისევ დაიწყეს ეზოში კრიახი ფრინველებმა, ისევ აიკლო ეზო ყეფით ბათურამ, ისევ აჭიხვინდა ცხენი, ყიტყიტით ამოდიან იხვები და ბატები მდინარიდან, დაპურება უნდათ. ლამაზი სანახავია ირგვლივ ყველაფერი.

გაიღია ეს ერთი დღეც: შრომაში, ჯაფაში, ერთმანეთის სიყვარულში.





ნათელა ქურციკიძე

ლ
ლ
ლ
ლ
ლ
ლ
ლ
ლ
ლ
ლ
ლ
ლ
ლ
ლ
ლ
ლ

ნარცისის ექი

დაუბარდნავს მინდოორ-ველი,
მოფარფატე ფიფქებს,
მინდა, მაგრამ ვერ ვიშორებ,
მოძალებულ ფიქრებს!

მივიწყებულ დროს ვიხსენებ,
საოცარს და ლამაზს,
ვხედავ, მშვიდად მოფუსფუსეს
ჩემს ამაგდარ მამას.

ვხედავ, დედას, შრომით დაღლილს,
ახალგაზრდას, – ლამაზს...
მე ბავშვური სიყვარულით
ვეფერები ნაზად!..

ვხედავ ჩემს დებს,
ჯერაც ბავშვებს,
მხიარულებს, ანცებს
ვხედავ ჩემს ძმას, ჩემს საფიცარს,
სიყვარულით სავსეს.

ყველაფერი დრომ წაიღო
სიყვარულის გარდა,
იმ ლამაზი წლების მხოლოდ
ნაკვალევი დარჩა!..

ძველი სახლის აივანი
პანაწინა ბალჩა,
ოცნებები დამეკარგა,
ოცნებებში დამრჩა!

მის ადგილას ჩემთვის უცხო
დიდი სახლი გაჩნდა,
ყველაფერი გაფრინდა და...
ყველაფერი გაქრა!..

და მივხვდი, რომ ეს ცხოვრება
სიზმარია მცირე,
აღარა გვაქს დროის ვალი,
შესაწირი ვწირეთ.

გაიხედე, რა ლამაზად თენდერა,
რა ლამაზად ამოსულა წიგუარი,
სხივებს გჭენი, გეფერება – გალვიძებს,
შენს ფანკარის მოსაფეომია მზის თვალი!

ნახე, როგორ უიყვივერენ მერწლეობი!
შენს სარკმელობი დაფრინავენ, ანწობენ,
თიტქოს, უნდათ შენთან სახლში შემოფრა,
გაზაფხულის მორიძანერის გამწინობენ!

6. ქურწყიძე

ვიძარცვებით სიბერისგან
ყველაფერი ჭკნება,
და... ბოლოს კი ხელში მარტო
სინაწყლი გვრჩება.

სამშობლოს

ჩემი საფიცარი, ჩემი ცა და მიწა
ჩემი პანაწინა მთა-ველი,
ბევრის ამტანი და ბევრის მნახველია
არწივთ ბუდეა და საფრენი.

ჩემი საქართველო, ჩემი ვარსკვლავეთი,
ჩემი თვითეული ქართველი,
რიცხვით ცოტანი და გულით ბუმბერაზნი,
რამდენ ჭირ-ვარამის მნახველი.

წმინდა სისხლი გვიდულს, სუფთა გული გვიცემს
ვიცით, ატანაც და გატანაც...
უფლის წყალობით ვართ, უფლის სიყვარულით,
გვიყვარს დიდიცა და პატარაც.

გვლოცავს მარიამი, – დედა ღვთისმშობელი,
გვლოცავს ამ დალოცვილ მიწაზე,
მიტომ გავძრნებინდებით, არ გადავშენდებით
რადგან გულს სიყვარული იტაცებს.

უფალი ლმერთი

ჩვენ, თვალს გვადევნებს უფალი ლმერთი,
სურს: გზა გვიჩვენოს – სწორი;
და, ხან, გვპატიობს, თუ, უნებურად,
შეგვცდა – ერთი, თუ, ორი!

ცხოვრება არის, ხანდახან, მკაცრი,
შედეგზე ფიქრს, ხან, ვმალავთ!
რა სჯობს გულიდან გამონაშუქით,
ალალს დავარქმევთ ალალს.



წუთისოფელი არც გვეკითხება
და თავის სათქმელს ამბობს,
დღეებს, მზის სხივით, საესეს და ქარვას
ვუგზავნით ნეტარ ამბორს.



43



თაქაროველოს

გაუფრთხილდი შენს საყვარელ მამულს!
მამა-პაპის სისხლით ნაპოს მინას...
ვენაცვალე – ყველას, ისეთ ქართველს,
ვინც სამშობლოს ფასი იცის!... იცავს!

ვინც არ გაცვლის, მტკაველ-მტკაველ დათვლილს!
ჩვენს მიწა-წყალს, – ამერსა, თუ, იმერს!..
წინაპართვან სიყვარულად გამლილს,
ერთ-დროს, მათგან, გაბრნყინებულ იბერს!..

სკოლისაკენ მიმავალი –
ცოდნის დიდი შარაგზა,
მიყვარს, თანაც, მენატრება
სიყვარულის თანამგზავრს.

რადგან მიდის ეს ცხოვრება
ბრუნავს ბედის ბორბალი;
მინდა ყველას მოვეფერო,
სანამ კიდევ დრო არის!

გიორგის ჩერისგან

გაიხედე, რა ლამაზად თენდება,
რა ლამაზად ამოსულა ცისკარი,
სხივებსა გფენს, გეფერება – გაღვიძებს,
შენს ფანჯარას მოსდგომია მზის თვალი!

სურათი

ნახე, როგორ ჟიღურივებენ მერცხლები!
შენს სარკმელთან დაფრინავენ, ანცობენ,
თითქოს, უნდათ შენთან სახლში შემოჭრა,
გაზაფხულის მობრძანებას გამცნობენ!

გარიურაუდა! – ლამეული
ლანდი გაქრა გაიპარა,
ცის მნათობი, – ნაზი მთვარე
ღრუბლებს იქით დაიმალა!

მაშ ნუ გძინავს გაიღვიძე, ადექი!
მიეგბე მზის ამოსვლას, განთიადა!
ჩაისუნთქე დილით სუფთა ჰაერი,
მიეფერე ჩვენს ბუნებას მადლიანს!

ცაზე გაქრნენ ვარსკვლავები,
დღის სინათლემ დაიარა!
მზემ სხივები გააბრნყინა, –
ლამემ მშვიდად ჩაიარა!..

მშობლიური სოფელი

ახალი წელი

ჩემი ვანთა, – პანაწინა,
სოფელი სჯობს, რომელი?
ჩემი ხალხიც, გამორჩევით,
ალალი და მშრომელი?!..

ზარ-ზეიმით, ხალისით,
წელი დგება ახალი!
მოეტანოს სიმშვიდე
და სიკეთე მრავალი.

ყველა მიყვარს და ვაფასებ,
უფლის მადლი ჰეფენია!
უფალსა ვთხოვ, რომ გამრავლდეს –
მათი ფუძე-ჭერია!

ზურგზე დიდი ხურჯინით,
საჩუქრებით ნავალი,
მოჰყავს თოვლის ბაბუა,
შორი გზიდან მავალი.

ჩემი ვანთა, ჩემი სოფელის
თითოეული ბილიკი,
მიყვარს, როგორ არ მიყვარდეს,
მის მზე, მისი ჩრდილიც კი....

ბავშვებს უნდა მოართვას, –
გაუხაროს გულები,
დალოცოს და... უსურვოს –
სიხარული, – ულევი...





ნუშ ქამუკაშვილი

იქნება?!...

იქნება, მე შენზე დავწერე ლექსები,
იქნება, არ იცი, იქნება, ვერ ხვდები,
რამდენჯერ იცვალეს ხეებმა ფოთლები,
იქნებ, ფიქრს მიმიხვდნენ მისანი ვერხვები.

ლამაზი ოცნებით გაივლის, კიდევ, დრო...
იებს სურნელისთვის ნაზ მხრებზე ვეხები,
კარგი, მასე იყოს, როგორც შენ ისურვებ,
ჩავთვალოთ, ვითომდა, ვერაფერს ვერ ხვდები.

ისევ, გვეწვევიან გაზაფხულის ფრთოსნები,
უძურტულით აავსებს მიდამოს მერცხლებიც,
ზაფხულიც ჩაივლის და შემოდგომა კი
იმედებს, ოცნებებს, კვლავ დავესესხები.
იქნებ, ფიქრს მიმიხვდნენ – მისანი ვერხვები,
იქნება?!..

თამარ კოჭელიშვილი

განა ზევრი მინდა...

მე, ამ ქვეყანაზე,
განა, ბევრი მინდა,
მინდა: სიმშვიდე და...
ცა ლივლივა, წმინდა.
მინდა: ყველას გულში
სიყვარული ენთოს,
მამულისთვის, – საგზლად,
სანთლად დაიღვენთოს.
ბოროტება შეწყდეს,
ქვეყნად აღარ იყოს,
ყველგან, – ღომილები,
რწმენა დაგარიგოთ.
ზოგჯერ, მსურს, რომ მინას,
მოვარიდო თვალი,
ცის ლურჯ სიკამიამეს,
შევუერთდე წამით.
მზემ – სხივების ჩქერი,
უხვად დამაწვიმოს,
მთვარის საქანელამ,
ნაზად დამარწიოს.
სასთუმლად, რომ მქონდეს,
თეთრი ღრუბლის ქულა,
საბნად – ვარსკვლავან
ღამეს დავიხურავ.
შენი სუნთქვა, ყურთან,



სიოდ მესალბუნოს,
ზეცის მანანები,
უხვად მომეპკუროს.
თავზე, ჯილასავით,
მედგას ცისარტყელა,
სივრცეს მინათებდეს,
ნაზი ციც-ნათელა.
სულში შემოიქრას –
რაღაც, სხივოსანი
ვნახო – მადლმოსილი,
მხარე საოცარი.
მე, ამ, ქვეყანაზე –
მხოლოდ, ერთი მინდა:
მინდა სიმშვიდე და
ცა ლივლივა, წმინდა...



ანა მანოშვილი

ჩვენო, ქართულო ანრანო!..
მზევ, სასწაულო, ნათელო,
წინაპართ სისხლით ნაბანო,
ფესვო და ძირო – ცოდნისა,
ჩვენო, ქართულო ანბანო.
შენ დიდი საგანძური ხარ
და უკვდავების წყარო ხარ,
ხან, თოვლიანი მოები ხარ,
ხან, ტურფა საბალნარო ხარ.
შენ გაზაფხულის სუნთქვა ხარ,
და... არასოდეს ზამთარი,
შენი თილისმით ივსება –
გული, – სიამით გამთბარი.
ხელი-ხელ საგოგმანები,
ლამაზ სამყაროს ნათელი,
ბნელეთის დამხარცხებელი
და ანთებული სანთელი.
ჩენი თვალების სინათლე,
ოცნება, – შეუცნობელი,
ტკბილი ხარ, როგორც სამშობლო,
და... როგორც დედა, – მშობელი.
მზევ, სასწაულო, ნათელო,
წინაპართ სისხლით ნაბანო,
ფესვო და ძირო – ცოდნისა,
ჩვენო, ქართულო ანბანო!..

ნათელა ქურციკაძე

ქამიშობლო

ორ ზღვას შუა ამოსული წალკოტი,
მის ნატვრაში, – ვაღაძებთ და ვათენებთ,
რა მშვენება... საოცარი ზღაპარი...
ჩვენ გვაჩუქა, ჩვენ... უფალმა ქართველებს!





სილამაზით ჰყევავის ჩემი სამშობლო,
და ყველა დროს მიყვარს, მხიბლავს, მიზიდავს,
არნახული ანდამატის ძალა აქვს,
მას ვუგალობ, ოცნებით და რიდითა.

გაზაფხულზე აქოჩილი ბუნება
სულს მიტყვევებს და გულში მფენს სიამეს!
მოჩუხჩუხე ნაკადულის სიმღერა
ნანად მესმის და მიამებს იარებს.

ოქროსფერი შემოდგომა გვახარებს,
მოსავლით რომ ივსებიან ბელლები;
ბუნება, ხომ, სასწაული, – ნამდვილი
საოცრება!.. ჯადოსნური ფერების.

თუ, რამ, სითბო, – სილამაზე არსებობს,
ყველაფერი ჩემს სამშობლოს ატყვია...
იმიტომ, რომ ღმერთმა ასე ინება, –
და ჩააცვა მან სამოთხის მანტია.

თეა ყავრელიშვილი

ხაქართველო

მე, შენი, ყველა გაზაფხული მიყვარს, ძალიან.
ეს, მიწა ჩემი, მზით გამთბარი, სანთლად ანთია.
სიტყვა: სამშობლო, სიმტკიცე და დიდი განძია,
ვარ ბედნიერი, როცა ვხედავ ქვეყნის განთიადს.
მე, შენი, ყველა, დაზამთრებაც მიყვარს, ძალიან,
დათოვლილ ქუჩებს ხეივანი უხდება ნაძვის.
შენ ხარ: სიცოხცხლე, ამღერება – გულის და სულის,
შენ ხარ: სიტურფე და ქართველის – უკვდავი განძი...
მეამაყება ქართველობა, – რომ ვარ ქართველი,
ქართველს უნთა ღვთის ტაძარში წმინდა სანთელი,
ვაზის ლერწივით ჩაუწენია გულში გრძნობა და...
ხატებს გაანდო, შეევედრა ერის ნათელი...
შენ დამილოცე საქართველო, ღმერთო, – მთლიანი,
მსურს: გამთლიანდეს, ალორძინდეს ქვეყანა, როცა
რომ... ყველას, ერთად, არ მოაკლდეს შუქი და სხივი.
რომ... მზეებრ გამთბარ, ქართულ გულებს არ აკლდეს ლოცვა!..

ნოდარ იაგორაშვილი

სისხლი... ვერაფრით დაუშრობელი!

ფიქრი გარდასულ წლებში აზავებს,
მოგონებების ცისფერ აკვარელს,
და საქართველოს დაღლილი მიწა,
მკერდში იხუტებს შოთას ნაკვალევს.
როგორც სამოთხეს უფლისგან ნაძერწს
ამკობს ზამბაზი ვარდი, ტიტები,
ისე გვამაღლებს შოთა რუსთველის
მაღლით ნაქარგი მარგალიტები.
– შენ დაგელოცოს ჩემო სამშობლოვ





გრემი, გელათი, ოშკი, ვარძია,
შემინდე ყველა როგორც დავთვალო,
სულყველა ერთად შენი განძია.
შენი განძია ვაჟა, ილია,
დავით, ქეთევან, ლაშა, თამარი,
შოთა რუსთველი, შენი მეობის
მეფეთ-მეფეთა მხედართმთავარი.
ღმერთო, დალოცე ერი, ქართველთა,
ენა, ქართველთა, დედა-მშობელი,
ჯიში, ჯილაგი, მიწა და ზეცა,
სისხლი ვერასგზით დაუშრობელი.

აკაკი ბიბინაშვილი

ფარვჭოვე

არც ტაშებს ვითვლი, არც ტომებს,
მონათლული ვარ ზევსის...
მე ჩემს სანაცვლოდ დავტოვე
საქართველოში ლექსი...

მახარებს მისი დიდება
სამშობლოს გულში მარად,
მას ომში შეეხიდება,
ჩემს ნაცვლად სიტყვის ძალა.

ჯანს მამულისას რა დაცლის
ვინ მოერევა ამ მთებს?!
ვიქუხებ ყველგან, სადაც კი
გაუჭირდება ქართველს.

არაგველების მარჯვენას
შევემეტები რწმენით,
სიცოცხლის ნაცვლად დარჩება
სიტყვა და საქმე ჩემი.

დარეპარან ჭავჭამაძე

ფილი ერეკლე – პატარა კახი

ამაყები ვართ, ვცხოვრობთ თელავში,
სადაც მეფობდა ერეკლე დიდი.
მეფე მრავალი ბრძოლის მომგები,
მეფე გმირობის, კაცობის მზიდა.

მეფე მზრუნველი განათლებაზეც,
მან დაარსა სკოლა პირველი.
დღევანდელ დროში ასეთი სკოლის,
იშვიათად ვართ თითქმის მხილველნი.

მეფე ერეკლე – პატარა კახი,
ვაჟკუაცობით და ბრძოლით ქებული.
კაცობრიობის ისტორიაში
დარჩა ბრწყინვალე – აღმატებული.



პახაპერ პავლიაშვილი

ლექსის ფარაფერა

როცა სძინავთ ტკბილად,
წუთისოფლის მდგმურებს,
ღამის სიმყუდროვე,
როცა ისადგურებს.

ბავშვებსა და ჩიტებს,
ბაჭიებსა და კრავებს,
მთვარის საქანელა
როცა აქანავებს.

თითქმის, ყველას სძინავს,
ფშვინვა ისმის ღამის,
მოუხურავს ზეცას
თალხი მოსასხამი.

არა სძინავს, მხოლოდ,
პოეტს, არა სძინავს,
რომ აქციოს ლექსად
აზრი პანაწინა.

და... შორეულ ციდან, –
უცნაური გზებით,
მოფრინავენ მასთან
რითმები და ზმნები.

მოფრინავენ, ერთად,
ოთხნი, ანდა ხუთნი,
წეროების ფრთების
უცნაური გუთნით.

დიდ ტკივლთან ერთად,
დიდ სიხარულს იტევს.
და ლექსის ჩუქურთმას
კალმით აგვირისტებს.

ესმის სივრცეს, როგორც
სიოს მონაბერი,
როგორ შარიშურობს
მისი კალმის წევრი.

და როდესაც დილის
ნისლი ცაზე დნება
მზის სხივებთან ერთად,
ლექსიც იბადება.

უხარია პოეტს,
მზეს ლიმილით უმხელს,
რომ მზესავით, ლექსი
დაიბადა წეხელ!



გიული ჩიხიაშვილი

შენ ხარ ვენახი

ცისკენ აწვდილი მთები ნაბანი,
წმინდა ხარ, როგორც სალოცავები –
აყვავებული მინდორი-ველი,
ვეება მთები და ლაზათი მწვანე ზვრების.

შენ ხარ ვენახი – მამა-პაპური,
კვლავ, რქანაყარი და შემართული,
ალავერდი ხარ, სვეტიცხოველი,
ნათლიმცემელი, მინა ქართული.

მეფე დავითი, – დიდი ქართველი,
ხმალჩაუგები მამულის მცველი;
ქართული სიტყვის შნო და სახება, –
ილია, გალა და რუსთაველი.

თვით, უკვდავება, სამარადისო,
შენ დემეტრე ხარ, – თავდადებული;
ქეთევანი ხარ, ცოტნე, გიორგი.
გულში ტკივილად დავანებული.

შენ სიმღერა ხარ, – მრავალხმიანი,
„მრავალუამიერ“, „ლილე“, „ურმულო“,
აფხაზეთი ხარ და სამაჩაბლო,
ყველა ქართველის გულზე მიბმული.

წმინდა ხარ, როგორც – სალოცავები,
შენ ხარ ვენახი და ოქროსყანა,
მთაწმინდის კალთა, მარაბდის ველი,
ია-იები და მზის ქვეყანა.

49



ბავშვებისთვის საყითხევი

აკაკი დაუშვილი

50



საქართველოს მთავრობის განცხადების მიერ გამოყენების მიზანის მიხედვით

საკუთრივ დაუშვილის მიერ გამოყენების მიზანის მიხედვით

ცაცომი ივახშმა და მეორე სართულის ფანჯრიდან თოვლის წარმატება გახდება. ფიფები ისევ ფართვაცით ეშვებონ. უსტრ ქარმა დაუშვილი.

– ფეხა! – ალელვებით დაიძახა ცაცომი.

– რა გინდა? – ქალმა სამზარეულოდან გამოსძახა.

– თოვლის წარმატება შესრულებული და ცაცომი შეფიქრიანდა, სახე მოეცემა.

ფეხა წისქის ლიმილიანი სახით მოუხლოვდა:

– მოდი, შენი ძველი ყურებიანი ქუდი დაფახუროთ და ჩემი მოქსოვილი კაშნე ყელზე შემოვახვიოთ.

– კარგი, – გახალისდა წისქი.

ა. დაუშვილი

მცირება თოვლის პაგუა

დილიდან თოვდა, ხვავრიელად ბარდნიდა და ფანტელებმა ქალაქი თეთრად დაფარა. ბავშვებმა გუნდაბით გული რომ იჯერეს და კარგადაც ისრიალეს, კორპუსის წინ, სკვერში, თოვლის ბაბუას გაკეთება დაიწყეს. ტატომ დედას ცხვირისთვის სტაფილო გამოართვა, ვიღაცამ დაჭეჭყილი ვედრო მოიტანა, ერთმა ფერადი კენჭები მოარბენინა, საიდანლაც ცოცხიც გაჩნდა.

მართალია ჩამობნელდა, მაგრამ ლამპიონების შუქზე კარგად ჩანდა სტაფილო ცხვირი, კენჭის თვალები და პირი. თამაშით დაქანცული ბავშვები თოვლის ბაბუას დაემშვიდობნენ და ნელ-ნელა სახლებში გაიკრიფნენ.

ტატომ ივახშმა და მეორე სართულის ფანჯრიდან თოვლის ბაბუას გახედა. ფიფები ისევ ფარფატით ეშვებოდნენ. უცებ ქარმა დაუბერა.

– დედა! – ალელვებით დაიძახა ტატომ.

– რა გინდა? – ქალმა სამზარეულოდან გამოსძახა.

– თოვლის ბაბუას შესცივდება, – ტატომ

შეფიქრიანდა, სახე მოეღუშა.

დედა ბიჭს ღიმილიანი სახით მიუახლოვდა:

– მოდი, შენი ძველი ყურებიანი ქუდი დავახუროთ და ჩემი მოქსოვილი კაშნე ყელზე შემოვახვიოთ.

– კარგი, – გახალისდა ბიჭი.

სასწრაფოდ გარეთ გავიდნენ, თოვლის ბაბუას ქუდიც დაახურეს და კაშნეც ორჯერ

შემოავლეს ყელზე.

– ახლა თბილად იქნება, – გაეხარდა ტატომ.

– ალარ შესცივდება, – დაეთანხმა დედა. ტატომ ძილის წინ კვლავ ფანჯარასთან დადგა. უეცრად ქარი გაძლიერდა.

– დედა! თოვლის ბაბუას, თითქოს სიცივისაგან გააკანკალა, – შეშფოთდა ტატომ.

– ეტყობა, ძალიან მცივანაა. მოდი, მამას ქურთუკი ვაჩუქოთ, – გამოსავალი მონახა ქალმა.

– მამას რო ეწყინოს, – შეფიქრიანდა ტატომ.

– დიდი ხანია ალარ ჩაუცვამს. მამა ამაღამ მორიგეა, დილით რომ დაბრუნდება თოვლის ბაბუას შეხედავს, ჩემს მოქსოვილ კაშნეს, ქუდს და ქურთუკს იცნობს და გაეცინება. თანაც, ამაღამ შობაა.

ქალმა გარდერობიდან ქურთუკი გამოიღო, სკვერში დაბრუნდნენ და თოვლის ბაბუას მოახურეს.

– ცხვირი ალარ გაეყინება, – გაიცინა ქალმა.

– სიცივე ვეღარაფერს დააკლებს, – კმაყოფილი სახით თქვა ტატომ.

დილით ალარ ბარდნიდა, ცივი ქარი კი ისევ დაქროდა. საწოლიდან წამომხტარმა ტატომ მაშინვე ფანჯარასთან მიირბინა და გაკვირვებულმა შეჰყვირა:

– თოვლის ბაბუას ქურთუკი ალარ აცვია, ალარც ქუდი აქვს და ალარც კაშნე!

– ალბათ, ვინმეს აჩუქა, – დაასკვნა



ქალმა, ტატოს თმა აუჩეჩა და გაბუშტული ლოყები დაუკოცნა.

— წავალ, კეთილ თოვლის ბაბუას მოვეფერები, — ტატომ ტანსაცმელი საჩქაროდ გადაიცვა და გარეთ გავარდა.

ბიჭი თოვლის ბაბუას რომ გაუსწორდა სკვერის ბოლოს მამა დაინახა. კაცმა მისკენ გამოქანებული ტატო ხელში აიტაცა, აკოცა, ძირს დასვა და უთხრა:

— წელან ერთი კაცი შემომხვდა. ჩემი ძველი ქურთუკი ეცვა. დედას მოქსოვილი კაშნეც ვიცანი და შენი ყურებიანი ქუდიც. უცნობს ეჭვის თვალით რომ შევხედე გაჩერდა, დაირცხვინა და თავის გასამართლებლად მითხრა, ეს ქურთუკი თოვლის ბაბუას ეცვა, კაშნეც მას მოვხსენი და ქუდიც მოვხადე. ძალიან მციოდა. დღეს შობაა და ეს ყველაფერი ღვთის ანგელოზების წყალობად ჩავთვალეო.

— მე და დედა ანგელოზები ვყოფილვართ, — სიამაყით თქვა ტატომ.

— იმ ადამიანს ფული ვაჩუქე, ესე იგი, მეც ანგელოზი გამოვდივარ, — სახე გაუნათდა კაცს, მერე კი დაამატა, — არა, ანგელოზებად ვერავინ ვიქცევით, სიკეთის გაკეთება კი ყველას შეგვიძლია.

მოულოდნელად ქარმა ხიდან თოვლი ჩამოყარა და სიმძიმისაგან გათავისუფლებული ტოტი აქანავდა. ბიჭმა ხეს ახედა, მერე ცას, თვალები გაუბრნებინდა და მამას მიუგო:

— ეტყობა, ტოტზე ღვთის ანგელოზები ისხდნენ და გვისმენდნენ.



51

მხატვარი სოფიო ჭელიძე

— აქვე იქნებიან, სურვილი ჩაგუთქვათ, კაცმა ცას ახედა.

ტატომ რაღაც ჩაილაპარაკა, მერე სახლისკენ შეპრუნდა და სიხარულით შესძახა:

— მამა, სურვილი ამისრულდა, ფანჯრიდან დედა ანგელოზი გვიყურებს!

ქალის სახეს ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა.

— რა კარგია, როცა შობის დღე დედის ღიმილითა და ხეზე შემომსხდარი ანგელოზებით იწყება, — აღტაცებით თქვა კაცმა, ტატო მხარზე შეისვა და სახლისაკენ გაემართა.



ოლქ, №6, 2023

მწერის წერილი მოსნავებს

მაია გვიჩია

52



საქართველოს მთავრობის მინისტრის მიერთებული კოდექსი

საქართველოს მთავრობის მინისტრის მიერთებული კოდექსი

ერთი ამბავი უნდა მოგიყვეთ. მე-9 კლასი, ორი წლის ნინ, პანდემიისას, გავიარეთ წნობილი პოეტია და მთარგმნელის შოთა იათაშვილის ლექსი „მეგობრობა“. წიგნში მითითებულ რენიკაზე: „მისწერე ავტორს“, მოსნავლებს გაუჩნდათ სურვილი მასთან კომუნიკაციას, ქვეყნის რესიამ და ანდრია შუკიამ განსაკუთრებით იაქტიურეს... სიყვარულით გამოგვეხმაურა ავტორი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მას. ბატონი შოთას წერილს კი აქვე გთავაზობთ, ნებისმიერმა რომ წაიკითხოს. მართლაც რომ სასიამოვნოდ დაწერილი და სითბოთი სავსეა, მადლობა, ბატონო შოთა (შოთა იათაშვილი), მეტისმეტად გაგვანებივრეთ და გაგვახარეთ!

მ. გვიჩია

ცხოვრება ერთხელ გეძლევათ და

ის ტყუილად არ უნდა გაფლანგოთ

ერთი ამბავი უნდა მოგიყვეთ. მე-9 კლასში, ორი წლის ნინ, პანდემიისას, გავიარეთ წნობილი პოეტისა და მთარგმნელის შოთა იათაშვილის ლექსი „მეგობრობა“. წიგნში მითითებულ რენიკაზე: „მისწერე ავტორს“, მოსნავლებს გაუჩნდათ სურვილი მასთან კომუნიკაციას, ქვეყნის რესიამ და ანდრია შუკიამ განსაკუთრებით იაქტიურეს... სიყვარულით გამოგვეხმაურა ავტორი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მას. ბატონი შოთას წერილს კი აქვე გთავაზობთ, ნებისმიერმა რომ წაიკითხოს. მართლაც რომ სასიამოვნოდ დაწერილი და სითბოთი სავსეა, მადლობა, ბატონო შოთა (შოთა იათაშვილი), მეტისმეტად გაგვანებივრეთ და გაგვახარეთ!

გამარჯობა, ქეთევან!
ძალიან გამიხარდა შენი წერილი.
გამიხარდა, რომ ჩემმა ლექსმა ჩემთან და-
ლაპარაკების სურვილი გაგიჩინა.

მე თვითონ ჩემი ეს ლექსი მიყვარს (ხან-დახან ისეცაა, რომ პოეტებს არ უყვართ ზოგიერთი საკუთარი ლექსი) და გამიხარდა, რომ ის სახელმძღვანელოში შეიტანეს.

ლექსი საქმაოდ ძველია, მაგრამ დღეს ისე იყითხება, როგორც თანამედროვე მოვლენებზე, პანდემიურ სამყაროზე რეაქცია. ამას წინათ ჩინეთში გადალებული ფოტო ვნახე, რომელიც ცალსახად ამ ლექსის ილუსტრაციად გამოდგებოდა. ორი ადამიანი შუშის კედლის ორ მხარეს დგას, ერთმანეთს შესცერის და თითის წვერებით ერთმანეთს „ეხება“. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ფოტოზე ცოლქმარია ასახული, ჩემთან კი ეს ორი ადამიანი მეგობარია. თუმცა ეს განსხვავებაც არაა, რადგან ნამდვილი მეუღლები პირველ რიგში

ერთმანეთის ნამდვილი მეგობრები არიან. აი, გიგზავნი ამ ფოტოს, თავისი ისტორიით.

რაც შეეხება შენს შეკითხვას. ჩემი აზრით ეს ლექსი ნდობაზე კი არა, უფრო ზრუნვაზეა. და გამოსავალზე. გარემო ხშირად შეზღუდვებს გვინესებს. ეს შეზღუდვები ხან სამართლიანია, ხან უსამართლო. მაგრამ გარეგნული შეზღუდვა არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი თავის შეგრძნებებშიც შეიზღუდოს. უფრო პირიქით. და როცა არის ნამდვილი მეგობრობა, ნამდვილი სიყვარული, რაც უფრო მეტად ზღუდვები ადამიანს, ის მით უფრო ნატიფად და მძაფრად გამოხატავს თავის ემოციებს. ამიტომა, რომ მხატვრულ ლიტერატურაშიც ხშირადაა ასეთი ურთიერთობების აღნერა უკიდურეს მდგომარეობაში, ექსტრემალურ სიტუაციაში – ომის, თუ როგორც ამ ლექსშია, კარანტინის დროს. სწორედ ასეთ სიტუაციებში ჩნდება ყველაზე უკეთ, თუ რამდენად ნამდვილია ის გრძნობები, რომელიც ორ ადამიანს ერთმანეთთან აკავშირებდა. მე შედარებით წყნარი ცხოვრება მქონდა და ამიტომაც ნაკლებად გამომიცდია ასეთ მდგომარეობებში ჩემი მეგობრები, ამიტომ გამიჭირდება იმ კითხვაზე პასუხის გაცემა, მყავს თუ არა მეგობარი, რომელსაც საკუთარ თავზე მეტად ვენდობი. თუმცა პირველ რიგში გარდაცვლილი მეგობრები მახსენდება, რადგან ისინი აქამდე ჩემს გვერდით ერთგულად იყვნენ და ამ მეგობრობას ანი უკვე ვეღარაფერი გამოცდის, ამიტომ ისინი ჩემს გულში ბოლომდე ჩემი ერთგულები და ბოლომდე სანდონი დარჩებიან.

რაც შეეხება თეთრ ლექსს (ვერლიბრს) და რითმიან (კონვენციურ) ლექსს. მე გვიან დავიწყე ლექსების წერა. ჯერ მათემატიკური დავამთავრე და სკოლაში მასნავლებელი ვი-

ყავი, მერე სარეჟისოროზე ვს-ნავლობდი და კინოსტუდიაში ვმუშაობდი. კითხვა ძალიან მი-ყვარდა, თითქმის ყველაფრის: რომანების, მოთხოვბების, ფილოსოფიის. ერთადერთი, რასაც არ ვკითხულობდი, ეს პოეზია იყო. და აი, ასე უც-ნაურად მოხდა. რაზეც საერთოდ არ ვფიქრობდი, რაღაც მომენტში ის უცებ გაჩნდა ჩემში. და გაჩნდა ურითმო ლექსის, ვერლიბრის სახით. და როცა მივხვდი, რომ ლექ-სის წერა რაღაც შემთხვევითი არ იყო, მერე დავიწყე იმაში გარკვევა, თუ საერთოდ, რა

ფენომენი იყო პოეზია. მეცნიერული გამოც-დილება ძალიან დამეხმარა ამაში. საერთოდ, იმის სწრაფად გააზრებაში, რომ თუ პოეზიის განვითარების ხაზებს კარგად არ შევისწავლიდი, დილეტანტობას ვერ გავცდებოდი, საკუთარ ხელწერას ვერ მივაგნებდი. ამის მერე საკმაოდ დიდი ხანი იყო ვერლიბრი ჩემთვის წერის ერთადერთი ხერხი, მაგრამ რაღაც მომენტში გამიჩნდა შეგრძება, რომ საკუთარი თავი ამოვნურე, რომ ერთსა და იმავეს ვიმეორებდი. ამან გამიჩინა ინტერესი რითმიანი ლექსებისადმი. „აბა რა გამოვა, რომ ვცადო?“ და 2000-იანი წლების დასაწყისიდან ასეთი მცდელობები გამიხშირდა. თანდათან თითქმის სულ რითმიან ლექსებზე გადავედი. ემოციურად მომწონდა ეს, ახალი შთაგონება გამიჩინა. 2006 წელს გამოცემულ ჩემს პოეტურ კრებულში „სანამ დროა“ დაახლოებით 80% რითმიანი ლექსებია. სწორედ ამ კრებულს მიენიჭა პრემია „საბა“. მაგრამ თანდათანობით ეს განწყობა, როგორც მოვიდა, ისევე გაქრა, და ისევ ვერლიბრს დავუბრუნდი, რომელიც მაინც გაცილებით მეტადაა ჩემთვის პოეტური სათქმელის გამოხატვის საშუალება, ვიდრე რითმიანი ლექსი. ახლა ისევ ვერლიბრს ვწერ, თუმცა ხანდახან გავლილი გამოცდილება თავს შემახსენებს ხოლმე და ისევვ მეწერინება რითმიანი ლექსი.

ლექსის წერა მართლაც მომენტის ამბავია. რაღაც დეტალი, ნიუანსი უცებ აჩენს შენში პოეტურ სათქმელს, ანუ მუზას. და თვეების განმავლობაში შეიძლება იყო ისე, რომ ეს განწყობა არ გაჩნდეს შენში. ერთხელ, მგონი, თითქმის ერთი წელი, ვერაფერი დავწერე. მაგრამ, როგორ წესი, პოეტებს ამისი არ ეშინიათ. იციან, რომ ეს ძალიან ბუნებრივია.

რაც შეეხება კურიოზს. წერის დროს არა, მაგრამ პოეტურ გამოსვლასთან დაკავშირე-



შოთა იათაშვილი

ბული კურიოზი მახსენდება. მოსკოვის პოეტურ ბიენალეზე ვარ (ეს 2008 წლის ომამდე იყო), და გახსნაზე უნდა წავიკითხო ლექსი – ქართულად, ხოლო რუსული თარგმანი ეკრაზე წავა. დაწყებამდე წახევარი საათით ადრე აღმოვაჩინე, რომ ქართული ტექსტი სასტუმროში დამრჩა. უკან მისვლას ვერ მოვასწრებ. არც ინტერნეტში დევს ეს ლექსი. თან მე ჩემი ლექსები არ მამახსოვრდება ზეპირად. მით უმეტეს ეს გრძელი ვერლიბრია. „ფანქარი მინაში“, შეგიძლია ნახო, ახლა დევს ინტერ-

ნეტში. რა ვქნა? გამოუვალი მდგომარეობაა. და უცებ მოვიფიქრე. დავჯექი და ჩემი ლექსის რუსული თარგმანის უკან, ქართულად გადმოთარგმნა დავიწყე. ცოტა სხვანაირი გამოვიდა, მერე რომ შევადარე, მაგრამ ისიც კარგი იყო. და აი, ასე, საკუთარი ლექსის თარგმანის თარგმანი წავიკითხე სცენიდან.

ქეთევან, შენ გარდა, კითხვები გამომიგზავნა შენმა თანაკლასელმა ანდრია ბუკიამ და ბარემ მასაც აქვე ვუპასუხებ.

პირველ კითხვაზე, როგორ გავხდი მწერალი, ზემოთ ვუპასუხე.

2) თქვენი აზრით, რის გამო არიან ადამიანები თქვენი მადლიერი?

მე ოც წელზე მეტია, სხვადასხვა ლიტერატურული ურნალ-გაზეთების მთავარი რედაქტორიც ვარ. და მთელი ამ ხნის განმავლობაში ბევრი დებიუტანტი დამიბეჭდავს პირველად, დავხმარებივარ მათ სწორი გზის პოვნაში. საერთოდ, გულწრფელად მიხარია სხვისი წარმატება და თუ რამე ხარვეზები აქვთ ადამიანებს ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში, ამასაც მათ უპრობლემოდ, ღიად ვუპნები, რათა ისინი გამოასწორონ.

3) გაქვთ თუ არა რაიმე, დამალული, გასაოცარი ჰობი?

არა, ასეთი არაფერი მაქვს. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრა, რომ ძალიან მიყვარს ჭადრაკი. ბავშვობაში ოსტატობის კანდიდატი ვიყავი, და ახლაც ხშირად ვთამაშობ კომპიუტერში. ეს მუშაობის დროს განტვირთვაში ძალიან მეხმარება.

4) ყველაზე დაუჯერებელი რამ, რაც გადაგხდენიათ.

თუ პოეზიასთან კავშირში გიპასუხებთ, ძალიან უცნაურ ადგილებში წამიკითხავს ლექსები. მაგალითად, სუპერმარკეტებში, ფსიქი-





ატრიულ საავადმყოფოში, ციხეში. ერთხელ, სლოვენიაში მღვიმეშიც წავიკითხე ჩემი ლექსები, როგორც იქაური ფესტივალის ლაურეატმა.

5) რომელი მწერალია თქვენთვის მისაბაძი და რატომ?

არ ვიცი. ჩემთვის მწერლები ცოტა სხვანაირი არსებები არიან. მთლიანობაში ვხედავ, ცხოვრების წესით, ხელწერით, პლიუსებით, მინუსებით,... მისაბაძ არსებებს არ ვეძებ მათში.

6) თუ გქონიათ კონტაქტი რომელიმე მწერალთან და რა რჩევა მიგილიათ მისგან?

სულ მწერლებთან მაქვს კონტაქტი, ქართველების გარდა 20 ქვეყანაში ვარ სხვადასხვა ფესტივალებზე ნამყოფი და ძალიან ბევრ უცხოელ მწერალს ვიცნობ. და სულ რჩევებს ვაძლევთ ერთმანეთს, აბა რა გითხრა?

7) როდის მოგეცათ იმის სურვილი, რომ გამხდარიყავით მწერალი?

ამ კითხვაზეც ზემოთ ვუპასუხე, ქეთევანს.

8) გიფიქრიათ იმაზე, რომ უნდა დაგენებებინათ ამ საქმიანობისთვის თავი?

კი, საკმაოდ ხშირად ფიქრობს ამაზე მწერალი. მე მაგალითად, რომ მქონდეს ფილმების გადაღების საშუალება, მაგაზე გადავერთვებოდი ძალიან დიდი სიამოვნებით. რაღაც


ალბათ მაინც დამეწერინებოდა, მაგრამ დიდ ენერგიას მასში ჩავდებდი, იმიტომ რომ ჩემი განუხორციელებელი ოცნებაა რეჟისორობა. ისე, ბოლო სამი წელია ძალიან ცოტა ლექსს ვწერ, რადგან პროზაზე გადავერთვე. 2020-ში ჩემი რომანი „დამწყები“ გამოვიდა, ამ დღეებში კი ჩემი ზღაპარი, „ნათიას და თათიას თავ-გადასავალი“ გამოვა, უკვე სტამბაშია.

ბავშვებო, თქვენმა მაიკო მასწავლებელმა მითხრა, რომ ამ წერილს მთელ კლასს წაუკითხავს. ამიტომ ყველას მოგესალმებით. მიხარია, რომ ლიტერატურა ასე გიყვართ. თუმცა ყველა საგანი თავის განუმეორებელ ცოდნას იძლევა და სხვანაირად ზრდის ადამიანს, და ამიტომ გირჩევთ, ეს იგრძნოთ, ამ თვალით შეხედოთ, ფიზიკა იქნება ეს, ბიოლოგია თუ მათემატიკა. საიდუმლოდ გეტყვით, რომ სწორედ ამაზეა ჩემი რომანიც.

გრძელი წერილი გამომივიდა.

ბოლოს ამას გისურვებთ: მართლები იყავით და კეთილები, და ინტერესიანები. ცხოვრება ერთხელ გეძლევათ და ის ტყუილად არ უნდა გაფლანგოთ. ესაა მთავარი. დანარჩენს რამენაირად მოევლება.

**საუკეთესო სურვილებით,
შოთა იათაშვილი**



ფაზილ ისკანდერი

— შეიძლება, წყალი ფავლით?
მიფიხურა-მოვიხურა, კარგიშვილი არაა. ერთი მხრივ, ფე-
ფერი, ნებდებას რომ ვაროვევ, მაგრამ, მეორე მხრივ,
ალმური ახდის მთელ ვაგზალს და შემეტოდა ის მუწოდები.
ფაზის შევე კია, მარა, ადამიანია მაინა, წინეში რომ შევ-
ფერებ, ზოროვან წყალს კი არა, უბრალო, გაზიარებულ
ფალევინებენ-მეთქი.

— კია, დალიე, მიღი.
ფული კი, სხვათა შორის, არა აქვს. საიდან ექნება, მისი ფულები აგრე მაქვს ხელში მოფიცუნული, მაგრამ
სახელმწიფო ფულს კაპიტან ვერ მოვაკლებ, რახაც კურ-
ლია. ამოვილე საკუთარი კიბიდან ხურდა და ვეუძნები:
— დალიე, სანამ ვინჩე გამოჩნდებოდეს.

ფ. ისკანდერი

55



მთარგმელისაგან

ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობები ორი მოძმე ხალხის დიდი კულტურის საერთო
მონაბოვარია. ამიტომ სრულად ბუნებრივია, რომ ქართველი საზოგადოება ყოველთვის განსაკუთრებულ
ყურადღებას იჩინდა და იჩინს საერთოდ აფხაზური კულტურისა და მწერლობის, უპირველეს ყოვლისა, კი
გამოჩენილი აფხაზი მწერლის, 2012 წლის ნობელის პრემიის ლაურეატობის კანდიდატის, ფაზილ ისკანდე-
რის მხატვრული შემოქმედებისადმი.

ცნობილი რომანის „თხაჯიხას“ გამოქვეყნების შემდეგ ფაზილ ისკანდერი თვალში არ მოუვიდათ
აფხაზეთის იმჟამინდელ ხელისუფალთ. როცა იძულებული გახდა, სოხუმი დაეტოვებინა, საცხოვრებლად
მოსკოვს გადავიდა და მისი გვარი არალეგალური გამოიცემა „მეტროპოლის“ ფურცლებზე ევგენი ევტუშენ-
კოს, ანდრე ვოზნესენსკის, ბულატ ოკუჯავას, რობერტ როშდესტვენსკის, ბელა ახმადულინას, იური მორ-
იცისა და სხვა, დისიდენტურად განწყობილ მოღვაწეთა გვერდით აღმოჩნდა, მას უკვე აღარც საკავშირო
სუკი წყალობდა.

ამან კიდევ უფრო გაამძაფრა მკითხველთა ინტერესი ისედაც პოპულარული მწერლის შემოქმედები-
სადმი. ამის გამოხატულება იყო თუნდაც ის, რომ 1967 წელს „ლიტერატურნაია გაზეტას“ მიერ ჩატარებუ-
ლი ტრადიციული გამოკითხვისას მკითხველებმა წლის საუკეთესო მოთხოვანი ისკანდერის „ხელჩინება“
დაასახელეს.

მოთხოვანა ძალიან მომენტონა, სულმოუთემელად ვთარგმნე და ნარვუდგინე გამომცემლობა „ნა-
კადულს“, რომელსაც იმსანად კონსტანტინე ლორთქიფანიძე ედგა სათავეში. თარგმანი მომინონეს და მთხ-
ოვეს, მწერლის ფოტოსურათი მიმენოდებინა. 1968 წლის 27 იანვარს წერილით მივმართე ბატონ ფაზილს,
ვაცნობე, რომ ვთარგმნე მისი მოთხოვანა და ფოტოსურათი იყო საჭირო.

მწერლის პასუხმა არ დააყოვნა — წერილი რაღაც ორ კვირაში, 1968 წლის 11 თებერვალს მომივიდა,
მოთხოვანის თარგმნისთვის დიდი მაღლობა გადამიხადა და სურათიც გამომიგზავნა, თან მებოდიშებოდა,
ფოტო ვერაა მაინცდამაინც ხეირიანი, სხვა კი ხელთ არ აღმომაჩნდაო.

წიგნი მალე დაისტამპა და „ერთი მოთხოვანის“ სერიით მასობრივი ტირაჟით გამოიცა. ცხადია, წიგნის
რამდენიმე ეგზემპლარი მწერალს ბანდეროლით გავუგზავნე, თან ვატყობინებდი, რომ დავასრულე თარგმ-
ნა მისი მეორე მოთხოვანისა „ჩემი ყოვლად წესიერი ბიძა“.

პასუხად ვრცელი წერილი მომივიდა, რომლიდანაც მხოლოდ ორიოდე წინადადებას მოვიყვან:

„ქვირფასო გიზო!

უღრმესი მადლობა წიგნისა და ორივე მოთხოვანის თარგმნისათვის. ვმუშაობ ახალ რომანზე — „ჩეგე-
მელი სანდრო“, რომელიც საკმაოდ მძიმე ტვირთი გამოდგა და არ ვიცი, როდის მოვრჩები...

იმედს ვიტოვებ, პირველივე შესაძლო შემთხვევაში მოსკოვში ან თბილისში შევხდებით ერთმანეთს.
ჩემი ტელეფონია 1510016. ფაზილი“.

ასე გაიბა და კარგა ხანსაც გასტანა ჩვენმა მიმოწერამ. მოგვიანებით, აფხაზ მწერალთან სატელე-
ვიზით გადაცემის მოსამზადებლად მოსკოვს მიგვავლინეს მე და რეჟისორი უშანგი კაპანაძე. გადაცემის
მონაცილეობდნენ ევგენი ევტუშენკო, ალექსანდრე ებანოიძე და ქართული ლიტერატურის სექციის თავმ-
ჯდომარე, პოეტი ხუტა გაგუა.

ხაზგაშმით უნდა ითქვას, რომ ფაზილ ისკანდერისათვის არასდროს ყოფილა უცხო ქართული კულტუ-

რეა
№6, 2023





ფაზილ ისპანდერის პირადი ნორილები

მოსკოვი

11.02.68

ძვირფასო გიზო გრიგოლის ძევ!

დიდი მადლობა თარგმანისათვის! ძალიან მოხარული ვიქენები, ვიხილო თქვენ მიერ თარგმნილი ჩემი მოთხრობა ერთი მოთხრობის სერიაში.

უახლოეს თვეებში ვფიქრობ, ვიმუშაო დიდ მოთხრობაზე, რომელიც „ნოვი მირ“-ში დაიბეჭდება. გარდა ამისა, ვწერ მოთხრობებს და უფრო იშვიათად — ლექსებს. აი ასეთია ჩემი შემოქმედებითი საქმეები.

ფოტო ვერაა კარგი, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა არ აღმომაჩნდა. მაგრად გართმევთ ხელს.

ფაზილი

მოსკოვი

17.10.73

ძვირფასო გიზო!

მართალი გითხრათ, მრცხვენია, რომ ასე დაგიგვინეთ პასუხი, მაგრამ აი რა მოხდა. წავედი მწერლების წიგნის ფარდულში, რომ მეშოვა ეს წიგნი — „იძიებენ ჩეკისტები“, მაგრამ იქ ამ წიგნის შესახებ არაფერი იციან, მე გადავწყვიტე ორიოდე კვირა დაულოდებოდი და მერე ისევ მიმეკითხა. მაგრამ შემდეგ მივლინებაში წავედი და დრომაც ასე შეუმრნევლად გაირბინა. სხვა მაღაზიებში ის მე არ შემხვედრია, თუმცა ყოველთვის ვეკითხები, როცა შევივლი ხოლმე. ალბათ, ამგვარ წიგნებს სწრაფად იტაცებენ, პირადად მე, როგორც თქვენც, დეტექტივებს თთქმის არ ვკითხულობ. იქნებ, თქვენ გჭირდებათ რომელიმე სხვა წიგნი. მომწერთ. შევეცდები, ვიშოვო. მაგრად გართმევთ ხელს, თქვენი

ფაზილი

მოსკოვი

05.11.84

ძვირფასო გიზო!

დიდი მადლობა წიგნისათვის და ორივე მოთხრობის თარგმანისათვის. ახლა მე, შეძლებისდაგვარად, ვცდილობ არ მივეცე სასონარკეთას, თუმცა ეს ყოველთვის არ გამომდის, და ვმუშაო „ჩეგიმელ სანდრო“-ზე. კაი მოზრდილა რალაც გამოდის და არ ვიცი, როდის დავამთავრებ, უკეთეს შემთხვევაში — შუა ზახულში.

თქვენდამი დიდი თხოვნა მაქს. რა იცით ცნობილ ძმებ ლალიძეებზე და მათ ლიმონათზე? მე რალაც მსმენია მათი კონფლიქტის შესახებ ხელისუფლებასთან, რადგანაც არ სურდათ გადაეცათ სახელმწიფო-სათვის თავიანთი ლიმონათის საიდუმლო. მგონი, ერთ-ერთი ძმა საცხოვრებლად აფხაზეთში გადავიდა. ვგრძნობ, რომ ეს ისტორია თავის სულისკვეთებით ძალიან ახლოა იმასთან, რასაც ახლა ვწერ და მინდა, რაიმე წახნაგით დავუკავშირო ჩემი გმირს ცხოვრებასა და თავგადასავლებს.

იცით თუ არა რაიმე ძმები ლალიძეების ბედის შესახებ და შეგიძლიათ თუ არა, მიუთითოთ წყარო, საიდანაც შეიძლება ამ ცნობების მიღება?

წინასწარ გიხდით ბოდიშს ამ თხოვნისათვის, მაგრამ სწორედ ახლა დამებადა ასეთი სურვილი. რა თქმა უნდა, ეს სავალდებულო არაა. მაგრად გართმევთ ხელს. იმედი მაქს, რომ პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში შევხვდებით მოსკოვში ან თბილისში. ჩემი ტელეფონია: 151-00-16.

ფაზილი



ძვირფასო გიზო!

შევეცდები, როგორც შენ მწერ, იუმორით ვუპასუხო შენ კითხვებს, თუ გამომივა. შენ მეკითხები კინოსცენარის ბედის შესახებ, რომელიც დაწერილია მოთხოვობა „ხელჩინება“-ს მიხედვით. ჩემი დაწერილი სცენარი კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ უარყო. შეეცადე დაინახო ამ პასუხში ღრმად დაფარული იუმორი. თუ დაინახავ, გამიზიარე და ერთად ვიცინოთ.

საქართველოს ტელევიზიის მიერ დასმულ კითხვაზე თუ როგორ მწერლებს მივაკუთვნებ საკუთარ თავს — ქალაქებს თუ სოფლისას, მე ოდესადაც ვუპასუხე: დაბისას. ამ ხუმრობით მე მაშინ მინდოდა ხაზი გამესვა ლიტერატურის ასეთნაირად დაყოფის უაზრობისათვის, რაც ახლა საკმაოდ მიღებულია ჩვენ კრიტიკაში.

ჩემი ლიტერატურული კრედიტ? ყველაზე ზუსტად მას გამოხატავს პუშკინი „ევგენი ონეგინში“ მისი უსასრულო ლირიული წიაღსვლებით. შინაგანი თავისუფლების ბედნიერება, შინაგანი თავისუფლების სილამაზე, მეითხველისადმი ძმური ნდობის ატმოსფერო. პუშკინი თითქოს ამბობს: „თქვენ ხედავთ, რომ მე ვამბობ ყველაფერს, რაც მინდა, მაგრამ, თურმე, ყველაფერი, რაც მე მინდა, ეს იგივეა, რაც თქვენც გნდომიათ! პუშკინის მუდმივი კონტაქტი აქვს მეითხველთან, თვალს უპაჭუნებს, ულიმის მას, მიანიშნებს გარემოებებს, რომლებიც ერთნაირად გასაგებია მისთვისაც და მკითხველისთვისაც. ტალანტი — ესაა კონტაქტური წერტილების რაოდენობა ლიტერატურული ფართის ერთეულზე. (ხაზი ჩვენია. მთარგ.) „ევგენი ინეგინის“ პუშკინი ყველაზე მაღალი ნიმუშია და ვცდილობ მივუსადაგო იგი საკუთარ პროზას.

ჩემი ბიოგრაფიის შესახებ. დავიბადე სოხუმში, სადაც ვიზრდებოდი და ვსწავლობდი. თითქმის ყოველ ზაფხულს ვატარებდი მთაში, ჩემი ბაბუის სახლში. იქ გატარებული ბავშვობის შთაბეჭდილებები საფუძვლად დაედო ეპოსს, „ჩეგემელი სანდრო“. წარმოშობით აფაზი ვარ.

ქართულ ლიტერატურას ვიცნობ, მაგრამ, სამწუხაროდ, არასაკმარისად. სკოლაში ერთხანად მქონდა მეტსახელი — ლუარსაბ თათქარიძე, ვითომდა გამოუსწორებელი სიზარმაცის გამო, რასაც მე ბეჯითად ვიფერებდი. ეს აღნერილი მაქვს მოთხოვობაში „დასაცეისი“. კლასიკოსებიდან ყველაზე მეტად მომწონს ნიკოლოზ ბარათაშვილი, ქართველი ლერმონტოვი. თანამედროვეებიდან — ჭაბუა ამირეჯიბი.

როგორ მთარგმნიან? ვერ დავიჩივლებ. ჩემი წიგნები მრავალ ქვეყანაში გამოიცა — იაპონიიდან დაწყებული ამერიკამდე.

კარგი წერტილებიც არ ყოფილა ცოტა ჩემ შესახებ. პირველ რიგში დავასახელებდი სტანისლავ რასადინის სტატიებს.

დაწერილიდან ჩემთვის ყველაზე ახლობელია დიდი ეპიკური რომანი „ჩეგემელი სანდრო“. წელს ვაპირებ მის დამთავრებას. ესაა რომანი აფხაზეთზე საუკუნის დასაწყისიდნ დღევანდლამდე. ძალიან დიდი ტილოა. მასში ჩავდე მთელი ჩემი სულიერი გამოცდილება. ეს-ესაა „სოვეტსკი პისატელმა“ გამოსცა ჩემი წიგნი „ჩიკის დაცვა“. მასში ცალკეული ნოველების სახით შევიდა რამდენიმე თავი „სანდრო“-დან.

რატომ გადავედი პოეზიიდან პროზაში? იმიტომ, რომ პროზა პოეზიას გამოხატავს ყველაზე სუფთა, პირდაპირი სახით. დროდადრო ლექსებსაც ვწერ. პოეზიის გარეშე ხელოვნება არ არსებობს. მე ასე მესმის.

აი, ძვირფასო გიზო, ყველაფერი, რაც მინდოდა მეპასუხა შენთვის. საშასგან (ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ის მთავარი რედაქტორი. — გ.ზ.) გავიგე, რომ შენ მიერ თარგმნილი წიგნი გამოდის. მადლობა მცდელობისა და თავდადებისათვის. არ დაგავიწყდეს ეგზემპლარის გამოგზავნა. მე მთელი ზაფხულის განმავლობაში მოვეწყვე აპრამცევოში. სააგარაკო დაბაა. თუ შემოდგომაზე ან ზამთარში მოსკოვში მოხვდე — დამირეკე. ძმურად გხევევი.

ფაზილი

**ფაზილ ისაკანდერი****უგადური დამნაშავე**

ძვირფასო სტუმრებო, რა შემიძლია მოგიყვეთ ამ შემთხვევასთან დაკავშირებით? ვერაფერსაც ვერ მოგიყვებით სახეიროს. მატარებლის ბორბლებში ჩავარდნილი პიონერი რომელ გადამერჩინა ან აქვთითებული მშობლებისათვის გატაცებული ქალიშვილი ხელუხლებლად დამებრუნებინა, იცოცხლე, გმირობად ჩამეთვლებოდა, ხოლო ამ შემთხვევამ, გმირობას არადა, უბედურებას ნამდვილად გადამეიდა.

ხუთი-ექვსი წლის წინანდელი ამბავია. ჯერ

კიდევ ახალბედა, გამოუცდელ თანამშრომლად ვითვლებოდი რკინიგზის მილიციაში. იმ დღეს ერთი ვაგონი კარტოფილი ჩამოდგა უკრაინიდან. ავწონეთ და რას ვხედავთ! ზედნადებთან შედარებით, მთელი სამასი კილოგრამი აკლია!

მირეკავენ კიდევაც და ამ ფაქტს მატყობინებენ. მოვიყნოსე — კი, ნამდვილად მიტაცების სუნიტრიალებს.

— კარტოფილი რა უყავი-მეთქი, — ვეკითხ-





ები გამყოლს, რომელსაც შემდგომ „დამნაშავედ“ მოვიხსენიებ ხოლმე.

— მივაყიდეო, — მომიგებს ყოვლად თავხედურად და დაუფარავად.

— რას ქვია, მიაყიდე! სახელმწიფო კარტოფილი, რა, მამაშენის ქონება გეგონა?

დუშა. არ აპირებს პასუხს. ვუსინჯვავ საბუთებს — ყველაფერი რიგზეა. ეგანა მხოლოდ, რომ ექვსით თვის უკან გამოსულა ციხიდან. გატებობია რაღა! ერთხელ იჯდა, ახლა მეორედაც დაჯდება. დიდი ამბავი! ასეთი ტიპი კი ჩვენებურად, რეკინიგზის მილიცის ენაზე, რეციდივისტია, ყველაფერზე რომ აწერს ხელს. ასეთ, უკაცრაული პასუხია და, ადამიანს, კარტოფილი კი არა, თივა რა არი, თივაც არ უნდა ანდოს კაცმა. ასეთი თივასაც მიაყიდის ან, სხვა თუ ვერაფერი მოუხერხა, ხანდარს მაინც გაუჩენს. იმ პირველად ენდნენ, ალბათ, და გამოუშვეს; გეხსომებათ, კამპანია იყო ასეთი: ნდობა ყოფილ დამნაშავეებს შემდგომი გამოსწორების მიზნით!

მაგრამ, ჩემო ძვირფასო სტუმრებო, გულზე ხელი დავიდოთ და, ნაწილობრივ, ეს კამპანია მცდარი გახლდათ. მაგალითად, თუ ადამიანს გამოსწორება სურს, თავად გამოსწორდება. მაგრამ შეიძლება, არც გამოსწორდეს. ხოლო, თუ ადამიანს გამოსწორება არ სწადია, თავის დლეში არ გამოსწორდება!

იმ ჩემ დამნაშავეს, ვერ გეტყვით, რისი იმედი ჰქონდა. იქნებ ასეც ეგონა, ამ პატარა სადგურზე სასწორი არ ექნებათ; ან თუ ექნათ, მწონავს რუსული ნალდად არ ეცოდინებათ. ასე თუ ეგონა, ძალიანაც შემცდარა, რადგან წერა-კითხვის მცოდნე კადრიც გაგვაჩინია და, სხვათა შორის, სასწორი, სატირო სადგურებში კი არადა, ნებისმიერ ჩაის პლანტაციაში უდგათ, რადგან ყოველ მერეფავ ქალს სურს, იცოდეს, რამდენი ჩაი ჩააბარა იმ დღეს სახელმწიფოს, საბოლოოდ კი — რამდენი გამოიმუშავა.

ერთი სიტყვით, მოწმეების თანდასწრებით ჩამოვართვი საბუთები, ფული, რომელმაც მაშინდელი კურსის მიხედვით ათას რვაასი მანეთი შეადგინა და ვეუბნები, გამომყე-მეთქი. წამომყავა.

სინამდვილეში, მე ოდნავ უკან მივყვები და ფული ხელში მაქვს ჩაბლუჯული. რა ჯახნაბად მინდა ჯიბები სახელმწიფო ფულები, კომენდატურა აქვე, გვერდზეა-მეთქი, გავითიქრე. იქ, ჩვენთან, ყველაფერი გვერდითა გვაქვს, რეკინიგზის მილიცია ყოველთვის ამისთან ადგილზეა ხოლმე. მივდივართ. გადავჭრით აგერ ვაგზლის მოედანს და მორჩა, ადგილზე ვიქნებით.

მივუახლოვდით იმ ფარდულს, რომელიც, ბაქანზე თუ გადიხართ — მარჯვნივაა, ხოლო, თუ ბაქანი



ფაზილ ისპანძერი

დან გამოდიხართ, მარცხნივ იქნება, და დამნაშავემ ანაზღაურად ფეხი მიადგა. ასწია თავი და მეუბნება:

— შეიძლება, წყალი დავლიო? მივიხედ-მოვიხედე, კაციშვილი არაა. ერთი მხრივ, ვეცდები, წესდებას რომ ვარღვევ, მაგრამ, მეორე მხრივ, ალმური ასდის მთელ ვაგზალს და შემეცოდა ის მუდრები. დამნაშავე კია, მარა, ადამიანია მანც, ციხეში რომ შეავდებენ, სიროვან წყალს კი არა, უბრალო, გაზიანსაც არ დაალევინებენ-მეთქი.

— კია, დალიე, მიდი.

ფული კი, სხვათა შორის, არა აქვს. საიდან ექნება, მისი ფულები აგერ მაქვს ხელში მოჭმუჭნული, მაგრამ სახელმწიფო ფულს კაპიკსაც ვერ მოვაკლებ, რასაკვირველია. ამოვილე საკუთარი ჯიბიდან ხურდა და ვეუბნები:

— დალიე, სანამ ვინმე გამოჩნდებოდეს.

დავდე ხურდა დახლზე და რამდენიმე ნაბიჯით გვერდზე გავდექი. დახლში ერთი მობუზული მამაკაცი იდგა. პაპანაქება გახლდათ და არც ვაჭრობა დაულდა მაინცდამაინც. ამიტომ ისე დაბუტა რულმორეული თვალები, ეტყობოდა, ძლივს არჩევდა საგნებს. იქ ასეა, მატარებელი რომ ჩამოდგება, გიყვარდეს ვაჭრობა! დანარჩენ დროს კი ზის უსაქმურად, ცალი თვალით ბუზებს უდარაჯებს, ცალი კი მილულული აქვს. ამასობაში დაუსხა იმ ძილვიძიარამ სიროვანი წყალი და ესეც ყლურნას გემოიანად. წყალი მეც მომინდა, მაგრამ რა ვქნა, უნდა მოვითმინო. ისედაც ვარღვევ წესდებას და, კაი ბიჭი ხარ, დამნაშავესთან დალევ! შეიძლება, ძვირად დამიჯდეს და იმიტომ.

— ვახტანგ, ძვირფასო, — მეუბნება ამ დროს ის თვალებდაბუტილი, — ძმასავით გთხოვ, მიმიდებნე დარაჯეს თვალი — ღამდამობით სძინავს თუ დვიძაეს?

— რა თვალის დევნება უნდა, ისედაც ვიცი: კარგ ამინდში სძინავს, ცუდში — არა.

— რაზე ნეტა დამოკიდებული? — მეკითხება გაკვირვებული.

— რაზე და თავშესაფარზე. თუ კარგად შეაფარა თავი, ავდარშიც სძინავს.

ამ ლაპარაქში რომ ვართ, ვხედავ, ჩემი დამნაშავე რაღაც ჩაფიქრიანდა: ჩვენი მუსაიფი არ ეპიტანვა თუ გუშაგისა შეშურდა, დღემდე ვერ მივმხდარვარ. ვატყობ, ჩაფიქრებულია და მეტი არაფერი. რა ვიცოდი მე ბოთებმ, რომ, დამნაშავე როდესაც ფიქრებშია წასული, მაშასადმე ახალი დანაშაულის გეგმას ადგენს.

და აი დალია წყალი და ჭიქა დახლზე დადო. გამყიდველი ჭიქას სწვდა და ოდნავ შეპრუნდა მხარცულნივ. კაცმა რომ თქვას, სარეცხელსაც უკულმართად დაგამენ. მე რომ მკითხონ, პირდაპირ დახლ-





ზე, ცხვირწინ უნდა ედგეს, რომ ვერაფერი ააწაპნონ. აგერ არ გეტყვით? როგორც კი გამყიდველი ზურგით შებრუნდა, ებდლვნა ის შობელძაღლი დახლზე დადებულ დანას და პირდაპირ ჩემზე აიღო გეზი! მოდის, მაგრამ აღარ იყითხავთ როგორ? გარეული ტახი რომ გინახავთ, ისეა დაძაგრული. იმ-სიგრძე დანით, ქეხვსა და ჰალვას რომ ჭრიან, კაცის დაჭრაც არაა ძნელი.

აუჲ, შენი... მე აგერ სიროფიანი წყლით გიმასპინძლდები, საკუთარი ფულით ვარღვევ წეს-დებას და შენ დაკვლას მიპირებ?! მერე, შენ მირჩენ შვილებს, არა?

ხედავთ, ძვირფასო სტუმრებო? კაცს სიკეთე ვუყავი, ადამიანურობა გამოვიჩინე და ჩემივე სიკეთე არ მლუპავს?!

დავითი ნაბიჯით უკან. გაგიგონიათ? მოდის, მასწორებს. კიდევ წავდგი ნაბიჯი უკან — მოდის პირდაპირ. ეს ოხერი ფულიც ხელში მაქს და ხელს მიშლის. გადაყარე რა! თავს უშველე რა! არ შემი-ძლია, მთავრობის ფულია, ჩემი ხომ არ არის?!

ამასობაში კედელს მივეკარი ზურგით. ახლა რაღას შევბი! ბაქანი ვაგზლის მოედანს სწორედ ამ კედლით ესაზღვრება. ხანდახან ამ კედელს ბალუსტრადასაც ეძახიან. არ ვიცი კი — რატომ, არავი-თარი რიკულები არ გააჩნია და მაინც ეძახიან.

ძლივს მოვასწარი, დავაძრე რევოლვერი და სწორედ ამ დროს მხია დანა. ხომ არ გონიათ, უბრალოდ მომიქნია? რაც ძალი და ღონე პქონდა, გამომიქანა. თუმცა, როგორც ჩვენში იტყვიან, არც მე ვმდგარვარ პირდაპირილი — წამის უსწრაფესად გავდგი ნაბიჯი გვერდით, თორემ, დედას გეფიცებით, ჩემი ორი შეილი მომიკვდეს, ისე აძგერა დანა კედელს, ნაპერნ კლები დასცვივდა. გატეხილიყო მაინც ის პატრონსაკვდაც!..

რევოლვერი უკვე ხელთა მაქს, მაგრამ ჩახმახის შეუწება არ გინდა? ფული მიშლის ხელს. გადა-ყარე რა! თავს უშველე რა! ვერ ველევი. ჩემი ხო არაა, მთავრობისა! ისე, რომ იცოდეთ, ცველანაირი უბედურების სათავე ფულია. ეს უმადური კიდევ, დამნაშავეზე ვამბობ, არ მეშვება. როგორც იქნა, პა-ტივცემულო სტუმრებო, რევოლვერი ცალი ხელით ბარძავზე მივიპჯინე, მეორეთი ძლივძლივობით გადმოვწიე ჩახმახი და, როგორც კი გავსწორდი, დანა ცხვირწინ ალმოჩნდა; თან მყრალი, თვითნახა-დი არყით გაუღლენთილი. სუნთქვა მესმის, რომლის მსგავსაც, იმედია, ჩემ სუფრაზე ვერავინ მოესწორება.

ბათქ! ბათქ! ზედ ქოჩის თავზე გადაუფრინა ტყვიებმა ისე, რომ თმა გადაუნენა. მაინც არ ჩერ-დება შობელძაღლი! ჩანს, გადაწყვიტა: თან რომ გა-დავყვე, ერთ მილიციონერს მაინც წავიძლვანიებო.

მილიციონერი კი რა შუაშია, ძვირფასო სტუ-რებო! კაცი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს თავისთვის და, ჯერ ერთი, თუ პატიოსანი ხარ, უნდა დაემორჩილო, მერე მეორეც, პატიოსანი თუ ხარ, მილიციონერი რაღად გიდგია მცველად?!

რაღა უნდა მექნა? ავიღე და მესამე ტყვია პირდაპირ ვახალე, თან რევოლვერის ტარიც ვკარი გულგვამში. წაიქცა. თქვენ ღმერთმა გაშოროთ და, თქვენს მტერს, ის რომ წაიქცა!

მე კი ისეთი შეგრძნება მაქსს, თითქოს ჩვენი სოფლიდან რკინიგზის სადგურამდე მთელი გზა ურემში ვყოფილიყო შებმული... ჩემო ქირფასო სტუმრებო, კაცის მოკვლაზე საშინელი არაფერი ყოფილა, თუ, რასაკვირველია, ადამიანი ხარ და არა — ღორი.

სულის მოთქმაც ძლივს მოვასწარი, ხალხი გარს შემოგვერტყა. უმეტესად ჩამოსულები. რა მე-სმის! სწორედ ის არამზადები მაყენებენ შეურაცხყ-ოფას: თან ადამიანი მოკლაო, თან ფულიც აართვაო და, რა ვიცი, რა გესლს არ მანთხევენ! ეროვნული ლირსებაც კი შემიგინეს. თავისი ჭკუით, ისე გამო-ჰყავთ, თითქოს ასეთი რამ მარტო სამხრეთ კავკა-სის შავიზღვისპირეთში შეიძლება მოხდეს და ცენ-ტრალურ შავმიწიან ზონაში — არაფრისდიდებით! ერთი სული მექონდა მეკითხა: კი მაგრამ, ეს დამ-ნაშავე ჩვენს ლობიოზეა გაზრდილი თუ თქვენს კარტოფილზე-მეთქი, მაგრამ მთლად გამოვლენჩ-დი. ხმაურზე ჩვენი ბიჭებიც გამოჩნდენ და მომეხ-მარნენ. მოგრიალდა „სასწრაფოც“, შეაწვინეს შიგ დამნაშავე და გააქანეს; ჩვენ კი დამნაშავის გარეშე გაუყენებით კომენდატურისკენ. კიდევ კაი, ის გამყ-იდველი გვერდიდან არ მცილდება და წარამარა გა-ცყვირის:

— ჩემ წინ მოხდა ყველაფერი, ამას ბრალი არ მიუძღვის!



მხატვარი სოფოი ჭელიძე



ჩამოსული არამზადები კი პასუხად ერთხმად ჩხავიან:

— თქვენ ყოველთვის პირი გაქვთ შეკრული, ერთმანეთის ტყავს უფრთხილდებითო!..

რა პირის შეკვრა, რის პირის შეკვრა! ჩემი შვილების სისხლი დავლიო, მე თუ გამყიდველისგან ჭიქა სიროფიანი წყალი მახსოვდეს. გუშაგზე მკითხა იმ ადამიანმა რაღაც, ეგ იყო და ეგ. მეც კიდევ რა, თან გადავყევი? გავეცი ოფიციალური პასუხი და მორჩა!

ისე, ვაგზალს რომ მიუჟახლოვდით, არამზადები ჩამოგვრჩნენ, მეტუფეტე კი შიგ კომენდატურაშიც შემოგვყვა.

— გეყურება შენ? — მიუბრუნდა მას ერთ-ერთი ჩვენი ბიჭებიდან, — ნადი ახლავე და მიაკეტე ის შენი დუქანი, თორე გაგარცვავენ ბიძია და მერე ჩვენ უნდა ვიმტკრიოთ თავი.

— ეშმაკსაც წაულია ფარდული, — მიუგო გამყიდველმა, — მოწმე მარტო მე ვარ, ყველაფერი ჩემ წინ მოხდაო.

ბოლოს ოქმიც შევადგინეთ. მე ვზივარ, ახსნა-განმარტებით ბარათს ვწერ. გამყიდველიც — ასევე. ამასთანავე, განყოფილების უფროსი მოვიდა და, ვითომც არაფერი, რევოლვერი ჩამომართვა.

— დამიბრუნეთ ჩემი დანა! — მოითხოვა გამყიდველმა, — თორემ იმ დამსვენებელ ხალხს თხლად თუ არ დაუჭერი ძეხვი, ისე არ მიირთმევენ, გეგონებათ, ჩემთან არიან სტუმრად ჩამოსულნიო.

— ამ დანის დაბრუნება არაფრით არ შეგვიძლია, იმიტომ რომ ნივთიერ მტკიცებაში გადისო.

— მაშინ სხვა დანა მაინც მომეცით, იმიტომ რომ, ჰალვას კოვზითაც მოვუხერხებ რამეს, ძეხვისა კი რა მოგახსენოთო.

— შე კაი დედმამიშვილო, ჩვენ დანებს კი არ ვაძლევთ ხალხს, არამედ ვართმევთ, რადგან ცივ იარაღად ითვლებაო.

— ჰოდა, მაშინ სულ მიაკეტავ იმ დასაწვავს, მაინც საწყობში ვარ წასასვლელი და, როცა საჭირო შევიქნე, დამიძახეთო.

ერთი სიტყვით, რევოლვერი ჩამომართვეს, მაგრამ მუშაობით, ვმუშაობ. ძეველ საქმებზე მამუშავებენ, მაგრამ ახალ საქმეს არ იძლევიან.

ლმერთმა ჯანი მისცეს და ჩემი უფროსი მეუბნება ხუმრობით:

— იმის წყლით გამასპინძლებას, არ გერჩია, მა-მაშენთან წაგეუვანა სოფელში და ზედაშე მიგერთ-მია, მეორე დღეს კი სალსალამათი დაბრუნდებო-დიო!

— ამხანაგო უფროსო, — ახლა მეც გავეხუმრე, — დამნაშავესა და მუდრეგს რატომ წავუყვნდი მამაჩემს, თუ წაყვნაა, შეილს წავუყვანდი, რომელიც ჩემ თავს ურჩევნია-მეთქი.

— კაი, კაიო, — მომიჭრა, — ვნახოთ, ზემოთ რას იტყვიან, ჯერჯერობით კი იმუშავეო.

სხვათა შორის, დამნაშავეს ორი დღის შემდეგ, სიკვდილის წინ, მოუხედავს და უთქვამს, მილი-

ციონერი არაა დამნაშავე, მე ვარო.

მეხუთე დღეს კაბინეტში ერთი ხანშესული, სახე-ეგატანჯული დედაკაცი შემოვიდა. კი მიყო გულმა რაღაცნაირი რეჩხა, მაგრამ მაინც ვერ ვიაზრე.

— თქვენ მე ქმარი მომიკალითო, — ამოისლუ-კუნა და გულამოსკვნილი ტირილი მორთო.

— დაწყნარდით, ქალბატონო-მეთქი, — ვამშვიდებ, — იმ თქვენი რეციდივისტის გამოისობით მეც შავ დღეში ვარ ჩავარდნილი, მაგრამ მოხდა უბედურება და რაღას გავაწყობთ-მეთქი.

— იმ ჩემ სამ შეილს რაღა ეშველებათ, ობლად რომ მრჩებიან, — შემომტორა.

ამის გაგონებაზე ისე შემზიზლდა საკუთარი თავი, ისე ავენთე, რომ, რევოლვერი რომ მქონოდა და უმვილძირო ვყოფილიყავი, გეფიცებით შეილებს, ვიხლიდი ტყვიას შუბლში და მოვისვენებდი.

— ნუ ინებებთ ტირილს, ქალბატონი, დამშვიდ-დით. რითაც შემეძლება, დაგეხმარებით. ცხედარს ჩემს ხარჯზე გავაგზავნინებ, სასახლესაც ჩემს ხარჯზე შევუკვეთავ და, ფულს კიდევ, რამდენიც შემეძლება, ფულად მოგცემთ-მეთქი. გნებავთ, წაბლის კუბო შევუკვეთოთ, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, უბრალო და იაფა აჯობებს, რადგან ბავშვებისთვის ფული მეტი მოგიწევთ-მეთქი.

— აჯობებს კი არა, უბრალოც არამა მაგა-ზეო, — ტირის ისევ, — მაგისგან ისედაც სიცოცხ-ლე მქონდა გამნარებულიო...

— არა, დედილო, მაპატიეთ და მიცვალებულზე აუგის თქმის ნუ ინებებთ, რაც უნდა იყოს, თქვენი შეილების მამა-მეთქი.

ნელ-ნელა ჩანყნარდა და აქეთ მეც მოვითქვი სული. მოვილაპარაკეთ, როგორც იქნა. ბევრი რო არ გავაგრძელო, კა ხუთი ათასი დამიჯდა ეს საქმე. ჯერ კიდევ მაშინ მქონდა ამ სახლის ასაშენებლად დაგროვილი ორი კაპიკი და წავიდა ალთა!

ამით რომ დამთვრებულიყო ეს საქმე, რა მი-ჭირდა! გრძელდება და მეც სულ ვაგზალზე ვარ დღედაღამ. ისე გამოდის, რომ იქვე ვმუშაობ და იქვე ვცხოვრობ.

აქეთ არი და რევოლვერს არ მიბრუნებენ, იქით არი კიდევ და, მუშაობით მაინც მამუშავებენ.

ერთი მხრივ, კი ბატონო, გვჯერა, დამნაშავემ გაიძელა და ხელში შემოგაკვდა, მარა, სიროფიანი წყლით რას უმასპინძლდებოდი, სიფხიზლე მოა-დუნე და ყოვლად გაუმართლუბელი ლიბერალიზმი გამოამჟღანეო, მეუბნებიან.

ამნაირ ყოფაში რომ ვარ, გამყიდველი მექანის ერთ დღეს, საქმე მაქვსო. მივედი და მეკითხება, სა-სამართლო როდისაა დანიშნულიო. არ ვიცი-მეთქი, ვეუბნები.

— მისმინე, რა გითხრა. მოდი ყველაფერი სხვა-ნაირად შევატრიალოთ.

— სხვანაირად რატომ-მეთქი?

— კაი რაღაც მოვიფიქრეო, — მეუბნება, — ჩვენ ასე ვიტყვით: უეცრად დამნაშავემ წაავლო და-ნას ხელი და სალაროს გაძარცვა დააპირა, რადგან





სწორედ იმ მომენტში ფულს ვითვლიდი-მეთქი. მაგრამ მე, ვითომ, არ დავიჩენი, ვკარი ხელი და სალაროს მოვაშორე. მხოლოდ ამის შემდეგ შემოგიტია ვითომ შენ, რომ რევოლვერი წაერთმია და მეორედ დასცემოდა სალაროს.

— რევოლვერი მე ისედაც ჩამორთმეული მაქვს და ჩემი დარღი მყოფნის, ვერ გამიგია, რას ფანტაზიორობ-მეთქი.

— ისე გამოვა, თითქოს ჩვენ სახელმწიფო ქონების დაცვისას დავზარალდით და გაზეთშიაც გამოვციმავენო.

— მე მართლაც დავზარალდი და დამნაშავე ხომ დაზარალდა და დაზარალდა, მარა, შენ რა გეზარალა? დანას თუ გულისხმობ, სხვას გიშოვნი-მეთქი.

— დანას მე არ ვეულისხმობ, მარა, მაინც მოდი, ყველაფერი შევატრიალოთო.

— თუ კაცი ხარ, რაც მე ცხოვრება შევიტრიალე, ისიც მეყოფა, ახლა ხელმეორედ შევატრიალორა, ცირკში ვართ და სალტო-მორტალეს ვასრულებ-მეთქი!?

— ცირკში არა ვართ, მარა, ინტერესი გამიჩნდა ასეთი — ყველაფრის სხვანაირად შეტრიალება მინდაო.

გავშორდი, მაგრამ სულ გამიფუჭდა გუნება-განწყობილება. ყოველდღე ინსპექტორის ლოდინში ვარ, რომელმაც ჩემი საქმე უნდა გაარჩიოს. გავიხედე და ამ ჩერჩეტსაც გამოუძახოს, ხომ სულ ჩამიგდონ კოვზი ნაცრში. ჩვენში რომ იტყვიან — გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო, ისეა, რაღაც ერთადერთი მოწმე მყავს და ისიც ფანტაზიორი...

მოვესნარი ინსპექტორის ჩამოსულასაც. რომელი ქალაქიდან გვეხსლა, ზუსტად ვერ გეტყვით; გეტყვით მხოლოდ, რომ „თანი“ ურევია სახელში: იქნებ ფოთიდან, იქნებ თელავიდან, იქნებ თბილისიდან.

ისეთი წარმოსადეგი, სოლიდური შესახედაობის კაცი იყო, რომ თქვენგან მოწონებული; შევიდა ჩემს უფროსთან. მე კი ვზივარ და ველოდები, როდის დამიძახებენ. ბოლოს კარი გაიღო, გამოვიდა ინსპექტორი და პირდაპირ მე მომასწორა. წამოვტერდი. (კუთხეურად შეგნებულად ვთარგმნი ამ ზმას. მთარგმ).

— ეს შენა ხარ, ბიჭო, გმირი? — მეეთხება.

— უნებლივ გმირი ვარ, ამხანაგო უფროსო-თქვა, — მივუგე.

— მეორედ რომ მოგიწევს დამნაშავის გამყოლობა, „ბორჯომი“ იგულე ჯიბეში.

— როგორ შეიძლება, ამხანაგო უფროსო?! — გავიკირვე.

— კი, კი, „ბორჯომი“ იქნიე, მაგრამ ჭიქა ქალალდისა გირჩევნია, თორემ მინის ჭიქას გრეხვას მაგ გოგრაში და შუაზე გაგიპობსო.

ვხვდები, ხუმრობით რომ მელაპარაკება. უფროსი თუ ხუმრობით გელაპარაკება, შენც ხუმრობით უნდა ელაპარაკო. ასეა წესი.

— სხვა დროს, ამხანაგო უფროსო, „ბორჯომის“ კი არა, ხელყუმბარას ვიგულებ ჯიბეში.

— აჲ, ხელყუმბარა ნამეტანია, მაგრამ სიფხიზლე არ უნდა მოადუნო.

— ამხანაგო უფროსო, გაგეგონებათ, ერთი ალილუა მღვდელსაც შეეშლებაო, მაგრამ... ჩემი შვილების ბედი ახლა თქვენს ხელთაა, უფროსო!

— ეგ არაფერი, დახმარებით დაგეხმარებით, მაგრამ, — მიცინის, — ისიც იცოდე, ჩალის ფასად ვერ გადარჩებიო. ვითომ ვხუმრობო და სიტყვა ქე გადმომქრა. რომ იცოდეთ, მე მეუხერხულა მის მაგირ, რადგან ჩვენმა ბიჭებმაც გაიგონეს, მაგრამ უმალ ისეთი ლამაზი ფინტი ჩავუტარე, რომ მისი ლირსება ნამდვილად ვიხსენი.

— ამხანაგო უფროსო, თქვენ სპეციალურად ჩამობრძანდით ჩემი პირადი საქმისათვის, ოჯახ-საც მოსცლით, მგზავრობაშიც დაიხარჯეთ... ნუთუ ჩვენც ვერ მოვისაზრებო იმდენს, რომ სიკეთეს სიკეთით ვუპასუხოთ?! ან სულაც ჩვენებური სტუმართ-მოყვარეობა ვერ გამოვამჟღავნოთ?!


მომითათუნა მხარზე ხელი და წავიდა. რაღა ბევრი იმაგსქნა — ეს საქმე კაკალივით ორიათასი დამიჯდა მაშინდელ ფულზე. ახლა ამას დაუმატეთ სამასმანეთანი სუფრა რესტორანში (კიდევ კაი, ლვინო მამაჩემისგან ჩამოვიტანე). გავთავდი კაცი. რაიო? აილონ? აილონ რომელია, ისე არხენად გამომართვა, თითქოს მამაჩემს მამამისისგან ესესხოს ასი წლის წინათ, მაგრამ შაქრად შეარგოს! შველით კი მიშველა და... ვმუშაობ მის მერე ჩემთვის მშვიდად და ვარ. ისე, ამ ხლაფორთს რომ არ გადავყროდი, ამ სახლსაც ადრე ავაშენებდი და ჩვენც კაი სინის წინათ შემოვუსებდებოდით ამ ჩვენს პატარა, ლარიბულ, მაგრამ გულითად სუფრას.

ასე რომ, ჩემო უძევირფასესო სტუმრებო, არავითარი გმირობა მე არ ჩამიდენია, რადგან, ამქევყნად, კაცის მოკვლაზე უფრო საზიზლობა არაფერია. მთელი ნახევარი წელინადი ჭკუაზე არ ვიყავი ნერვებისგან.

მოდით, მეგობრებო და, მშვიდობას გაუმარჯოს მთელ მსოფლიოში, რომ არავის აღარავინ გაემტებინოს მოსაკლავად! შვილებს გაუმარჯოთ ჩვენსას! მილიკიის მუშაკებსა და მოსახლეობას შორის ურთიერთგაგებას გაუმარჯოს, ჩემო სტუმრებო! ყველასთან ვარ ალავერდი!

რაც შეეხება საცხა-საცხეიდან ჩამოთრეულ არამზადებს, ჩაუქერლად რომ ცხოვრობენ ჩვენს ქალაქში, სათითაოდ მივაბრძანებთ თავთავიანთ საცხოვრებელ ადგილას, ხოლო ჩვენს დაუდევარ გამქირავებლებს — დავაჯარიმებთ. აი ასე!

**რუსულიდან თარგმნა
გიზო ზარნაძე**



ნონი დარბაისელი სტრინი

62



მარტინ გალაკტიონი

და მართლაც, იმისათვის რომ იყო პოეტი, აუქტილერელია, სურ დაიმარჯო პოეტიდა, მაგრამ ესერ არ კმარა, საჭიროა, პოეტიდა დამადებული განიხილოთ კიფერ პოეტიდა. ასუ იქნი იმადა, რადაც დაიმარჯო.

მთავარი კი მარჯ ის არის, რომ მოლომზე გაძლიო პოეტიდა!

გალაკტიონმა გაძლიო!

ნ. დარბაისელი

პიოგრაფია ანუ მანეილი პოეტად დაგადებიდან – პოეტად ეცევამდე

(გალაკტიონოლოგიური ოპუსები)



ამ ბოლო დროს რაღაცნაირად ამეცვიატა ფიქრი ვ. ხოდასევიჩის წიგნზე ნეკროპოლისი.

ამ მემუარულ წიგნში რუს სიმბოლისტთა შესახებ მას ნათქვამი აქვს: „ზოგმა მათგანმა ირჩია სიმბოლისტი ყოფილიყო პოეზიაში, ზოგმა პირიქით, გადაწყვიტა, ეცხოვრა სიმბოლისტად და საბოლოოდ თითოეულ მათგანს სწორედ იმ გზაზე მოუხდა დამარცხება

ბედისწერასთან, რომელსაც თავად დაადგა.“
ნალვლიანი სიტყვებია!

მე კი ფიქრს განვაგრძობ: რა დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს პოეტი-ავტორის ბიოგრაფიასა და მის შემოქმედებას შორის?

მომიწევს აქ გარკვეულ თეორიულ გამარტივებაზე წასვლა!

თუ მაგალითად სიმბოლიზმის ისტორიას ავიღებთ, გამოჩენდება, რომ თითოეული პოეტის ბიოგრაფია აქ მართლაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ოღონდეს ბიოგრაფია სახე-სიმბოლოებად ტრანსფორმირებული, გარდაქმნილია წანარმოებში.

პოეზიას, მეტადრე ლირიკას ხომ ისედაც ახასიათებს საკუთარი ცხოვრებისეული თუ მენტალურ-სულიერი გამოცდილების მასალად გამოყენება.

ეს იმდენად ნიშნეული მხარეა პოეზიისა, რომ მკითხველს არცთუ იშვიათად უჭირს, ერთმანეთისგან განასხვაოს ლექსში ავტორისა და აქტორის, ტრადიციული ტერმინოლოგიით, ლირიკული გმირის ინსტანციები.

ქართულ ენაში დაბნეულობის საფუძვლად შეიძლება კიდევ ერთი რამ – გრამატიკული სქესის უქონლობაც ექცეს შემოქმედს.

მაგალითად, როცა გალაკტიონი წერს „მას გახელილი დარჩა თვალებიო“, უცხო ენაზე სქესს მაინც გავიგებდით გარდაცვლილისა, ქართულად კი ინტერპრეტირების ამოცანა გვიორმაგდება. თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა, საკითხს დავუბრუნდეთ!



სიმბოლისტები საკუთარ ცხოვრებას შემოქმედების ნაწილად, მის სფეროდ მიიჩნევდნენ, ამითებდნენ მას და ამ მხრივ, რომანტიკოსთა მემკვიდრეები იყვნენ.

ხომ დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ გალაკტიონის სწავლის დროს თბილისის სასულიერო სემინარიაში მოდაში იყო თვითმკვლელობა სანამლავით, მაგალითად კარბოლიუმის მუავით. ამ საბედისწერო მოდას გალაკტიონი სასწაულებრივად გადაურჩა, თუმცა სცადა კი, აი, მისი კერპი და მეგობარი, დემონი (ქუჩუ ქავთარაძე) ამ შემთხვევიდან ხუთი თვის შემდეგ დაიღუპა. მისი გადარჩენა ვეღარ შესძლეს!

გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ გალაკტიონს უახლოესი სულიერი მეგობარი-პოეტი აღარც ჰყოლია, თუმცა რეალურად, ერთგული მეგობრები არ აკლდა. ორ და მრავალგულა მტრების რიცხვს მათი რაოდენობა ცხადია, ვერ გაუტოლდებოდა. მაგრამ ასე არ არის ზოგადად ცხოვრებაში?

ყველა ჩვენგანს მტერი – გაცილებით მეტი გვყავს. მეგობარი – თან იმგვარი, მთელი ცხოვრება ასეთად რომ დაგრჩება, ფედია ჩუდეცკივით, სულ რამდენიმე გვეძლევა.

მინდოდა ცივი გონებით მემსჯელა პოეტის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ურთიერთმიმართებაზე და მაინც ვერ დავეხსენი ამ სევდიან მოსაგონარს!

ახლიდან ვცდი:

ავტორის ბიოგრაფია მის შემოქმედებასთან ძირითადად სამგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებს:

1. ავტორი ახდენს საკუთარი ცხოვრების სეული გამოცდილების პოეტურ ტრანსფორმაციას, პოეტიზაციას, მის წაკითხვას სიტყვიერი ხელოვნების ენაზე.

(ამ მიმესისურ, ანუ მიპარვით მიდგომაში ცხადია, არ გამოირიცხება გამონაგონის ან გამოცდილების სუბიექტური ინტერპრეტირების როლი).

2. ავტორი ფანტაზის წყალობით ქმნის ახალ მსატვრულ რეალობას, როგორც სინთეზს, სადაც მონაწილეობს მისი ბიოგრაფიული რეალიებიც. თუმცა ამას წარმმართველი როლი არ ეკისრება, ასე ვთქვათ „კადრს მიღ-



ნეო დარპაისელი

მიდან მუშაობს“. წარმმართველი კი პოეტური ფანტაზიაა.

3. ავტორი პრინციპულად გარიდებულია საკუთარი ბიოგრაფიის რაიმე ფორმით დაფიქსირების მცდელობას. იუცხოებს პოეტურ გამონაგონსაც. დისტანცირდება თითქოს არც კი მონაწილეობს საკუთარ პოეტურ ტექსტში (ეს ძალზე უახლოვდება იმას, რასაც ობიექტურ ლირიკას უწოდებენ, თუმცა არ ემთხვევა მას).

შესაძლებელია, ერთი და იგივე ავტორი სხვადასხვა ქმნილებაში სხვადასხვაგვარად ავლენდეს საკუთარი ბიოგრაფიისადმი დამოკიდებულებას. შესაძლოა, სამივე გზას იყენებდეს მონაცვლეობით, შესაძლოა, მხოლოდ ერთს – მუდმივად.

ჩვენს პოეზიაში ამ სამი სახესხვაობიდან დღეს ძირითადად პირველია აქტუალიზებული, განსაკუთრებით უახლეს ახალგაზრდულ პოეზიაში.

მეორე და მესამე შედარებით ძნელი მისალწევია... თუმცა რამდენიმე კარგი მაგალითი მეგულება.

იმედია, ამ ეტიუდის წამკითხავებიც შემომაშველებენ იმ ავტორთა სახელებსა და ნაწარმოებებს, სადაც ბოლო ორი სახესხვაობის მაგალითებია.

რაკი დასაწყისი მინორული გამომივიდა, დასასრულ შევეცდები, რამდენადმე მაჟორული უდერადობა შევურიო:

ბესიკ ხარანაული ერთ ლექსში მიმართავს დედას:

ეს შენ დამბადე მე პოეტად
და რა ძნელია,

იმად იქცე,

რისთვისაც გაჩნდი, რისთვისაც ხარ ამ ქვეყანაზე

და მართლაც, იმისათვის რომ იყო პოეტი, აუცილებელია, ჯერ დაიბადო პოეტად, მაგრამ ესეც არ კმარა, საჭიროა, პოეტად დაბადებული გაიზარდო კიდეც პოეტად. ანუ იქცე იმად, რადაც დაიბადე.

მთავარი კი მაინც ის არის, რომ ბოლომდე გაძლო პოეტად!

გალაკტიონმა გაძლო!

გაძლო თითქმის სამოცდაათი წელი – 1959 წლის ავგვისტი, 17 მარტამდე.

მოდის მცენალთა ახალი თაობა

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულ კახეთიან“ 2004 წლიდან დაარსდა ახალგაზრდა მწერალთა სექცია.

იგი შეიქმნა კახეთის მწერალთა თავკაცის – ბატონ ფარნა რაინას ინიციატივით, – მიზანი გახლდათ ქართული მწერლობის წინსვლა, ახალი, ნიჭიერი ავტორებით შევსება.

პერიოდულად იმართება ახალგაზრდა შემოქმედთა კონკურსები დევიზით: „პოეტების ახალი თაობა“, „ჩვენ მოვდივართ“. გამარჯვებულები, ჯილდოვდებიან: ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს დაბლომებითა და სიკელებით.

დამწყები კალმისნებიდან, ზოგი, უკვე, ჩამოყალიბდა, როგორც მწერალი: გიორგი ელიზბარაშვილი, ალა დათუერებული, მაკა ღარიბაშვილი, ანი რაინაული, მარიამ დედაბრიშვილი, ქეთევან გუგეშვილი, ნათია ბოტკოველი, მიხეილ ხალიჩაშვილი და სხვები, – გამოცემული აქვთ წიგნები...

დიდი ილია ბრძანებდა, რომ მწერლობა ერის წინამდლოლია, ხოლო, აკაკი ასე მიმართავდა ახალგაზრდობას:

„ახალგაზრდებო, ან კი თქვენ, გამოდით, თქვენი ჭირიმე!“

მწერლური შემოქმედება, ხომ, მართლაც, ჩვენი ცხოვრების სარკე და განცდა, ჩვენი ცხოვრების გზამკვლევია.

უპირველეს, ლიტერატურული კონკურსის მი-

ზანია ახალგაზრდა თაობის შემოქმედება დაიხვეწოს, განვითარდეს და მეტი სტიმული მიეცეს, – შემდგომი წინსვლისთვის.

მიმდინარე წლის 21 ნოემბერს თელავის საბავშვო ბიბლიოთეკის დარბაზში გაიმართა ახალგაზრდა კონკურსანტების დაჯილდოება.

უაღრესად საინტერესო და დასამახსოვრებელი სიტყვით მიმართა დამსწრეთ მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარები ბატონმა ფარნა რაინამ, – მწერლის დანიშნულებაზე, შემოქმედების მიზანზე. ამასთან ახალი წინსვლა, წარმატებები უსურვა და გამარჯვებულებს გადასცა დამსახურებული ჯილდოები.

ახალგაზრდა მწერალთა სექციის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ნუნუ ძამუკაშვილმა, ასევე, სიტყვით მიმართა და მიულოცა ლირსშესანიშნავი, საზეიმო დღე.

გამარჯვებულებს საჩუქრად გადაეცათ ჟურნალ „ოლეს“ ის ხომერი, რომელშიც დაბეჭდილია მათი შემოქმედება.

დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ, გაიმართა პოეზიის სალამი და წარმატებულმა კალმისნებმა წაიკითხეს თავიანთი წანარმოებები.

ცუცუ ძამუკაშვილი

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ახალგაზრდა მწერალთა სექციის ხელმძღვანელი



კონკურსში გამარჯვებულისთვის – თათია გოშაძისთვის ჯილდოს გადაცემისას





7 ნოემბერს, თელავში ერეკლე მეორის დაბადებიდან 303 წლის საიუბილეო თარიღი
კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებებით აღინიშნა.

ღონისძიები მეფის სასახლის კარის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიიდან დაიწყო,
სადაც მეფის სულის მოსახსენიებელი პანაშვილი ჩატარდა.

მეფის სასახლის საელჩო დარბაზში დამეგობრებული ქალაქების დელეგაციების მიღე-
ბის ცერემონიალი გაიმართა. თელავის მუნიციპალიტეტის მერმა, ლევან ანდრიაშვილმა
სტუმრებს სიტყვით მიმართა და მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისთვის.

ასევე, საელჩო დარბაზში გაიმართა სამეცო ოჯახის მიერ მეფე ერეკლე მეორის სახე-
ლობის ორდენით დაჯილდოების ცერემონიალი; ნარმოდგენილი იყო „ოქროს სანმისი“.

ღონისძიების ფარგლებში, ბატონის ციხის ეზოში, მოენყო ქართული ჭიდაობა.

თელავის ისტორიული მუზეუმის დროებით საგამოფენო სივრცეში გაიხსნა იარაღის
გამოფენა.

ქალაქის ცენტრალური მოედანი კი კულტურულ და შემეცნებით ღონისძიებებს დაეთმო.

